საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №11 (2374) №11 ხუთშაბათი, 16 იანვარი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ 45 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი წლის პარიზული სიურპრიზი, ანუ ვის ანდობთ შვილებს?

საქართველოს საელჩო საფრანგეთში ყოველ ახალ წელს მიღებას მართავს ნაძვის ხის გარშემო საფრანგეთის ქართული დიასპორის ოჯახებისათვის და ბავშვებისათვის.

ამ დღესაც, უჩვეულო ყინვისა და თოვლის მიუხედავად, ბევრმა სტუმარმა თავი მოიყარა საახალწლო ნაძვის ხის ზეიმზე და... საბავშვო ფოლკლორული ანსამბლი „ჩირაღდანი“ გამოეცხადათ როგორც სიურპრიზი.

ამ „სიურპრიზზე“ მოგითხრობთ.

გაირკვა, რომ „ჩირაღდანი“ (ხელმძღვანელები ჯემალ ადამაშვილი და იზა ჯაში) მთელ კვირას ავტობუსში ათენ-ალამებდა. შარშან 23 დეკემბერს გამომგზავრებულან თბილისიდან ე.წ. ტურისტული ფირმის „რუტას“ ხელდასხმით და იმ იმედით, რომ პარიზში რამდენიმე კონცერტს გამართავდნენ, ამ კონცერტებიდან შემოსული თანხით კი სულს მოითქვამდნენ.

ვერ გეტყვით, რამდენად რეალური იყო ეს იმედი, ის კი ნამდვილად მოხდა, რომ ბულგარეთ – რუმინეთის ულელტეხილზე დიდი თოვლიანობის, ყინვისა და ნამქერის გამო მათი „მერსედესი“ (კაცმა არ იცის, რომელ წელს გამოშვებული) მწყობრიდან გამოვიდა და სამი დღე-ღამე გზაში იდგა. მშიერი და გათოშილი ბავშვები მამაცურად ებრძოდნენ გასაჭირს. ზოგი ავადაც გამხდარა და მაღალი სიცხეც ფეხზე გადაუტანია. პოლონეთში ავტობუსი შეუკეთებიათ და დეკემბრის ნაცვლად ბავშვები პარიზში 1 იანვარს ჩამოვიდნენ.

ამ სიტუაციას გამოუწვევია გაუთვალისწინებელი ხარჯები. უკან დასაბრუნებელი თანხა მთლიანად ავტობუსის რემონტისათვის დაუხარჯავთ. სასტუმროში გაჩერებულან ორი დღე და მერე, ფული რომ შემოლევიათ, ავტობუსში გაუთენებიათ ორი ღამე.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია განსჯისათვის მკითხველისთვის მიმინდვია. მაგრამ ყველაზე საოცარი მაინც ის არის, რომ ანსამბლის ხელმძღვანელებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, თუ ვის და როგორ უნდა დაეგეგმა ან მოეწყო მათი გამოსვლები პარიზში, არ ჰქონდათ არავითარი ოფიციალური საბუთი ან კონტრაქტი. პროფესიონალებმა კარგად იციან, რომ ერთი პატარა კონცერტის მომზადება-მოწყობაც კი ევროპაში და, თანაც, დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც კატასტროფულად კლებულობს ინტერესი ფოლკლორული ტიპის კოლექტივებისადმი (რაც ლოგიკურ კავშირშია საერთო ეკონომიკური კონიუნქტურის მდგრადობასთან, მეტადრე, საფრანგეთში), უამრავ დროსა და ხარჯებს მოითხოვს. ბატონ ჯემალ ადამაშვილს, რომელიც საკმაოდ ცნობილი კომპოზიტორი და თავისი საქმის პროფესიონალი გახლავთ, ვკითხე, თუ როგორ გაბედა მან ასე ჰაიჰარად პარიზს გამგზავრება. „გავბრიყვდიო“, – მიპასუხა.

ეს კიდევ არაფერი.

თურმე, ნუ იტყვით, „ჩირაღდანი“ პარიზიდან იტალიის ქალაქ მანტოვაში აპირებდა გამგზავრებას და ხელმძღვანელებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ამ დღეებში თბილისიდან დაურეკავენო იქ ვინმე თამრიკოს, რომლის მეუღლე იტალიელი ყოფილა, და ქალბატონი თამრიკოც თითქოს ადგილზე მოაგვარებდა ანსამბლის გასტროლების საკითხს (?!)

ბატონ ჯემალს შინ დაბრუნება ვურჩიე...

საქართველოს საელჩოში საახალწლო მიღებაზე ქართულ – ფრანგული ნუგბარით „ჩირაღდანის“ წევრებმა მშვენივრად მოილხინეს. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის გოჩა ჩოგოვაძის საახალწლო საჩუქარი „ჩირაღდანისათვის“ კი ის თანხა გახლდათ, რომელიც მან ბავშვების დასახმარებლად გამოყო, დანიშნულების ადგილამდე ჩასაღწევად.

საქართველოს საელჩოს ფინანსურად არ ულხინს. ამას გივი მურჯიკნელიც, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკიც დაამოწმებს, რომელიც სრულიად შემთხვევით უშუალო მომსწრე შეიქნა ზემოაღნიშნული ინციდენტისა. მაგრამ ელჩმა მაქსიმალურად ყველაფერი გააკეთა გასაჭირში ჩავარდნილი პატარა თანამემამულეების დასახმარებლად.

**ვლადიმერ ზარიძე,**
„სრ“ საკ. კორ.
პარიზი, იანვარი.

## ორი წელიც და... გაიხსნება „თბილისის“ კარი

**ინფორმაციამ, რომელიც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა სასტუმრო „თბილისის“ რეკონსტრუქციის შესახებ, მკითხველთა ინტერესი გამოიწვია.**

**ჩვენ ვთხოვეთ სააქციო საზოგადოება „თბილისის სიტის“ გენერალურ დირექტორს გივი ხომერიკს უფრო დეტალურად მოეთხრო „თბილისის“ პერსპექტივაზე. მან განაცხადა:**

„თბილისის სიტის“ სააქციო საზოგადოებას 72 უცხოურ ფირმასთან ჰქონდა მოლაპარაკება ამ ობიექტის აღდგენაზე, რომელთაც საბოლოო შედეგი არ ჰქონდათ.

ამჯერად მოლაპარაკების ადრეულ სტადიაზე ჩვენი მოთხოვნით ჯერ გაფორმდა ურთიერთგარანტიების პირობები (ფინანსური ხასიათისა), რასაც მოჰყვა იურიდიული დოკუმენტების გაფორმების საკმაოდ რთული სტადია, რომელიც ზოგადად დამთავრებულია მცირედი „კუდების“ გამოკლებით.

ამერიკულმა მხარემ („ბობ უოლშ ენტერპრაიზმა“ და „ვესტინმა“) მომავალი სასტუმროს ფუნქციონალური კონცეფციის დამუშავება დაუკვეთა ცნობილ ინგლისურ ფირმას, რომლის წინადადება ჩვენ განვიხილეთ დეკემბრის თვეში.

არსებობს სასტუმროს აღდგენის ოთხი ესკიზური პროექტი. პირველით სასტუმრო აღდგება მხოლოდ თავის ძველ ფარგლებში; ორი მომდევნო ითვალისწინებს ჭანტურიას ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების აღებას და მათ ადგილზე სასტუმროს სამსახურების განთავსებას; მეოთხე გეგმა ითვალისწინებს ორივე სახლის აღებას.

მუნიციპალიტეტის შუამდგომლობით ამერიკულმა მხარემ თანხმობა განაცხადა პრიორიტეტი მიენიჭებინა მეოთხე გეგმისათვის და თავის ხარჯზე მოეხდინა მობინადრეთა ინტერესების დაკმაყოფილება. საქმე ის არის, რომ ხსენებული საცხოვრებელი სახლები ათ წელიწადზე მეტია ავარიულად არის მიჩნეული, მუნიციპალიტეტი კი უსახსრობის გამო ვერ ახერხებს მოქალაქეთა გადასახლებას ახალ ბინებში.

გასათვალისწინებელია, რომ ამერიკული მხარე მობინადრეთა დაკმაყოფილებას შეძლებს თბილისში შესაბამის რაიონში არსებული ბინების ფასის მიხედვით (ეს მათი ძირითადი პირობაა). თუ მობინადრეთა მოთხოვნები ამ პირობებს არ დაემთხვევა, პრიორიტეტი მიეცემა პირველ სამ ესკიზურ პროექტს. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ იმავე ამერიკულ კომპანიას სასტუმრო „თბილისიდან“ ასიოდე მეტრის მოშორებით ასაშენებელი აქვს დიდი მოცულობის მეორე სასტუმრო (პირობითი დასახელება „პრეზიდენტ ოტელი“), რომლის ღირებულება გასახლების ხარჯების გაუთვალისწინებლადაც სასტუმრო „თბილისის“ მე-4 გეგმით აღდგენის ღირებულებასთან შედარებით 23 პროცენტით იაფია, რასაც ყველა კომერციულ ღონისძიებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

როგორც უნდა იყოს საბოლოოდ შერჩეული ვარიანტი, უახლოესი ორი წლის განმავლობაში სასტუმრო „თბილისი“ კვლავ მიიღებს სტუმრებს.



**სურათზე: ასეთი იყო სასტუმრო თბილისი 1992 წლის იანვარში. როგორი იქნება ხვალ?**

**სანდრო მამასახლისის ფოტო.**

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 16 დეკემბერი ქ. თბილისი

თ. უთმელიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს ი. სუხიშვილის სახელობის ქართული აკადემიური ეროვნული ბალეტის ყოფილი წამყვანი სოლისტი, საქართველოს დამსახურებული არტისტი თენგიზ უთმელიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 16 დეკემბერი ქ. თბილისი

ბ. სიჭინავას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის საფეხბურთო კლუბ „ნორჩი დინამოელის“ მთავარი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბორის სიჭინავა დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

ა. მეტრეველის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ჩოგბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ახალგაზრდა სპორტსმენთა აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის ევროპის, აზიისა და სკანდინავიის ქვეყნების მრავალგზის ჩემპიონი ალექსანდრე მეტრეველი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

## ვიზიტი

### ხელი მოაწერეს სამთავრობათშორისო შეთანხმებებს

1997 წლის 14 იანვარს სომხეთის რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ი. მენაღარიშვილი. შედგა შეხვედრები სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ლ. ტერ-პეტროსიანთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. არზუმანიანთან.

საუბრების დროს განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავების, რეგიონული თანამშრომლობის, კონფლიქტების მოწესრიგების საკითხები.

ბატონმა ი. მენაღარიშვილმა სომხეთის პრეზიდენტს გადასცა საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის მიმართვა და საქართველოს მიერ მომზადებული დოკუმენტების პროექტები აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებების თაობაზე, რომელთა განხილვაც საქართველოს ინიციატივით უნდა მოხდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფო მეთაურთა და საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოების სხდომებზე.

ბატონმა ი. მენაღარიშვილმა სომხეთის პრეზიდენტს მიაწოდა ინფორმაცია იმ ღონისძიებების თაობაზე, რომლებიც ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის მიზნით ხორციელდება. ბატონმა ლ. ტერ-პეტროსიანმა რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა ხელს შეუწყობს რეგიონში ვითარების შემდგომ გაუმჯობესებას.

მხარეები შეთანხმდნენ საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის ენერგოსისტემებს შორის კავშირის აღდგენის მიზნით სამუშაოების დაწყების თაობაზე.

მხარეებმა განიხილეს სატრანსპორტო ენერგეტიკის, საკომუნიკაციო სფეროებში მრავალმხრივ რეგიონულ პროექტებთან დაკავშირებული საკითხები. აღინიშნა, რომ არც ერთი ასეთი პროექტი, მათ შორის ნავთობისა და გაზსადენების პროექტები, არ ეწინააღმდეგება რომელიმე ქვეყნის ინტერესებს. პირიქით, ამ პროექტების განხორციელება მთლიანად რეგიონში არსებული ვითარების სტაბილიზაციის, ეკონომიკური წინსვლის, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

სომხეთის პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნა ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების რეგულარული შეხვედრების პოზიტიური როლი ორმხრივი ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ 1997 წლის თებერვლის ბოლოს სომხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიზიტად ეწვევა საქართველოს, ხოლო მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის (ვადები უახლოეს მომავალში დაზუსტდება) დაგეგმილია საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში.

მხარეები შეთანხმდნენ, აგრეთვე, რომ მიმდინარე წლის თებერვალში გაიმართება საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიების პირველი ერთობლივი სხდომა.

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით, ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს სამთავრობათშორისო შეთანხმებებს.

ვიზიტმა გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

საქინფორმი.

## რეაქცია

### საქართველოში რუსეთის საელჩოს პრესსამსახური უარყოფს

საქართველოს ტელევიზიამ, დაიმოწმა რა სოხუმის წყაროები, გაავრცელა ცნობა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ 11 იანვარს რუსეთის მესაზღვრეებმა რუსეთის ტერიტორიაზე არ შეუშვეს აფხაზური პარლამენტის (სოხუმი) დეპუტატი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრებოდა აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგების საკითხისადმი მიძღვნილ სემინარზე. ცნობები, რომ რუსეთის მესაზღვრეებმა თითქოსდა ხელი შეუშალეს ქართველ და აფხაზ (სოხუმი) პარლამენტართა შეხვედრას ვაშინგტონში, ქართულ პრესაშიც გაჩნდა.

რუსეთის საელჩო აღნიშნავს, რომ მესაზღვრეების, მთლიანად რუსეთის მხარის მიმართ საყვედური საფუძველს მოკლებულია.

13 იანვარს აფხაზეთის მხარემ გადასცა მონაცემები ვაშინგტონის შეხვედრაზე თავისი წარმომადგენლების შესახებ ფორმალობათა შესრულებისათვის, რომლებიც საჭიროა რუსეთის ფედერაციის საზღვრის გადასალახავად. იმავე დღეს, გაითვალისწინა რა საქართველოსა და აფხაზეთის მხარეთა დაინტერესება, რუსეთის ფედერალურმა სასაზღვრო სამსახურმა გასცა საჭირო მითითებანი რუსეთის საზღვარზე ვაშინგტონის შეხვედრაზე მიმავალ აფხაზ წარმომადგენელთა გაშვების შესახებ.

საელჩოს სურს ხაზი გაუსვას, რომ 13 იანვრამდე რუსეთის საზღვრის გადალახვისათვის საჭირო რაიმე მონაცემები აფხაზეთის მხარეს არ გადმოუცია.

1997 წლის 15 იანვარი.

## პარლამენტის პრესსამსახური — საქინფორმი:

### კონსტანტინე ძუგაევი – თბილისში

15 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე კონსტანტინე ძუგაევი თანმხლებ პირებთან ერთად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გამოთქვა კმაყოფილება შეხვედრის ფაქტის გამო და აღნიშნა: „მთავარია, რომ ჩვენ განწყობილი ვართ არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. დადგა დრო, მივიღოთ სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილებანი. აუცილებელია, უახლოეს მომავალში შევთანხმდეთ კონფლიქტის მოგვარების პრინციპების თაობაზე“.

ბატონმა ძუგაევმა ილაპარაკა რეგიონში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ყურადღება გაამახვილა იმ მწვავე პრობლემებზე, რომლებიც განსაკუთრებით აღელვებს რეგიონის მოსახლეობას.

„ამ პრობლემების გადაჭრა ადვილი არ არის, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ სხვა გზა ჩვენს ურთიერთობაში არ არსებობს“, – განაცხადა მან.

შეხვედრის მონაწილეები განსაკუთრებით დეტალურად შეეხნენ ლტოლვილთა დაბრუნების აუცილებლობას.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე კოკოევი, პარლამენტის წევრები მამუკა არეშიძე და ზურაბ ნოღაიდელი.

* * *

გაიმართა აგრეთვე შეხვედრები საქართველოს მოქალაქეთა კავშირის, ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატისა“ და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან.

* * *

იმავე დღეს ბატონი კონსტანტინე ძუგაევი თანმხლებ პირებთან ერთად მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

## პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი:

### ვინ გადაუხდის თურქეთს ვალს?

თურქულ კრედიტსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს მიეძღვნა სხდომა, რომელიც სახელმწიფო მინისტრთან ნიკო ლეკიშვილთან გაიმართა. აღინიშნა, რომ ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ 35 მილიონ დოლარს გადააჭარბა. იმ რვა ორგანიზაციიდან, რომლებმაც თურქული კრედიტით ისარგებლა, უმრავლესობას ვალის დაფარვის ვადა გაუვიდა.

სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, ეკონომიკურ საბჭოზე განსახილველად მომზადდება დეტალური ინფორმაცია, აღნიშნული ორგანიზაციების შესაძლებლობებისა და გადახდისუნარიანობის შესახებ.

### შეხვედრაზე – მოსკოვში

დღეს მოსკოვში გაიმართება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომლის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად 15 იანვარს მოსკოვს გაემგზავრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი.

### თუ არ გადაიხდით საფასურს, სიბნელეში ისხდებით!

„თელასის“ გენერალურმა დირექტორმა აკაკი გაბრიჭიძემ განაცხადა, რომ თუ გაზის საფასური 8 თებერვლამდე არ გადაირიცხა, ქვეყანა უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდება. ამიტომ მოსახლეობაში ელექტროენერგიის საფასურის გადახდა გამკაცრდება და ყველა ურჩ გადამხდელს ელექტროენერგიის მიწოდება ავტომატურად შეუწყდება.



„საქენერგოს“ მრავალი გაფრთხილების მიუხედავად, საქართველოს რიგ ქალაქებსა და რაიონებში ძალზე არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს იანვარში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდა. დღეისათვის „საქენერგოს“ ანგარიშზე არავითარი თანხა არ გადმოურიცხავთ: წალენჯიხის, ჩხოროწყუს, სენაკის, მარტვილის, წყალტუბოს, ბაღდათის, ტყიბულის, ცაგერის, ლენტეხის, ჭიათურის, ბორჯომის, მცხეთის, დუშეთის და თიანეთის რაიონებს. მინიმალური თანხები გადაიხადეს თბილისმა, ქუთაისმა, რუსთავმა, ფოთმა, აგრეთვე ზუგდიდის, ხობის, ვანის, თერჯოლის, საჩხერის, ახალციხის, ახალქალაქის, წალკის და თელავის რაიონებმა.

აღნიშნული გარემოება საფრთხეს უქმნის საქართველოს ენერგოსისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. დასახელებული და სხვა არაგადამხდელი რაიონების მიმართ კვლავაც განხორციელდება ელექტროენერგიის შეზღუდული მიწოდება და სრული გამორთვა არსებული დავალიანების დაფარვამდე.

### ჩანს. თბილისის მერიამ ჩვენსკენ მოიხედა

1997 წელს თბილისის მერიის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები იქნება ქალაქის ქუჩების მოასფალტება-შეკეთება და 1991-92 წლების ზამთარში თბილისის ომის შედეგად დაზარალებულთა ბინით უზრუნველყოფა, – განაცხადა თბილისის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა.

ამ პრობლემების გადაჭრას ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტი 5 მილიონ 150 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით. ბადრი შოშიტაიშვილმა განმარტა, რომ ამ თანხის ნაწილი გამოყოფილია 10 სპეციალიზებული სატვირთო მანქანის, ქუჩის მოძველებული საფარის მოსაშორებელი მანქანებისა და ძველი ასფალტის გადასამუშავებელი მინიქარხნის შესაძენად.

### ვინც უარს ამბობს, ის აგებს

ქალაქ თბილისის ისნის რაიონის ტერიტორიაზე დაიხურა და დაილუქა 74 ვალუტის გადამცვლელი პუნქტი. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ცნობით, ეს ღონისძიება განხორციელდა მას შემდეგ, რაც ჯიხურების მეპატრონეებმა უარი განაცხადეს ინკასაციაზე და სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ დაწესებული თანხის ბანკებში შეტანაზე.

### დეზერტირებს პატიმრობა ემუქრებათ

თბილისის სამხედრო პროკურატურის მთავარი პროკურორის მოადგილემ რევაზ სისაურმა განაცხადა, რომ დეზერტირებს, რომლებიც თავიანთ ნაწილებში 3 იანვრის, ანუ ამნისტიის ვადის გასვლის შემდეგ დაბრუნდნენ, პატიმრობა ემუქრება. სამედიცინო დასკვნას გასცემს მხოლოდ პროკურატურის სამედიცინო სამსახური და არავითარ სხვა დოკუმენტს მხედველობაში არ მიიღებენ.

## იბერია:

### აფხაზეთში უმძიმესი მდგომარეობაა

საააგენტოს კორესპონდენტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესცენტრიდან აცნობეს, რომ ამჟამად აფხაზეთის ტერიტორიაზე უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობაა. მოსახლეობა ფაქტობრივად შიმშილობს. საბიუჯეტო ორგანიზაციებში ხელფასი 10-15 ათას რუბლს არ აღემატება, პენსიები – 2,5 ათასს, ანუ ერთი კილოგრამი პურის ფასს.

## უკანასკნელ საათს



სტავროპოლი. აქ გაიმართა სტავროპოლის მხარის კაზაკთა ატამანების შეკრება, რომლის მონაწილეებმა გაიმეორეს თავიანთი ტერიტორიული პრეტენზიები ჩეჩნეთის მიმართ. შეკრებაზე ჩასულმა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ბორის ბერეზოვსკიმ მხარი დაუჭირა იმ აზრს, რომ კაზაკებს საჭიროების შემთხვევაში დაურიგონ იარაღი, რათა შეძლონ ჩეჩენთა თავდასხმის მოგერიება.

მოსკოვი. გუშინ გაიმართა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საგაზაფხულო სესიის პირველი სხდომა, რომელიც თითქმის მთლიანად მიეძღვნა რუსეთის პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მის უფლებამოსილებათა ვადამდელი შეწყვეტის შესახებ კამათს. სათათბიროს თავმჯდომარეს გენადი სელეზნიოვს, რომელმაც გააკეთა განცხადება, მხარი დაუჭირა კომპარტიის ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა და თავის მხრივ დაუმატა, რომ შარშან პრეზიდენტმა მხოლოდ ოთხ თვეს იმუშავა, დანარჩენ დროს კი ან ავადმყოფობდა, ან პირადი საქმეებით — საარჩევნო სამზადისით იყო დაკავებული.

ქებრონი. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიახუმ და პალესტინელთა ლიდერმა იასირ არაფატმა ხელი მოაწერეს დიდი ხნის ნანატრ შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ისრაელის ჯარი ტოვებს ქალაქ ქებრონს, სადაც ამჟამად ცხოვრობს 120 ათასი პალესტინელი და 400 ებრაელი.

კიშინიოვი. 15 იანვარს აქ გაიმართა მოლდავეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული პეტრე ლუჩინსკის ინაუგურაციის ცერემონია. პრეზიდენტმა კონსტიტუციაზე ფიცი დადო, შემდეგ შეხვდა ყოფილ პრეზიდენტს მირჩა სნეგურს, რომელმაც ლუჩინსკის „გადააბარა საქმეები“ და შეთავაზებულ პოსტზე უარი თქვა, თუმცა დასძინა, რომ განაგრძობს პოლიტიკურ მოღვაწეობას.



## გვეხმაურებიან

### ვითომ ალიანსში არიან?

დიდი ინტერესით გავეცანი 5 იანვრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ სტატიას – „უშველის „ბაგრატიონს“ სამეფო წარმომავლობა?“, რომელშიც ასახულია ქართველ მეწარმეთა უმძიმესი მდგომარეობა, ის, რომ ქართველ მეწარმეებსა და საწარმოებს ამუშავებისა და განვითარების გზებს უკეტავს დამღუპველი საბაჟო და საგადასახადო პოლიტიკა.

ამ წერილიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საქმე გვაქვს არა რომელიმე შემაფერხებელ ფაქტორთან, არამედ, საერთოდ, ჩვენთან მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის ხარვეზებთან. როგორლაც გამოდის, რომ ბასილია, იაკობიძე, პაპავა და ჯავახიშვილი ალიანსში არიან მსოფლიო სავალუტო ფონდის წარმომადგენელთან შადმან ვალავისთან, რათა დააკაბალონ საქართველო, აქციონ ჩვენი ქვეყანა უცხოეთის ბაზრის რალაც დანამატად, ეკონომიკური ექსპანსიის პოლიგონად, ჩაკლან ჩვენი ეროვნული ეკონომიკა.

და ეს იწერება ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სერიოზულ და ავტორიტეტულ გაზეთში, რომლის წაკითხვითაც მე, რიგითი მოქალაქე, შეშფოთებული და გაოგნებული ვარ. ასეთ მდგომარეობაში ვარდებიან სხვა მკითხველებიც, რომლებიც მომავლის უკეთესობის იმედით არსებობენ. დაიბნა ხალხი, მეწარმეც და ობივატელიც. ვის დავუჯეროთ, პრეზიდენტს, მის თანამოაზრეებს – რეფორმატორთა გუნდს, თუ ხსენებული სტატიის შეფასებებს?

პატივცემულო რედაქცია! ძალიან გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩემი წერილი, რათა ბატონებმა თემურ ბასილიამ, ვლადიმერ პაპავამ, დავით იაკობიძემ და ნოდარ ჯავახიშვილმა კიდევ ერთხელ დაგვაკვალიანონ, აგვიხსნან, დაგვისურათხატონ, თუ რა ხდება, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე. ეს კითხვები ხომ პასუხს ითხოვს!

პატივისცემით,

**კორნელი მექვაბიშვილი.**

ეროვნული

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 4 იანვარი ქ. თბილისი.

### სამედიცინო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესის მიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო საქმიანობის სუბიექტთა ურთიერთობის სამართლებრივ რეგულირებას, რასაც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი, რომლის მიღებამდე საჭიროა დროებით შეივსოს ვაკუუმი შესაბამისი მარეგლამენტირებელი დოკუმენტებით.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 ოქტომბრის № 728 დადგენილების (დანართი 2 „იურიდიულ და ფიზიკურ პირთათვის სამედიცინო საქმიანობის ნებართვის მიცემის შესახებ“) და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დებულების მიხედვით (დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 ივნისის № 377 ბრძანებულებით) ლიცენზირებას ექვემდებარება სამედიცინო საქმიანობა, რასაც ახორციელებენ იურიდიული პირები, განურჩევლად ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა, აგრეთვე ის ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ სამედიცინო საქმიანობას იურიდიულ პირად ჩამოყალიბების გარეშე.

ლიცენზირების მეშვეობით, სახელმწიფო გარკვეული სახის სამედიცინო საქმიანობის უფლებას ანიჭებს იურიდიულ და ფიზიკურ პირს და იძლევა სამედიცინო საქმიანობის ობიექტის, აპარატურის, ხელსაწყოების სტანდარტიზაციისა და სამედიცინო პერსონალის კომპეტენტურობის გარანტიას და ამით მოქალაქეებს უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარების ისეთი დონითა და ხარისხით, რომელზე ნაკლებიც ამ ეტაპზე დაუშვებელია. ამასთან ლიცენზირების პროცესი ითვალისწინებს სამედიცინო დახმარების დონის განუხრელ ზრდას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალობაზე.

ყოველივე ამის გათვალისწინებით:

1. გაგრძელდეს სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტთა რეგისტრაცია და აკრედიტაცია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის, სამოქალაქო კოდექსისა და არაკომერციულ ორგანიზაციათა შესახებ კანონის მიღებამდე.

2. დამტკიცდეს „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზირების დებულება“ და მის საფუძველზე განხორციელდეს სამედიცინო საქმიანობის სუბიექტთა ლიცენზირება.

3. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ განახორციელოს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზირების პროცედურა.

4. დაიწყოს საქართველოში სამედიცინო საქმიანობის იურიდიულ პირთა (განურჩევლად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა) და ფიზიკურ პირთა (კერძო პრაქტიკის ექიმი) ლიცენზირება 1997 წლის 1 იანვრიდან.

4.1. 1995-1996 წლებში რეგისტრირებული და აკრედიტირებული სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტთა ლიცენზირება დამთავრდეს 1997 წლის 31 ოქტომბრისათვის.

5. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ დაადგინონ ცალკეულ სამართალსუბიექტთა ლიცენზირებისათვის საჭირო მოსაკრებლების მოცულობა სამედიცინო საქმიანობის სახეობათა მიხედვით და გაატარონ ისინი რეგისტრაციაში დადგენილი წესით.

5.1. ლიცენზირების მოსაკრებლების თანხები შესაბამისი კანონის მიღებამდე ჩაირიცხოს ხაზინაში — საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე.

6. დაუშვებელია ისეთი სახის სამედიცინო საქმიანობა, რომლისთვისაც აუცილებელია ლიცენზია. მის გარეშე განხორციელებული სამედიცინო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი ჩაირიცხება ბიუჯეტში კანონით დადგენილი წესით (4.1. პუნქტის გათვალისწინებით).

7. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეიტანოს სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული და ლიცენზირებული სამედიცინო საქმიანობის სუბიექტთა მონაცემები დადგენილი წესით.

ე. შევარდნაძე.

## ოფიციალური ინფორმაცია

### ძალადაკარგულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1990-1995 წლებში მიღებული ზოგიერთი დადგენილება

კონსტიტუციის დებულებათა რეალიზაციისა და სამართლებრივი რეფორმების განხორციელების, კონსტიტუციასთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის 106-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად ძალადაკარგულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ 1990-1995 წლებში მიღებული ზოგიერთი დადგენილება.

### მშენებლობაში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებისათვის

საქართველოს ძირითადი ავტომაგისტრალების მიმდებარე სხვადასხვა დანიშნულების, მათ შორის მშენებარე, ობიექტების განთავსებასა და მშენებლობაში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების მიზნით საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს, სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზას“, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად დაევალათ 1997 წლის 25 აპრილამდე აღრიცხონ საქართველოს ძირითადი ავტომაგისტრალების მიმდებარე სხვადასხვა დანიშნულების, მათ შორის მშენებარე ობიექტები და შეისწავლონ მათი კანონიერების საკითხები ქალაქმშენებლობითი მოთხოვნების გათვალისწინებით.

### შეიქმნა სააქციო საზოგადოება „მაუდის“ სარეაბილიტაციო ღონისძიებების შემმუშავებელი კომისია

სააქციო საზოგადოება „მაუდი“ მსუბუქი მრეწველობის მნიშვნელოვანი ობიექტია, რომელმაც გარკვეული წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაში. სამრეწველო კომპლექსში არსებული ტექნიკური პოტენციალის გამოყენებით შესაძლებელია კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ქვეყნის შიდა ბაზრის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება. ბოლო წლებში რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო გამოწვეული ფინანსური დავალიანებები მძიმე ტვირთად აწევს საწარმოს. განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად წარმოებამ ვერ მოახერხა კრიზისული მდგომარეობიდან თავის დაღწევა. მოზიდული ინვესტიციების დიდი ნაწილი ხმარდება არსებულ დავალიანებათა დაფარვას და კვლავწარმოების განახლებას უიმედო ვითარებაში აყენებს, იქმნება საწარმოს გაჩერების რეალური საფრთხე.

საწარმოს ეკონომიკური და ფინანსური ვითარების გაუმჯობესების დაჩქარების მიზნით საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით შეიქმნა სააქციო საზოგადოება „მაუდის“ სარეაბილიტაციო ღონისძიებების შემმუშავებელი კომისია სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოადგილის, სექტორული ეკონომიკის განყოფილების უფროსის თემურ კვინტრაძის თავმჯდომარეობით.

საქინფორმი.

ქვეყნის ეკონომიკა 1997 წელს საკმაოდ რთული, სერიოზული და დაძაბული ამოცანების წინაშე დგას. წლევანდელი წელი გადამწყვეტი, ძირეული შემობრუნების წლად უნდა იქცეს პრეზიდენტის ეკონომიკური პროგრამის რეალიზაციის, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში, ქვეყნის აღმშენებლობის ისტორიაში. გასული წელი ამის რეალურ საფუძველს ქმნის.

ედუარდ შევარდნაძე.

**რეგიონი**

# პრეზიდენტის პროგრამა ხალხის პროგრამაა

## შიდა ქართლის მხარის ადმინისტრაციის გაფართოებულ სხდომაზე შეაჯამეს 1996 წლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შედეგები

რეალური საფუძველი იმისა, რომ შიდა ქართლის მხარე 1996 წლის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის შესრულებას წარმატებით გაართმევდა თავს, ჯერ კიდევ შუა ზაფხულში გამოიკვეთა. ეკონომიკის სტაბილიზაციის პროცესებიდან გამოცოცხლებისა და აღმავლობის გზაზე თანდათანობით გადასვლა იმდენად ცხადი და ხელშესახები იყო, რომ როცა ქარელის რაიონის გამგეობამ ცხრა თვის შედეგებთან ერთად ბიუჯეტის წლიური დავალების შესრულება უპატაკა ქვეყანას, სკეპტიკოსებმაც კი ირწმუნეს, რომ მხარეს წარმატებული ფინიში ექნებოდა.

ასეც მოხდა. შიდა ქართლი ერთი იმ რეგიონთაგანი აღმოჩნდა ქვეყანაში, სადაც წლის ბიუჯეტის დავალებები სრულდებოდა ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად და ყველა რაიონში. წლიური შედეგები კი ასეთია: კონტინგენტის გეგმამ ე. წ. მსხვილ გადამხდელთა ჩაუთვლელად, რომელიც 7553,3 ათას ლარს ითვალისწინებდა, ფაქტობრივად 8232,8 ათასი ლარი შეადგინა. ამასთან, წინა წელთან შედარებით ბიუჯეტში შემოსული თანხები 3644,6 ათასი ლარით გაიზარდა. მსხვილი გადამხდელების ჩათვლით კი ციფრები ასეთია: კონტინგენტის წლიური გეგმა 8104,5 ათასი ლარი, ფაქტობრივი შესრულება – 9187,3 ათასი ლარი.

მხარეში, როგორც მოსალოდნელი იყო ქარელელებმა საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს: ბიუჯეტში შემოვიდა 1047,1 ათასი ლარი დავალებით გათვალისწინებული 750 ათასის ნაცვლად. ამასთან, შემოსავლები 1995 წელთან შედარებით 2,7-ჯერ გაიზარდა.

თვალსაჩინოა გორელების წვლილი მხარის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის რეალიზაციაში. გორის მერიაზე შიდა ქართლის მხარის წლიური ბიუჯეტის 55 პროცენტი მოდის. მერიამ წლიურ შემოსავლებს 3602 ათასი ლარი შემატა გეგმით გათვალისწინებული 3317 ათასის ნაცვლად. კასპის რაიონში ამ მაჩვენებელმა 1382 ათასი ლარი შეადგინა, ანუ დავალება შესრულდა, ხაშურის რაიონში – 2200 ათასი ლარი, საგეგმოზე 195 ათასი ლარით მეტი. ნიშანდობლივია, რომ ადმინისტრაციის გაფართოებული სხდომის მონაწილეები ძუნწად ლაპარაკობდნენ წარმატებებზე, მხარეში მიმდინარე დადებით ეკონომიკურ პროცესებზე და მთელ ყურადღებას იმ გადაუჭრელ საკითხებს უთმობდნენ, რომლის მოგვარებაც ახალ შესაძლებლობებს შეუქმნის მხარეს ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი ზრდისათვის.

შიდა ქართლის მხარის წლევანდელ ეკონომიკურ პროგრამაში სახელმწიფო ბიუჯეტი და მასთან დაკავშირებული საკითხები კვლავაც პრიორიტეტულია. ბუნებრივია, რომ მთავარი სიტყვა ბიუჯეტის შევსებაში მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ უნდა თქვას.

რა მდგომარეობაშია დღეს ორივე ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგი?

როგორც შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ირაკლი ბოჭორიძის, ხაშურის, ქარელის, კასპის რაიონების გამგეობათა თავმჯდომარეების გივი ხვედელიძის, გივი გაგნიძის, ზურაბ ქარუმიძის, გორის მერის დავით ქობლიანიძის, შიდა ქართლის მხარიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრების გიორგი ლაზარიშვილის, თამაზ თხელიძის, ჯონი თაყნიაშვილის, მხარის კონტროლის პალატის თავმჯდომარის ზაზა ედიშერაშვილის, ჯანდაცვის სამხარეო სამმართველოს უფროსის ვასილ ბეთლემიძის, ქ. გორის განათლების განყოფილების გამგის ლერი პაპუაშვილის, სააქციო საზოგადოება „არომატის“ დირექტორის ვალტერ აბაშიძის, კულტურის განყოფილების გამგის რობერტ მაღლაკელიძის, სააქციო საზოგადოება „მექანიკოსის“ დირექტორის თემურ ქარსანიშვილისა და სხვათა გამოსვლებში აღინიშნა, ბიუჯეტთან მხარის საწარმო-ორგანიზაციების თანამშრომლობა უკეთესის სურვილს ბადებს. მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, რიგ საწარმოთა ისედაც მძიმე ფინანსურ სიძნელეებს ემატება ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის უგერგილო საქმიანობა, ხშირ შემთხვევაში, უდიერი დამოკიდებულება ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებში. შედეგი ის არის, რომ ფინანსური სანქცია-საურავების დარიცხვა კიდევ უფრო აუარესებს საწარმოების ეკონომიკურ მაჩვენებლებს. დაუმატეთ ამას საგადასახადო სამსახურების მხრივ მომთხოვნელობის და მომკითხველობის შესუსტება აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

გორის საგადასახადო ინსპექციაზე ნარჩენმა თანხამ 806 ათასი ლარი შეადგინა. ხაშურის რაიონში ამოსაღებია 325 ათასი ლარი, კასპში – 595 ათასი.

სამხარეო ადმინისტრაციის სხდომის მონაწილეებმა პრინციპულად მოსთხოვეს საგადასახადო ინსპექციის მუშაკებს საქმიანობის სრულყოფა, სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი ბოჭორიძემ კი საგანგებოდ აღნიშნა მისი ხარისხობრივი გაუმჯობესების აუცილებლობა, მით უმეტეს, რომ მხარის წლევანდელი ბიუჯეტის გეგმა 10,4 მილიონ ლარს შეადგენს, რაც შარშანდელთან შედარებით 28,5 პროცენტით, ხოლო ამავე პერიოდის ფაქტობრივ მაჩვენებელთან შედარებით – 13,5 პროცენტით მეტია.

შარშან მხარის მრეწველობამ 43 მილიონი ლარის პროდუქცია აწარმოა. 1995 წელთან შედარებით პროდუქტის წარმოების მოცულობა 66 პროცენტით გაიზარდა, ახალი სამუშაო ადგილები – 517-ით. მარტო გორის სამრეწველო საწარმოებმა თითქმის 19 მილიონი ლარის პროდუქცია გამოუშვეს. დიდი ხნის იძულებითი მესვენების შემდეგ კვლავ ამუშავდა სააქციო საზოგადოება „გორკონი“ (ყოფილი გორის საკონსერვო გიგანტი) და ევროპის ქვეყნებში პირველი საექსპორტო პროდუქციაც გააგზავნა. „გორკონი“ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ეწევა საქართველო-შვეიცარიის ერთობლივ ფირმა „ბუტეკ-კლასიკთან“ და ეს უკვე სასიკეთოდ დაეტყო საწარმოს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, სიმშვიდე და სტაბილიზაცია, ნორმალური კრიმინოგენული ფონი საქმიანი ურთიერთობისათვის განაწყობს უცხოელ ინვესტორებს. ბევრმა საზღვარგარეთულმა ფირმამ „დასცა კარავი“ შიდა ქართლში. გორში მოქმედებს შუშხუნა ღვინოების ჩამომსხმელი იტალია-რუსეთ-საქართველოს ერთობლივი საწარმო, რომლის პროდუქტმაც იოლად გაიკაფა გზა სოლიდური საერთაშორისო ბაზრებისკენ. ერთობლივ საწარმო „ეკოს“ კარგად იცნობენ ავსტრია-გერმანიის სამომხმარებლო ბაზარზე. მისი ძირითადი პროდუქცია – ვაშლის კონცენტრატი ამ ქვეყნებში დღემდე მოწონებით სარგებლობს.

ამჟამად სააქციო საზოგადოება „კასპიცემენტს“ აფინანსებს ფირმა „ბუტეკ-კლასიკი“, რათა კომბინატმა შეიძინოს ცეცხლგამძლე აგური და ბუნებრივი გაზი. იქვე, კასპში, სააქციო საზოგადოება „არომატი“ მალე აღიჭურვება გერმანული წარმოების ტექნოლოგიური ხაზით, რომელიც დღე-ღამეში 1500 დეკალიტრ სპირტს გადაამუშავებს.

შარშან ქარელის სამრეწველო საწარმოების მიერ გამოშვებული 13,2 მილიონი ლარის პროდუქციის 98 პროცენტი კვების პროდუქტებზე მოდის. ამ რაიონში ალარავის უკვირს დღეს უცხოური ფირმების გამოჩენა. შარშან ინგლისურმა ფირმამ „გლინკონმა“ სააქციო საზოგადოება „საქართველოს შაქრის კომბინატს“ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იმპორტული შაქრის ნედლეულის დიდი პარტია მიაწოდა, რისი მეოხებითაც კომბინატმა 19,6 ათასი ტონა შაქრის ფხვნილი გამოუშვა.

წარმატებულად ვითარდება ხაშურის მინის ტარის ქარხნისა და ჰოლდინგური კომპანია „ეი-სი-აის“ თანამშრომლობა. და თუმცა, პარტნიორების ურთიერთობაში ბევრი რამ ჯერაც დასახვეწია და კონდიციამდეა მისაყვანი, ამას ხელი არ შეუშლია შარშან საწარმოს გამოეშვა 24 მილიონი ნახევარლიტრიანი, თითქმის 2 მილიონი 0,7 ლიტრის ტევადობის, ხოლო 600 ათასი ცალი 0,75 ლიტრის ტევადობის ბოთლი.

ამას წინათ სააქციო საზოგადოება „საკისრის“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა ამერიკული საინვესტიციო ფონდი „ენ-სი-ეი-ჯი“, რომელსაც განზრახული აქვს საწარმოს მთლიანი გადაიარაღება.

მხარის სამშენებლო კომპლექსმა, რომ იტყვიან, მოიხედა. ასე შეიძლება შევაფასოთ სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო ორგანიზაციების შარშანდელი საქმიანობა. ის ფაქტი, რომ შესრულებულია 3387 ათასი ლარის სამუშაოები (1995 წელს – 720 ათასი ლარის), მშენებლობაში დადებით ცვლილებებზე მიგვანიშნებს.

მაინც, სახელდობრ, რა გაკეთდა?

ცხინვალთან ახლოს, სოფელ ფრისში, მშენებლებმა აღადგინეს 1991 წელს მიწისძვრით დაზიანებული და გაზით აფეთქებული ქართველებისა და ოსების საცხოვრებელი სახლები, დამთავრდა ქარელის ცენტრის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობა, ხაშურში ფაქტობრივად თავიდან აშენდა კინოსაკონცერტო დარბაზი, სოფელ არბოში (გორი) და მდინარე ძამაზე (ქარელის რაიონი) აღდგა მცირე ჰესები, ცოტაც და კასპელ მეცემენტეებს საკუთარი კულტურის სახლი ექნებათ.

ძირეულ გარდაქმნებს მოითხოვს მხარის სოფლის მეურნეობა. სხდომის მონაწილეებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ჯერ კიდევ დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მეხილეობა, როგორც დარგი, კვლავაც უყურადღებოდაა მიტოვებული, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა – დაქსაქსული და ხშირ შემთ- [...] ბი – სახელმწიფო სექ[...] რში ჰექტარზე მიღებული [...] ცენტნერი მარცვლეული [...] სრულებითაც არ იძლევა [...] მშეიდების უფლებას. მით უმეტეს, სხვა კულტურებ[...] იმდენად დაბალი მოსავალი [...] მიღებული, რომ ზოგან ხა[...] ვერ მოიმკეს, რაც დათესე[...]. მეხილეობის საუბარმა ამ დარგში სამარცხვინო [...] ვარდნები მთელი სიგრძე-სიგანით წარმოაჩინა. გორის რაიონში სახელმწ[იფო] სექტორში დარჩენილი 100[...] ჰექტარი თესლოვანი ხილ[ის] ბაღიდან ჰექტარზე სამ[...]ლოდ 22 ცენტნერი ხილია [მი]ღებული. რაც შეეხება [კუ]რკოვანს, ხაშურის რაიონ[ის] 236 და კასპის რაიონის 6[...] ჰექტარი კურკოვანი ხილ[ის] ბაღში ერთი კილოგრამი [ხი]ლიც არ მოუკრეფიათ.

სხდომაზე დამაკმაყოფილებლად შეფასდა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმები.

სასკოლო რეფორმის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად საშუალო სკოლებში თორმეტწლიანი სწავლების ციკლის შემოღების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებასთან დაკავშირებით, მხარის ადგილობრივმა თვითმმართველობებმა განათლების განყოფილებებთან ერთად შეიმუშავეს სპეციალური გეგმა. რომლის მიხედვითაც წარმართავენ მუშაობას. მაგრამ ისევ საქართველოს პრეზიდენტს უნდა დავესესხოთ: „ინიციატივები და წამოწყებები კარგია, მაგრამ მოვიდა დრო, როცა ყველაფერმა გამოხატულება უნდა ჰპოვოს ბიუჯეტსა და ეკონომიკურ მაჩვენებლებში“.

საიმედო საძირკველზე მშენობაც საიმედო შენდება. ეკონომიკის აღორძინება, წარმოების გამოცოცხლება და სტაბილიზაცია 1997 წელს ახალ შესაძლებლობებს შეუქმნის საბაზრო ეკონომიკის შემდგომ წარმატებულ მშენებლობას, ხალხის კეთილდღეობისათვის გამიზნული პროგრამების განხორციელებას, ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ისეთი პირობების შექმნას, რომ ლტოლვილები თავიანთ მშობლიურ კერას უშიშრად და დაუბრკოლებლად დაუბრუნდებიან.

ყველაფერი ეს 1997-მა უნდა მოგვიტანოს.

**გურამ ვაშაკიძე,**
**ბონდო მძინარაშვილი,**
„სრ“ სპეც. კორ.

**პრივატიზაცია**

# ზოგი „რაგბის“ ნაცვლად კვლავ „ფეხბურთს“ თამაშობს

**ერთხელ როგორღაც ჰეგელისთვის შეუბედავთ – თქვენ მშვენიერი იდეები გაქვთ, მაგრამ ისინი ფაქტებს არ ესადაგებაო. მით უარესი ფაქტებისთვისო – უპასუხია ფილოსოფოსს.**

**დიდი მოაზროვნის ეს ქარაგმულად ნათქვამი პრივატიზაციასთან დაკავშირებით გამახსენდა. დღეს ამ მოვლენას ეკონომიკის თეორეტიკოსები სხვადასხვანაირად განსჯიან. ერთნი ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესს დაქცეული ეკონომიკის აღმავლობის პანაცეად ნათლავენ, ხოლო მეორენი მის კიდევ უფრო დამაქცევლად.**

**მოდავეთა შორის ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი?**

ამ კითხვას შეიძლება ერთგვარად პასუხი გასცეს სტატისტიკამ, უამრავმა ფაქტმა, ციფრმა, მოვლენამ, რომლებიც თავმოყრილია ახლახან გამოცემულ წიგნში **„საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები“**. მასში აღწერილია სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობა, განხილულია ცალკეული შედეგები, თვითკრიტიკულად არის შეფასებული ნაკლოვანებები, რომლებიც თან ახლავს პრივატიზების მტკივნეული პროცესის მსვლელობას.

ეს ზოგადად, კონკრეტულად კი აი როგორ სურათს იძლევა ნაშრომი, რომელსაც საფუძვლად დაედო სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიში „საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიმდინარეობისა და მასობრივი პრივატიზების შედეგების შესახებ“ (იგი საქართველოს მთავრობამ შარშან სექტემბერში განიხილა).

ქვეყანაში პრივატიზების პროცესი, ნათქვამია მასში, პრაქტიკულად 1993 წლის მარტში დაიწყო, რასაც წინ უძღოდა სათანადო საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და მიღება. იგი დაიწყო მეტად რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებაში: ქვეყანას არ ჰქონდა სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, საკუთარი ვალუტა, მძვინვარებდა ომი, პარალიზებული იყო მრეწველობა და ტრანსპორტი, ენერგეტიკა, საფინანსო-საკრედიტო სისტემა. ამას არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა საქმის მსვლელობაზე, რამაც იჩინა კიდეც თავი იმ პერიოდში დაშვებულ დარღვევებსა და ნაკლოვანებებში.

მაგრამ ეს როდია მთავარი. უფრო არსებითია პრივატიზების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო საკუთრების გარდაქმნას საკუთრების სხვა ფორმებად, მოქალაქეთა მიერ სახელმწიფო საწარმოთა ქონების (ფასიანი ქაღალდების) შეძენას, მეურნეობის ძირითად დარგებში სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაციას, კერძო საკუთრების დამკვიდრებას, კონკურენტული გარემოს შექმნას, კერძო მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბებას. საბაზრო მეურნეობაზე გადასვლას, საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის მთლიანად შეცვლას.

მშვენიერი პროგრამაა, მაგრამ განვლილ პერიოდში შევძელით კი დასახული მიზნების განხორციელება? ნაშრომის ავტორთა აზრით, გარკვეულწილად შევძელით.

დღეისათვის საქართველოში პრივატიზებულია 8500-ზე მეტი ობიექტი, აქციონირებულია 970-ზე მეტი საშუალო და მსხვილი საწარმო, მიმდინარეობს ჯანდაცვისა და პურპროდუქტების ობიექტების, ენერგეტიკის სფეროს პრივატიზება. სახელმწიფო საკუთრების საწარმოთა (ქონების) გარკვეული ნაწილის პრივატიზების გზით ჩამოყალიბდა კერძო მესაკუთრეთა ფენა (400 000 კაცზე მეტი).

გზადაგზა მოხდა საკანონმდებლო ბაზის შევსება-სრულყოფა, მასობრივი („ვაუჩერული“) პრივატიზება, რამაც ხელშესახები შედეგები გამოიღო. ამ პროცესის გააქტიურებას დიდად შეუწყო ხელი 1994 წლის მაისში სახელმწიფოს მეთაურის № 178 ბრძანებულების მიღებამ, რომლებმაც შრომით კოლექტივებს მისცა შესაძლებლობანი აერჩიათ თავიანთი საწარმოს მესაკუთრე ან მესაკუთრეთა ჯგუფი, რომელსაც პირდაპირი მესყიდვის წესით შეეძლო (კონკურენციის გარეშე) შეეძინა აქციათა საკონტროლო პაკეტი, ამასთან საფასურის 30 პროცენტი დაეფარა საპრივატიზებო ბარათებით.

აღნიშნული მექანიზმი მიმზიდველი აღმოჩნდა მომავალ მესაკუთრეთათვის. ბრძანებულებით ისარგებლა 600-მდე საწარმომ (აქედან 100-მდე საწარმოს აქციათა პაკეტები სრულად იქნა გამოსყიდული), პირდაპირი წესით აქციათა პაკეტების შესყიდვის გზით მსხვილი მესაკუთრე გახდა 64 ათასზე მეტი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელთა საკუთრებაში გადავიდა 50 მილიონ დოლარზე მეტი ნომინალური ღირებულების 40 მილიონ ცალამდე აქცია. საწარმოს მუშაკებსა და მათთან გათანაბრებულ პირებზე უფასოდ და 20 პროცენტის ფასდაკლებით აქციების გაცემის შედეგად 200 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო 16 მილიონ დოლარამდე ღირებულების 11,5 მილიონამდე ცალი აქცია, მათ შორის უფასოდ 8 მილიონამდე აქცია.

მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი ფენის სოციალური დაცვის მიზნით პრივატიზებული სახელმწიფო ქონების გარკვეული ნაწილი, მოსახლეობას ვაუჩერების სახით გადაეცა უფასოდ. მას, რომელიც მაშინდელი აღწერის მიხედვით (1995 წლის მარტი) შეადგენდა 5 098 736 ადამიანს, დაურიგდა 4 264 541 ვაუჩერი (83,64 პროცენტი), რომელთაგან დასაქონლებულია 4 040 815 ვაუჩერი (დარიგებულის 92 პროცენტი). ამასთან 43381 ვაუჩერი გაიცა გაკოტრებული კომპანიებისა და ბანკების 9 454 მეანაბრეზე.

ეს ფაქტები, სტატისტიკა, ცალკეული მონაცემები, მაგრამ რა იმალება ამ ფაქტების იქით, როგორია მათი ანალიზი, დასკვნები? ხომ არ ხდება ისე, რომ რაოდენობრივ ცვლილებებს ვხედავთ და თვისობრივს ვერა, ხეებს ვამჩნევთ და ტყეს ვერა?

ნაშრომში გარკვეულწილად ამაზეც მოიპოვება პასუხი. არის ცალკეული საკითხებისა და პრობლემების ანალიზი, გაკეთებულია დასკვნები.

კერძოდ?

ქვეყანაში დასრულდა პრივატიზების პირველი ეტაპი. დაიწყო მეორე ეტაპი, მაგრამ „საკუთრების უფლების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად სახელმწიფო საკუთრების ქონება ჯერაც არ არის გამიჯნული რესპუბლიკურ, ავტონომიურ და მუნიციპალურ საკუთრებად. სერიოზული ხარვეზებია მოქმედ საგადასახადო სისტემაში (ახლა სწორდება), რაც აძნელებს პრივატიზებულ საწარმოებში ახალი მესაკუთრეების საქმიანობას.

სახალხო მეურნეობის რიგ დარგებში ვერ მოხერხდა სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისი პრივატიზების დარგობრივი პროგრამების შემუშავება. არსებული კონცეფციები სწრაფად იცვლება და ხშირად ერთმანეთის გამომრიცხავია.

სახელმწიფო საკუთრების დიდი ნაწილი ჯერაც არ არის პრივატიზებული. მეურნეობის რიგ სფეროებში კვლავაც ბატონობს სახელმწიფო მონოპოლია. ჩამოუყალიბებელია ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ამოქმედების მექანიზმი, განხორციელებული პრივატიზების შედეგად ჯერ კიდევ სრულად ვერ მოხერხდა საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია.

არ არსებობს სახელმწიფო ქონების შესახებ ზუსტი აღრიცხვის მონაცემები. აქედან გამომდინარე, ნაშრომის ავტორებს აუცილებლად მიაჩნიათ სახელმწიფო ქონების აღწერა-ინვენტარიზება და ისიც, რომ ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები სახელმწიფო ქონების მართვის ტერიტორიულ ორგანოებს დაექვემდებაროს.

ვერაფერს იტყვი, სამართლიანი მოთხოვნაა. უსამართლობად (ამასთან ერთად საოცრებად) ის უნდა ჩავთვალოთ, რომ დღემდე პრივატიზება ასეთი აღწერა-ინვენტარიზების უქონლად მიმდინარეობდა. თუ არ იცი რა ქონების პატრონი ხარ, მას როგორ გააპრივატიზებ ან შემდეგ როგორ მართავ?

ნაშრომში მიმზიდველად არის წარმოჩენილი რა დიდი ოდენობის ვაუჩერები დაურიგდა უფასოდ მოსახლეობას, მაგრამ აბა თუ ვინმემ გააანალიზა, ამით ის რეალურად რის მფლობელი გახდა? ფაქტობრივად არაფრის. მოსახლეობის უმეტესობამ ის ჩალის ფასად (4-5 ლარად) გაყიდა, ხოლო იმათგან, ვინც ამა თუ იმ საწარმოს აქცია შეიძინა, სავარაუდოა, რომ ამ საწარმოთა დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ის 5 ლარიც დაკარგა. არსებითად მოტყუებული დარჩა ვაუჩერი[...] „დაკმაყოფილებული“ გაკოტრებული კომპანიები[ს] და ბანკების მეანაბრეც.

მაშ ვინ ისარგებლა მასობრივი ვაუჩერიზაციის სიკეთით? საზოგადოების მხოლოდ მცირე (ფულიანმა) ჯგუფმა, რომელიც ბაზარზე გროშებად შეძენილი ვაუჩერების წყალობით სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილის მესაკუთრე გახდა. ოფიციალური მონაცემებით პრივატიზებული ობიექტების 55-60 პროცენტი წარმატებით ართმევს თავს ამოცანებს. ბევრი ობიექტის მესაკუთრემ გააუმჯობესა მუშაობა, გაზარდა ასორტიმენტი, მომსახურების კულტურა, კეთილმოაწყო შეძენილი საწარმოები და მიმდებარე ტერიტორიები.

ასეთებს, როგორც იტყვიან, ღმერთმა შეარგოს შეძენილი ქონება, მაგრამ მესაკუთრეთა შორის მ[...]ნარებიც რომ მრავლად გვყავს? ამაზე მეტყველებს იმავე ნაშრომში მოყვანილი ციფრი – პრივატიზებული ობიექტების 40-45 პროცენტი კვლავ უმოქმედოა, რომელთაგან ზოგიერთის ამუშავების პერსპექტივაც არ ჩანს.

რით შეიძლება აიხსნას ასეთი წარუმატებლობა? ობიექტების მეპატრონენი ამას ძირითადად იმა[ს] აბრალებენ, რომ ქვეყანაში არ არის შექმნილი მ[...] წარმეობის განვითარების ხელშემწყობი პირობები, აუტანლად მძიმეა არსებული საგადასახადო პოლიტიკა, პრიორიტეტი არ ეძლევა ადგილობრივ ნაწარმს და სხვა. ესეც არის, მაგრამ ამას რომ ხშირად მათი ბედოვლათობაც ემატება? რა დასამალია, ზოგი ჩვენი საწარმოს ხელმძღვანელი თანამედროვე „რაგბის“ ნაცვლად კვლავ „ფეხბურთს“ თამაშობს, არ სწავლობს ფინანსებს, მენეჯმენტს, მარკეტინგს, კონკურენციას და ბუნებრივია საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელ რთულ სიტუაციებს თავს ვერ ართმევს.

რა თქმა უნდა, ასეთ მესაკუთრესთან ერთობლივი საწარმოს შექმნის, არავითარი სურვილი არ აქვს უცხოელ ინვესტორს და ამიტომაც ნელა ან საერთოდ არ იყიდება საწარმოთა აქციები. ამ უკანასკნელს სხვა ფაქტორებიც უწყობენ ხელს (აქციების მაღალი ფასი, მოძველებული ტექნოლოგიები, კონკურენტუნარო პროდუქცია და ა. შ.), მაგრამ უმთავრესი ალბათ მაინც ეს არის.

გამოსავალი? რა თქმა უნდა, მოიძებნება, მით უფრო, რომ პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული კანონი „გაკოტრების შესახებ“. მაგრამ უმჯობესია, თუ საქმეს აქამდე არ მივიყვანთ და იმ ტალღას გავყვებით, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის ზრდის გზაზე ბოლო პერიოდში გამოიკვეთა. მხედველობაში მაქვს 1996 წლის შიდა პროდუქტის 10-12 პროცენტით გადიდება და ეკონომიკაში კერძო სექტორის დომინირება, რომელიც შარშან კიდევ უფრო გამოიკვეთა.

სასიხარულოა, რომ დღეს საქართველოში წარმოებული შიდა პროდუქტის სამი მეოთხედი კერძო სექტორში იქმნება. და ეს მოიტანა ეკონომიკურმა რეფორმებმა, რომელიც ახლა კულმინაციის სტადიაშია. მოდით ამ გზიდან ნუ გადავუხვევთ.

**ოთარ ხუციშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პირველო პირებო, პირველ-მეორეზე გაითვალეთ!

ამერიკის დედაქალაქი ემზადება საზეიმო აქტისათვის – თანამდებობა უნდა დაიკავოს აშშ პრეზიდენტმა. კაპიტოლიუმის საფეხურებზე მიმდინარეობს რეპეტიცია ცერემონიისა, რომელიც 20 იანვარს გაიმართება. სურათზე თქვენ ხედავთ, როგორ უწევს ინსტრუქტაჟს ერთ-ერთი განმკარგულებელი გენერალ-მაიორი ფოული სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც სახელმწიფოს პირველ პირებს განასახიერებენ. ცერემონიის დროს მათი გადაადგილების თანამიმდევრობა ამთავითვე უნდა დაიხსომონ სამხედრო აღლუმის მონაწილეებმა, რათა თვით ინაუგურაციამ უზადოდ ჩაიაროს.

# საქმე დაიხურება?

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, გენერალურმა პროკურატურამ შეუცვალა პარამეტრები სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც აღიძრა ელცინის ორი თანაშემწის მიმართ, რომლებმაც წინასაარჩევნო კამპანიის დროს თეთრი სახლიდან 500 ათასი დოლარი გაიტანეს. ლისოვსკის და ევსტაფიევს ბრალად ედებოდათ უკანონო სავალუტო ოპერაციები, მაგრამ ახალი სსკ-ის შესაბამისად ასეთი ოპერაციები აღარ ითვლება დანაშაულად. ეს ინცინდენტი ახლა განიხილება როგორც მოპარვის შემთხვევა. მაგრამ ვინაიდან არავის არ წარუდგენია საკუთრების უფლება ამ ფულზე და არ შეუტყობინებია მილიციისათვის მისი მოპარვის ამბავი, ახალი ბრალდება ფრიად საეჭვოდ გამოიყურება. ამრიგად, ახალი კანონის მიღების შემდეგ საქმე, რომელმაც კამპანიის დაფინანსების საჩოთირო მომენტები წამოატივტივა, შეიძლება მაუდქვეშ დარჩეს.

# იტალიაში გრძელდება კატასტროფების სეზონი

კვირას მილან-ბოლონიას რკინიგზის მაგისტრალზე კატასტროფა განიცადა ულტრათანამედროვე ექსპრესმა — „სტარ-460". „პენდოლინო", როგორც ამ მატარებელს უწოდებენ იტალიაში, საათში 250 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებს. მაშველებს დახვდათ დაგრეხილი ლითონის გროვა. სპეციალური მექანიკური მარტლების მეშვეობით რკინის ტყვეობიდან დაიხსნეს 30-ზე მეტი დაშავებული. სამწუხაროდ, მატარებლის მემანქანეებს, აგრეთვე, 2 პოლიციელსა და 4 მგზავრს დახმარება აღარ დასჭირდათ.

თვითმხილველთა თქმით, ექსპრესი, რომელიც საათში 90 კილომეტრი სიჩქარით უახლოვდებოდა პიაჩენცას სადგურს, მკვეთრ მოსახვევში ლიანდაგს მოსწყდა და ელექტროსადენის რკინა-ბეტონის ანძას შეენარცხა. უძლიერესი დარტყმის შედეგად სამოტორო ვაგონი შუაზე გადატყდა, ხოლო ინერციის ძალამ მას თავზე დააყარა შემადგენლობის შუა და კუდის ვაგონეჭი. ახლა სპეციალისტები „პენდოლინოს" შავ ყუთს სწავლობენ.

# სერბეთი – უფსკრულის პირას

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ევროკავშირის წარმომადგენლის კარლ ბილდტის აზრით, სერბეთი ეკონომიკური და ფინანსური კრახის პირას არის მისული, წერს „ტაიმსი". ბილდტის ინფორმაციით, უკანასკნელი კვირის მანძილზე სერბულმა ვალუტამ – დინარმა – თავისი ღირებულების მესამედი დაჰკარგა „შავ ბაზარზე". სერბეთის ეკონომიკის კოლაფსს ნეგატიური შედეგები მოჰყვება სრპსკას რესპუბლიკის – სერბთა კონტროლს დაქვემდებარებული ბოსნიის ნაწილისათვის. საქმე ის არის, რომ სრპსკას რესპუბლიკა კვლავინდებურად იყენებს ვალუტად სერბულ დინარს. კარლ ბილდტმა ბოსნიელ სერბებს მოუწოდა დათანხმდნენ ბოსნიაში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას და მიმოქცევაში ერთიანი ბოსნიური ვალუტის შემოღებას.

# კაზაკები ჩეჩენთა მიწა-წყალს ითხოვენ

სტავროპოლის მხარის კაზაკებმა რამდენიმე ქალაქში გამართეს დემონსტრაციები და მოითხოვდნენ დაუბრუნონ 1957 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემული ტერიტორიები, რომლებიც ამჟამად ჩეჩნეთის ნაწილია. ამ ტერიტორიებად იგულისხმება ნაურსკაიას და შელკოვსკაიას (სტანიცების) რაიონები. ატამანმა იური ჩურეკოემა თქვა, რომ რუსეთის სამხრეთის კაზაკთა ატამანების საბჭო მხარს უჭერს ამ ტერიტორიულ მოთხოვნებს და მზად არის თოფქვეშ დააყენოს 100 ათასი შეიარაღებული კაცი ჩეჩნეთის რუსულენოვანი მოსახლეობის დასაცავად. საბჭო აცხადებს, რომ ამჯერად თავს შეიკავებს ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება დესტაბილიზაცია გამოიწვიოს ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ დასძენს, რომ თუ არჩევნების შემდეგ ჩეჩნეთის ახალი ხელმძღვანელობა შეცვლის რესპუბლიკის სტატუსს, იგი სთხოვს კონსტიტუციურ სასამართლოს, გადასინჯოს 1957 წელს მიწების გადაცემის აქტი. რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ლეონიდ მაიოროემა თქვა, რომ ჩეჩნეთის ტერიტორიის ნაწილის ანექსიის განხორციელება შესაძლებელი საქმეა.

# პრინცესა – „პოლიტიკურ დანაღმულ ველზე"

პრინცესა დაიანა „პოლიტიკურ დანაღმულ ველზე" შედის, წერს „დეილი ტელეგრაფის" ლუანდელი (ანგოლა) კორესპონდენტი. ლედი დაიანა ლუანდაში ჩამოდის, რათა გაეცნოს ქვეით ჯარისკაცთა საწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების შედეგებს. ანგოლა ხომ აფრიკის ყველაზე დანაღმული სახელმწიფოა. რამდენი მილიონი ნაღმი დააყენეს აქ სამოქალაქო ომის დროს, წერს ავტორი, ძნელი სავარაუდოა, მაგრამ ერთი ფაქტი უცილობელია – ინვალიდების რიცხვი ანგოლაში 70-ჯერ მეტია, ვიდრე შეერთებულ შტატებში. უელსის პრინცესას მოგზაურობა მიმდინარეობს წითელი ჯვრის მფარველობით, რომელიც ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების სრული აკრძალვისათვის იბრძვის. მაგრამ როგორც „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი აღნიშნავს, აქ არის ერთი ნიუანსი. დიდი ბრიტანეთი არ შედის იმ 44 ქვეყნის სიაში, რომლებმაც უარი თქვეს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების გამოყენებასა და გაყიდვაზე. ამიტომ, თუ ლედი დაიანა შეუერთდება წითელი ჯვრის მოთხოვნებს, იგი ფეხს შედგამს „პოლიტიკურ დანაღმულ ველზე".

# ირა-ს ახალმა მეთაურმა ლონდონი შეაშფოთა

ინგლისის პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციით, ირლანდიის რესპუბლიკური არმიის – ირა-ს სამხედრო საბჭოში დიდი საკადრო ცვლილებები მოხდა: ახალი წლის დამდეგს აირჩიეს საბჭოს ახალი მეთაური, ირა-ს სარდლის სახელს საიდუმლოდ ინახავენ. მაგრამ ბრიტანეთის უშიშროების ძალების აზრით, უმაღლეს სამხედრო შტაბში მომხდარი გადაადგილება სასიკეთო ნიშანი არ უნდა იყოს და უკვე იანვარშივე შეიძლება მოელოდნენ ტერორისტული აქტების ახალ ტალღას. პირველმა ნიშანმა არ დააყოვნა: შობამდე ორი დღით ადრე ბომბი აფეთქდა ბელფასტის კათოლიკურ ეკლესიაში.



# ცილინდრი 200 წლის არის

ლონდონელი მექუდეები ძმები რეი და დერეკ კორნები ფოტოაპარატის წინ იწონებენ თავს თავიანთ სახელოსნოში, რომელიც მთელ დედამიწის ზურგზე ლამის ერთადერთია, სადაც ცილინდრებს დღემდე ხელით ამზადებენ. ფოტოკორესპონდენტები სახელოსნოში მივიდნენ იუბილესთან დაკავშირებით – 200 წელიწადი შეუსრულდა ცილინდრს, რომელიც პირველად დაიხურა თავზე 1797 წლის 13 იანვარს ლონდონელმა მექუდე ჯონ ჰეტერინგტონმა. ასეთი უცნაური თავსაბურით ქუჩაში გამოსული ჰეტერინგტონი დაუყოვნებლივ დააპატიმრეს კანონმორჩილ მოქალაქეთა გუნება-განწყობილებაში შფოთის ელემენტის შეტანის მცდელობისათვის. ჩვენს დღეებში ცილინდრი მამაკაცის კოსტიუმის განუყოფელი ნაწილი გახდა სხვადასხვაგვარ ოფიციალურ დარბაზობებზე.



სოფია. აქაც ისევე იქნება, როგორც ბელგრადში?



# საით მივდივართ

## როგორი იქნება რუსეთი 1997 წლის დამლევს?

„ობშჩაია გაზეტას" რედაქციაში გაიმართა გარანტთა საბჭოს სხდომა, რომლის მონაწილეებმაც განიხილეს საკითხები: რა მიმართულებით ტრანსფორმირდება პოლიტიკური რეჟიმი და ეკონომიკური სისტემა; არსებობს თუ არა მასშტაბურ სოციალურ აფეთქებათა საფრთხე; შეძლებს თუ ვერა საზოგადოება დაუპირისპიროს დემოკრატიული ძალების პოტენციალი ოლიგარქიულ ტენდენციებს.

ალექსი არბატოვი. ამ ახალ წელს ხდება პოლიტიკური პარტიების, კოალიციების მძლავრი გადაჯგუფება და თვით ამ პარტიების ხასიათის ტრანსფორმაცია. ერთადერთი ჟირინოვსკი დარჩა იმად, რაც იყო, – სრულიად რუსეთის ტაკიმასხარად, დანარჩენები ძლიერ იცვლებიან. კაცმა არ იცის, რას უნდა მოველოდოთ ლებედის ფენომენისაგან: დარჩება იგი ეულ მეომრად, რომელიც ხალხს უყვარს, თუ შექმნის ძლიერ ორგანიზაციას, რომელიც ნამდვილ ოპოზიციურ ძალად იქცევა.

ამ გადაადგილების შედეგად ამომრჩევლებს მიატოვებენ ტრადიციული პარტიები. ხალხი დაინახავს, რომ ეს პარტიები ძლიერ შეიცვალნენ და მთავარი საკითხი იქნება, ვის მიემხრონ. ჩემი შეფასებით, ამ იმედგაცრუებული ხალხის ნაწილი შეადგენს მთელი ელექტორატის 30 პროცენტს და იგი შეიძლება მიემხროს ლებედს, ანდა – იავლინსკის, თუ „იაბლოკო" მკვეთრად შეცვლის პარტიის მშენებლობის მეთოდებსაც და პრაქტიკასაც.

მიმდინარე წელს და, შესაძლოა, უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის (თუ გავითვალისწინებთ რიგგარეშე არჩევნების შესაძლებლობას) სწორედ ეს ნაწილი გადაწყვეტს რუსეთის შემდგომ ბედს. ის, ვინც გულგატეხილ ამომრჩევლებს ახალი იდეით მიიზიდავს, მოექცევა ახალი ტალღის თავზე და გაიმარჯვებს.

ვიაჩესლავ იგრუნოვი. ბევრნი ამბობენ, ოპოზიცია ქრებაო. სინამდვილეში კი ჩვენ უბრალოდ ვუბრუნდებით ძველ, გარდაქმნამდელ პერიოდს, როდესაც მიმდინარეობდა ხელისუფლების კონსოლიდაცია. ამ დროს ხდება ის, რაც საერთოდ ხდება ხოლმე რევოლუციის შემდეგ – წინანდელი, „რევოლუციამდელი" კულტურისაკენ დაბრუნება, რომელიც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი საზოგადოებას.

დიმიტრი ფურმანი. ჩვენს საზოგადოებაში ერთმანეთს ეთანადება ორი საპირისპირო ვექტორის მქონე ძირითადი მოძრაობა. ეს შეხამება განსაზღვრავს სწორედ საზოგადოების მდგომარეობას 1997 წელს. პირველი და ყველაზე ცხადი – ეს არის ტრადიციული, არქაული და არადემოკრატიული პოლიტიკური და სამეურნეო კულტურის მიერ საბაზრო და დემოკრატიული ინსტიტუტების დაქვემდებარება, საზოგადოების დეგრადაცია, რომელსაც არ შესწევს უნარი იცხოვროს არც ახლებურად და არც ძველებურად, და სადღაც „გარდამავალ პერიოდში" გაიჩხირა. 1996 წელი ამ პროცესის კიდევ ერთი ეტაპია. მემკვიდრეობა ბრეჟნევის სისტემასთან სულ უფრო აშკარად ჩანს ყველაფერში – ლიდერის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაწყებული და საგარეო პოლიტიკით დამთავრებული (იგივე შიში ნატოს წინაშე, იგივე ტიპის მეგობრები და მოკავშირეები).

მაგრამ ამ მოძრაობის გარდა არის კიდევ მეორე, – უფრო ღრმა, ნელი და ნაკლებ შესამჩნევი. 1996 წლის არჩევნები იყო ხელისუფლებისადმი ტრადიციული უძლურ-ცინიკური დამოკიდებულების ტრიუმფი, მაგრამ ეს მაინც არჩევნები იყო. თანამედროვე ცხოვრების რა ასპექტიც უნდა ავიღოთ, ყველგან ვხედავთ ერთგვარ გაორებას. ნომენკლატურულ-კრიმინალური ბაზრის მეშვეობით მიმდინარეობს სამეურნეო დამოუკიდებლობის ელემენტარული ჩვევების დანერგვა ჩეჩნეთის ომის მეშვეობით – ასეთი ომების, მთლიანად იმპერიული პოლიტიკის უმაქნისობის გაცნობიერება და ა. შ. ჩვენი დეგრადაცია – ის ფასია, რომელიც იძულებული ვართ ვიხადოთ იმის გამო, რომ არ შეგვიძლია ვიცხოვროთ თანამედროვე განვითარებული მსოფლიოს ნორმებით. არადა, ეს ნორმები უნდა შევითვისოთ. და ჩვენი დეგრადაცია მაშინ დამთავრდება, როდესაც ყველა ამ ნორმას შევითვისებთ. თუმცა, სავეჭვოა, რომ ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელი იყოს 1997 წელს.

ელა პამფილოვა. როდერსაც მოსკოვის ფარგლებს გარეთ გადიხარ, მაშინვე გრძნობ, რომ მოსკოვის პოლიტიკური ელიტა თავისთვის ცხოვრობს, ხოლო დანარჩენი რუსეთი – თავისთვის.

დღეს ჩვენ საბოლოოდ დავასრულეთ დიდი წრე, რომლითაც დავიწყეთ მოძრაობა 1991 წელს. რა არის ეს – დახშული წრე? ალბათ, არა, მაგრამ არც ზეაღმავალი სპირალით მოძრაობაა. ეს უფრო მეტად წააგავს წრეს, რომელიც ძაბრივით ვიწროვდება, გვატრიალებს და მორევივით გვითრევს უძრაობის ჭაობში. დიახ, დღეს ჩვენ ნეოუძრაობის პერიოდი დაგვეიდგა.

რა იქნება შემდეგ? პესიმისტური და, ალბათ, ყველაზე შესაძლო ვარიანტი – მხუთავი უძრაობის მდგომარეობის გაგრძელება. დარწმუნებული ვარ, ამ მთავრობის ხელში არავითარ არსებითს ცვლილებას არ უნდა ველოდოთ.

ნიკოლოზ პეტრაკოვი. 1997 წელს უდავოდ გაგრძელდება ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია. სახელმწიფო ერთი მხრივ სულ უფრო მეტად გაიბლანდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე ნაკისრ არარეალურ ვალდებულებებში, მეორე მხრივ, სულ უფრო მეტად გაიცნობიერებს თავის გაკოტრებას. ბანკირები უნდა მიხვდნენ, რომ მეშახტეებს შესაძლოა ისინი მიჰყვნენ. და მთელი მათი პოლიტიკური ძლიერება, სახელმწიფო სტრუქტურებზე გავლენის მთელი მრავალრიცხოვანი არხები მიადგება ერთ მარტივ, ზმუილივით უბრალო ფაქტს: ხაზინა ცარიელია!

იური როსტი. ეს ახალი წელი რაღაც შემზარავ სიტუაციაში დავიწყეთ. რატომ? იმიტომ, რომ ადამიანები, რომლებიც ჩვენ გვხელმძღვანელობენ, ამ საშიშროებას ვერ იცნობიერებენ, ხოლო თუ გრძნობენ კიდეც, მხოლოდ პირადად საკუთარი თავის ან საკუთარი კორპორაციის მიმართ. დღეს ქვეყანაში ხელისუფლების ერთადერთი ოპოზიცია – ეს არის თვით ხალხი. მე რომ მკითხონ, როგორი უნდა იყოს დღეს გაზეთის პოზიციაო, ვუპასუხებდი – ანტისაბჭოთა. მხედველობაში მაქვს ის აზრი, რომელსაც ამ სიტყვაში აქსოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების დროს. თანამედროვე ენაზე რომ ვთარგმნოთ, ეს გახლავთ – ანტისამთავრობო, ხელისუფლების საწინააღმდეგო პოზიცია.

## შესაძლებელია თუ არა სოციალური აფეთქება

ა. არბატოვი. სამწუხაროდ, უფრო შესაძლებელი და მოსალოდნელია კრიზისული განვითარებაც. ვითარება შეიძლება ააფეთქოს ორმა გარემოებამ. პირველი – ეს არის ჩვენი ეკონომიკური, საბიუჯეტო საქმეები, მეორე – როგორ წარიმართება ჩეჩნეთთან ურთიერთობა. ჩაცხრება ვითარება თუ პროცესი ისეთ სტადიაში გადავა, როდესაც მთელი ჩრდილოეთი კავკასია იფეთქებს და დაიწყება უმართავი ჯაჭვური რეაქცია.

ახლა, რაც შეეხება საბიუჯეტო კრიზისს. ჩვენში ბიუჯეტზეა მიბმული ეკონომიკის უდიდესი ნაწილი, გამოცალკევებული ფინანსურ-ოლიგარქიული სტრუქტურის გარდა, რომელიც არაფერზე არ არის დამოკიდებული. აი, სწორედ ბიუჯეტთან დაკავშირებულმა ადამიანებმა შეიძლება იფეთქონ. თუნდაც მხოლოდ სამხედრო ბიუჯეტიდან ჩანს, რომ შეიძლება მოხდეს რაღაც ისეთი, რაც ან შემუსრავს მთავრობას და ყველაფერს ქაოსად აქცევს, ანდა აიძულებს ძირფესვიანად შეცვალოს მთელი პოლიტიკა: დაიწყოს ფულის ბეჭდვა, შემოიღოს ფასებისა და ხელფასების რეგულირება, რათა გადაარჩინოს ქვეყანა სრული კრახისაგან. გაიდარის მოდელი, რომლითაც ჩვენ 1991 წლიდან ვცხოვრობდით, თავის ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია ეკონომიკური დაქვეითების ფონზე ზღვრამდე მივიდა. 1997 წელს ყოველივე ეს დამთავრდება – ამ გზით ველარსად ველარ წავალთ.

დ. ფურმანი. პირადად მე არ მჯერა, რომ წელს რაღაც კატაკლიზმები და ამბოხებები მოხდება. ნებისმიერ კონკრეტულ ამბოხებაზე ყოველთვის მოიძებნება პასუხი ან წყალობის სახით (არ გიხდიან, არ გიხდიან, ბოლოს მოგცემენ, სამაგიეროდ სხვებს არ მისცემენ), ანდა ჩახშობის სახით. რეალური ამბოხებისათვის საჭიროა ის, რაც ჩვენ არ გაგვაჩნია – ორგანიზაცია, მრავალი ერთგული ადამიანი, ალტერნატიული იდეა და ა. შ.

ვ. იგრუნოვი. ახლანდელი სახელმწიფო მანქანა ძალზე პრაგმატულად ანგარიშობს – სად, რა ადგილას, როდის და ვის მისცეს. ამ პრინციპით მოეწყო 1996 წელს არჩევნები – პრეზიდენტისაც და გუბერნატორებისაც. ამავე დროს იზრდება რეპრესიული ხელისუფლება. ყოველი გუბერნატორი ქმნის თავის პრეტორიანულ გვარდიას მუნიციპალური მილიციის სახით, ასმევს და აჭმევს მას, საშუალებას აძლევს თავის მეურნეობაში აკეთოს ის, რაც მას ხელს აძლევს. ეს მილიცია ფარულ ბიზნესს, რეკეტს ერწყმის და ამავე დროს მხარს უჭერს იმ ხელისუფლებას, რომელიც მილიციას ამრიგად ყიდულობს. რა შეუძლია მოსახლეობას დაუპირისპიროს ამ მანქანას? ამიტომ, განვითარების ისეთი ვარიანტი, როგორიც არის ამბოხებათა სერია, ნაკლებად სარწმუნოა.

ახლა ყველგან მიმდინარეობს სახელმწიფოს ფეოდალიზაცია, უფლება-ხელისუფლების გადალოცვა უფრო დაბალ დონეზე პრინციპით: შენ ხმა მოგვეცი, გაიზიარე ჩვენი თამაშის პირობები, და დანარჩენში აბსოლუტურად თავისუფალი ხარო. ეს ფეოდალი თავის ადგილობრივ დონეზე აკონტროლებს ყველაფერს, რაზეც ხელი მიუწვდება: ეკონომიკას, მართლწესრიგს, ადგილობრივ პრესას. ამის შედეგად ვიღებთ ქვეყანას, რომელიც ცოტა ხანში შეიძლება თავზე დაგვემხოს. ჩვენს სახელმწიფოს ემუქრება არა ფართომასშტაბიანი სოციალური აფეთქება, არამედ თანდათანობითი დაშლა.

ე. პამფილოვა. არავითარი სერიოზული სოციალური აფეთქებები არ იქნება. რუსეთი – ეს არის უზარმაზარი ინერციული მასა, აქ სჭარბობს პასიური წინააღმდეგობის სხვადასხვა ფორმები. რა თქმა უნდა, ზოგან შესაძლებელია სასოწარკვეთილების შედეგად მოხდეს ლოკალური კონფლიქტები, მაგრამ მთლიანად – ეს იქნება სხვაგვარი პროტესტი. მისი გარეგნული ნიშნებია – გალოთება, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით სიკვდილიანობის მაღალი პროცენტით ახალგაზრდა ადამიანებს შორის, ფსიქიკური აშლილობის, თვითმკვლელობათა რიცხვის ზრდა და ა. შ. საზოგადოების ასეთი რეაქცია არანაკლებ საშიშია, ვიდრე სოციალური აფეთქებანი – ეს არის ერის ფიზიკური გადაშენება სამამულო წარმოების დაღუპვის ფონზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნისა და მისი ხალხის დეგრადაცია.

ალექსი ყარა-მურზა. რა მოგველის 97-98 წლებში? ეს იქნება იმათი პირველი საუნივერსიტეტო გამოშვება, ვინც გაიდარმა და ლიბერალმა რეფორმატორებმა შეაცდინეს. შეაცდინეს თავიანთი დაპირებებით, რომ ახალგაზრდობას ჩვენში გზა ხსნილი აქვს, რომ გაჩნდა რეალიზაციის დიდი შესაძლებლობანი, რომ ბოლოს და ბოლოს ამ ცხოვრებაში რაღაც შეგიძლია აირჩიო... მსგავსი არაფერი მომხდარა. დარწმუნებული ვარ, ახლანდელი რუსეთის მთავარი პრობლემა ის გარემოებაა, რომ ახალგაზრდობის ვერტიკალური სოციალური მობილურობა თრომბებით არის გაჭედილი. ეს შეიმჩნევა მეწარმეობაშიც.

მე ვერ ვხედავ ჩვენში ახალგაზრდა მუშათა კლასის – იმ რაზმის ჩამოყალიბების პოტენციალს, რომელმაც უნდა აწინაუროს ქვეყანა ტექნოლოგიური თვალსაზრისით. სოფელი, აგრარული სექტორი კვდება, იმიტომ, რომ ახალგაზრდა თაობა ქალაქად მოდის. უნივერსიტეტში სულ უფრო ცოტანი რჩებიან ნიჭიერი ახალგაზრდა ვაჟები – მიმდინარეობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბობოქარი ფემინიზაცია, კულტურული ელიტა სულ უფრო მეტად გადადის შუა და უფროს თაობაში. რუსული კულტურა ბერდება. სამაგიეროდ, იზრდება იმათი აგლომერაცია, ვისაც ჟირინოვსკი „ახალგაზრდა მგლებს" უწოდებს – ცინიკური, ფეხბზემკიდია ახალგაზრდებისა, რომლებისთვისაც მთავარია მხოლოდ პირადი წარმატება.

უახლოეს ხანს ჩვენ მოგველის სოციალური ქსოვილის რღვევა – მკვეთრი, სწრაფი, ბევრგან – ერთდროული. რა დატრიალდება ქვეყანაში, როდესაც უბრალოდ [...] წარმოება და აღარ შესრულდება [...] საზოგადოებრივი ფუნქციები?

## აქვს თუ არა საზოგადოებას დემოკრატიული გამკლავების რესურსი

ე. პამფილოვა. ხელისუფლების დამკვიდრებული სისტემის გარედან გატეხვა თითქმის შეუძლებელია – ეს არის უაღრესად მტკიცე კონსტრუქცია და მას ვერას დააკლებ. საზოგადოებას ჯერჯერობით არ მოეპოვება საამისო ბერკეტები. ფსევდოკომუნისტური პოზიცია პრაქტიკულად შეერწყა ხელისუფლებას, მთავრობას – მათ ერთი ბუნება, ერთი არსი აქვთ. დემოკრატიული ოპოზიცია ერთობ სუსტია. ხელისუფლებისა და კომუნისტების გაერთიანებული ძალისხმევით (თან, ეგრეთ წოდებული დემოკრატიული პრესის შემწეობით) მას დაუთმეს მაყურებლის ადგილი პოლიტიკური თეატრის ქანდარაზე: თუ დაუკრავ ტაშს ხელისუფალთა რაღაც მოქმედების მხარდასაჭერად – შეგაქებენ; ხოლო თუ სტვენას ატეხ, გეტყვიან – აქედან გაეცალეო. 1997 წელს მას არ გააჩნია გაძლიერების არავითარი შანსი. ოპოზიციის ყველაზე გავრცელებული სახეობა გახდება სულიერ-ინტელექტუალური – დაახლოებით ისეთი, ბრეჟნევის დროს რომ არსებობდა ინტელიგენტთა გარემოში. მაგრამ არის ერთი დამაიმედებელი ტენდენცია: ყოველდღიური ცხოვრების სიდუხჭირის გავლენით ქვემოდან იქმნება სამოქალაქო მოქმედების ინსტიტუტები. ავიღოთ თუნდაც მოძრაობა „ჯანსაღი რუსეთისათვის", რომელიც ხალხის ინიციატივით შეიქმნა. სამოქალაქო ინსტიტუტების ჩამოყალიბება შეცვლის საზოგადოებრივი აზრის როლსაც – იგი შეიძენს ძალას, გავლენას, და ხელისუფლება მას უკვე ველარ უგულებელყოფს.

ა. ყარა-მურზა. ჩვენში სულ ტყუილად არ აფასებენ სტიქიური დემოკრატიზმის დონეს რუსეთის ახლანდელ საზოგადოებაში. სინამდვილეში რუსეთში დემოკრატიული პოტენციალი საკმაოდ მნიშვნელოვანია. უბრალოდ, იგი სულ სხვა კალაპოტით წარმართეს. ეს, სხვათა შორის, მოწმობს, რომ ახლანდელი რეჟიმი ტექნოლოგიურად საკმაოდ წიგნიერია, ასეთი დემოკრატიული ტალღის საკუთარი ინტერესებისათვის დამწყვდევას ხომ ცოდნა უნდა?! მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, ინტენსიური მუშაობა დემოკრატიული ცნობიერების რეგენერაციისათვის. საამისო პოტენციალი არსებობს, პრობლემაა – ამ პოტენციალის ლიდერობა.

ვ. იგრუნოვი. ახლანდელ სიტუაციაში ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ერთი: ვაშენოთ სამოქალაქო საზოგადოება და ვიქონიოთ მოსახლეობის თვითორგანიზაციის იმედი, იმის იმედი, რომ სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურები ერთიანად განმსჭვალავენ ქვეყანას – მხოლოდ ისინი თუ გვიშველიან. მაშასადამე, უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ ქვეყანაში იყოს სამოქალაქო საზოგადოებაზე, ჰუმანიტარულ ღირებულებებზე – და არა ბაზარსა თუ პრივატიზაციაზე – ორიენტირებული ოპოზიციური პარტიები. და საერთოდ, უნდა გავიცნობიეროთ, რომ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაძლებს მარტოოდენ ძალადობის, ეკონომიკის თუ სამართლის წყალობით – ყველა სახელმწიფო ემყარება გარკვეულ სულიერ იდეას, რომელიც აერთიანებს ადამიანებს, ყოველივე დანარჩენი მისი დანამატია. დროა, დავუბრუნდეთ იმის გაგებას, რომ ამასწინანდელი დემოკრატებისათვის ისეთი სასაცილო ლოზუნგები, როგორიც არის სამართლიანობა, ადამიანის სიცოცხლის ღირებულება, ადამიანის უფლებები, – სწორედ ეს არის ისტორიის ცენტრალური მომენტი.

იბეჭდება შემოკლებით.

# ვისა აქვს უფლება შეცვალოს მდინარის კალაპოტი

საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტის მეთაურმა დიოდ სენაშიმ, საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელმა, გაბჩიკოვის კაშხალთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საერთაშორისო სასამართლოს მომავალი პროცესის დროს, სლოვაკეთი არასდროს არ აღიარებს, რომ მან დაარღვია საერთაშორისო სამართალი. ჰააგის სამსჯავრომ მარტის დამდეგს უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ჰქონდა თუ არა უფლება ჩეხოსლოვაკიის მთავრობას, შეეცვალა მდინარე დუნაის კალაპოტი 1992 წელს, კანონიერი იყო თუ არა უნგრეთ-ჩეხოსლოვაკიის 1977 წლის შეთანხმების მოქმედების შეწყვეტა, როდესაც ეს უნგრეთმა განაცხადა, და იყო თუ არა კანონიერი უნგრეთის გადაწყვეტილება შეეჩერებინა და შემდეგ შეეწყვიტა მთელი სამშენებლო სამუშაოები გაბჩიკოვო-ნადმაროშის ელექტროსადგურში. როგორც სენაშიმ თქვა, უნგრეთისა და სლოვაკეთის პრემიერთა პირადი დესპანების კონფიდენციალურ მოლაპარაკებას, რომელიც მიზნად ისახავდა შეთანხმების მიღწევას „საქმის სასამართლომდე მიუყვანლად", არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

# კიდევ ერთხელ ალკოჰოლის მარგებლობის შესახებ

ალკოჰოლის ზომიერი მოხმარება ამცირებს მამაკაცთა შორის გულ-სისხლძარღვთა დაავადებით სიკვდილით რისკს, წერს ამერიკის მედიკოსთა ასოციაციის ჟურნალი. მეცნიერები 10 წლის მანძილზე იკვლევდნენ 40-დან 84 წლის ასაკის 22 ათას მამაკაცს. ამ დროის მანძილზე 1200 პაციენტი გარდაიცვალა, ძირითადად კიბოსა და გულის დაავადებათა შედეგად. მაგრამ მამაკაცები, რომლებიც ალკოჰოლს კვირაში 2-6-ჯერ იღებდნენ, მესამედით უფრო ნაკლებნი დაიხოცნენ, ვიდრე ისინი, ვინც კვირაში ერთხელ სვამდა.

ამავე დროს, ვინც იშვიათად სვამს, იშვიათად ავადდება ალცჰაიმერის ავადმყოფობით და იმუნური სისტემის მოშლილობით. დასკვნა, რომელიც მეცნიერებს გამოაქვთ, უბრალოა: ყოველი მამაკაცი სმის საკითხებზე თავის ექიმს უნდა მოეთათბიროს.



# ხარის წელიწადი

ქვეყნებში, რომლებიც ახალი წლის დადგომას მთვარის კალენდრის მიხედვით აღნიშნავენ, დღესასწაულს დიდი გამომგონებლობით ხვდებიან. ამ ტაივანელმა ხელოსანმა გადაწყვიტა იმით გამოეჩინა თავი, რომ ძველი გაზეთებისაგან „გამოძერწა" ხარი, რომლის წელიწადი 7 თებერვალს იწყება. თითქმის 2 მეტრი სიმაღლის ხარის ამ თავისებური ქანდაკების დამზადებას დასჭირდა 180 კილოგრამი გაზეთი და 36 კილოგრამი წებო.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას" და „პლანეტა-ფორტეს" მასალების მიხედვით.

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე

საქართველოს რესპუბლიკა
№11. ხუთშაბათი, 16 იანვარი, 1997 წელი.
ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯექსონ ჰოლი, ვიომინგი. ტყეში სეირნობისას.

# კეთილგონიერება და სახიფათო პოლიტიკა

## ჯეიმს ბეიკერი

ჩვენი ქვეყნების უშიშროების და ეკონომიკური ორგანიზაციების შესახებ დასმული შეკითხვის საპასუხოდ, მან წამოაყენა წინადადება, „მოდით, დავშალოთ ორივე – ნატოც და ვარშავის პაქტიც. მოდით, გავათავისუფლოთ თქვენი და ჩვენი მოკავშირეები. სანამ იარსებებს ნატო, იარსებებს ვარშავის პაქტიც. რაც შეეხება CEMA-ს, იგი რეკონსტრუქციას საჭიროებს (CEMA იყო COMECON-ის საბჭოთა აბრევიატურა. ეს გახლდათ ეკონომიკური ორგანიზაცია, რომელიც ვარშავის პაქტის ქვეყნებს აერთიანებდა). თუკი ეს ორგანიზაცია განვითარდება და გადაკეთდება, იგი კვლავაც იარსებებს, თუკი იგი გააგრძელებს მუშაობას ისე, როგორც მუშაობდა დღემდე, ასეთ შემთხვევაში, იგი არ გამოადგება არც ჩვენს მოკავშირეებს და არც ჩვენ. ჩვენ ვცდილობთ მის გადაკეთებას, მაგრამ ამას დრო დასჭირდება. შემიძლია აღვნიშნო კოლის განცხადება, რომელიც მან თავისი პარტიის კონგრესზე გააკეთა. თუ თქვენ არ წაგიკითხავთ ამის შესახებ, სჯობს წაიკითხოთ".

„ეს ძალიან ჰგავს 1930-იან წლებში გერმანელი ლიდერების მიერ გაკეთებულ განცხადებებს და მან ჩვენი სერიოზული შეშფოთება გამოიწვია... იგი ულტიმატუმებით ლაპარაკობდა. მან აგრეთვე თქვა, რომ საბჭოთა კავშირი დაშლის ზღვარზეა. დაშლის ზღვარზეა CEMA-ც და, კოლის თქმით, დასავლეთის ამოცანაა არსებულ ვითარებაში სამოქმედო გზის გამონახვა".

მე არ მსმენოდა იმ განცხადების შესახებ, რომელზეც იგი საუბრობდა, მაგრამ უკვე მაშინ ჩემთვის ნათელი გახდა, რომ გერმანიის საკითხმა საფიქრალი გაუჩინა საბჭოელებს და მათ ემოციურ სიმებს შეეხო, მაშინ, როდესაც ევროპის საკითხმა – არა. მე ვუპასუხე, რომ ჩვენ არ გვინდოდა რეგიონის რომელიმე ნაწილში არასტაბილური ვითარება ყოფილიყო, რომ „ჩვენ გვსურდა აღმოსავლეთ ევროპაში ერთიანი და თავისუფალი ევროპა გვენახა, სადაც ბოლო მოეღებოდა დანაწევრებას და ყოველივე ეს მშვიდობიანად იქნებოდა მიღწეული".

შევარდნაძე დამეთანხმა, მაგრამ თქვა, „საჭიროა პატივი ვცეთ არსებულ რეალობას". იგი აშკარად 'აღმოსავლეთ ევროპას გულისხმობდა.

„პერესტროიკა ძალას იკრებს და გამოყენებას გდრ-ში პოულობს", ვუპასუხე მე. „ალბათ, მალე აღარ იქნება ბევრი მსურველი დატოვოს გდრ. როგორც იცით, პერესტროიკა იქ ნელი ტემპით ვითარდება".

იგი ისევ საშინაო პრობლემებზე გადავიდა: „ეს სიმართლეა, მაგრამ თითოეულმა ქვეყანამ თავად უნდა გადაწყვიტოს, როგორ იცხოვროს".

მერე ისევ ლოგიკას მიმართა: „თუმცა, ათასობით ადამიანი, რომელიც საბჭოთა კავშირის დატოვებას ცდილობს, უეჭველია, რაღაცას ამბობს სისტემის, მისი მუშაობის შესახებ".

„მათი ნათქვამი არ არის ყოველთვის მართალი", მიპასუხა მან. „საბჭოთა კავშირში ჩვენს დროში ბევრად უფრო დიდი თავისუფლებაა დაშვებული. და მაინც, ყოველწლიურად საბჭოთა კავშირს თითქმის 100.000 ადამიანი ტოვებს. თქვენ იცით, რომ აზრთა თავისუფალი გამოხატვის თვალსაზრისით, ჩვენ არასოდეს გვქონია ასეთი კარგი მდგომარეობა, როგორც დღეს და მაინც, ხალხს წასვლა უნდა". ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც შევარდნაძე თავისი საბჭოთა წარმოშობის გამო იძულებული იყო დაეცვა საბჭოთა სისტემა.

„რაც შეეხება გდრ-ს", განაგრძო მან, „ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მათ მაღალი ცხოვრების დონე და კარგად განვითარებული სოციალური ინფრასტრუქტურა აქვთ. იქ ბინის პრობლემა ძირითადად გადაჭრილია. ასევე აქვთ ცენტრები, სადაც დღის განმავლობაში მოსამსახურე მშობლებს შეუძლიათ თავიანთი შვილები მიაბარონ. ზრდიან სპორტის ბევრ ჩემპიონს".

„მაშინ როგორ ახსნით, რომ ამდენი ხალხი ტოვებს ქვეყანას?" არ ვეშვებოდი მე.

„ამის მიზეზი, შესაძლებელია, ოჯახების, ნათესავების დაყოფაა, ეს შესაძლოა, გარკვეულ როლს ასრულებს". საბოლოოდ, „არაფორმალურმა", პრაქტიკულმა გონებამ დასძლია მის „ფორმალურ" ლოგიკას. „მაგრამ, ნება მომეცით, ვთქვა, რომ ამ პრობლემის გადაჭრა არ არის ჩვენზე დამოკიდებული, ეს მათი საქმეა. ჩემზე რომ იყოს, ვისაც წასვლა უნდა – ყველას გავუშვებდი. რა თქმა უნდა, თუ ერთი მილიონი ადამიანი წავა – ეს მნიშვნელოვან პრობლემას შეუქმნის აღმოსავლეთ ევროპას, მაგრამ მე მათ გავუშვებდი". გერმანიის საკითხზე ჩვენი დისკუსიის დროს, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელდა, ნათლად ჩანდა შევარდნაძის შინაგანი წინააღმდეგობანი და დაძაბულობა. ეჭვს არ იწვევდა, რომ საბჭოთა მხარესთან მუშაობა გერმანიაში მიმდინარე გარდაქმნების მართვის საკითხზე ბევრად უფრო რთული და საკამათო იქნებოდა, ვიდრე გარდაქმნები აღმოსავლეთ ევროპის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

### ჯექსონ ჰოლის მნიშვნელობა

ჩვენ დავეშვით ჯექსონ ჰოლის სუფთა, მთის ჰაერში, შემდეგ გავიარეთ წითელი ფიანდაზი და გუბერნატორმა, მაიკლ სულივანმა კოვბოის ქუდები და ეტიკეტები გვაჩუქა. შევარდნაძე და მისი თანმხლები პირები ნამდვილად აღელვებული ჩანდნენ იმ ფაქტით, რომ ამერიკის დასავლეთში იმყოფებოდნენ.

მომდევნო სამი დღის განმავლობაში ცხრაჯერ შევხვდით ერთმანეთს და ჩვენი ურთიერთობების მთლიანი სპექტრი განვიხილეთ. თითოეულ საკითხში ჩვენ გვქონდა წინსვლა და, მინდა ვიფიქრო, რომ ყოველივე ამას დიდად შეუწყო ხელი გარშემო აღმართულმა ტეტონებმა, მდინარე სნეიკმა (გველის მდინარე) და ჯექსონ ლეიქ ლოჯის სოფლის სანახებმა. რა თქმა უნდა, შეკრების მოწყობა პროცედურული კოშმარი იყო და ეს შესაძლებელი გახადა მხოლოდ კარენ გრუმსის და მეთიუ სმიტის ძალისხმევამ, რომელიც თეთრ სახლთან ჩვენი პოლიტიკური დამაკავშირებელი და კონფლიქტების მომგვარებელი იყო, მათ ისიც კი მოახერხეს, რომ იმოვეს წყვილი ამერიკული ირემი, რომლებიც მთის კალთების ძირში ბალახობდნენ. ამით მათ სურათის გადასაღები ფონი შეგვიქმნეს.

მისი მოქმედების სტილიდან აშკარად ჩანდა, რომ შევარდნაძე საშინაო საქმეებით იყო დაკავებული. როგორც ყოველთვის, ის შინაგანად დამუხტული და შემართული იყო, მაგრამ იგი ბევრად უფრო ხშირად სარგებლობდა ჩანაწერებით და ბევრად უფრო ხშირად იხმობდა თავისი დელეგაციის წევრებს. ეჭვგარეშეა, ეს იმით აიხსნებოდა, რომ პლენუმი ერების თაობაზე ახალი დამთავრებული იყო.

ჩვენმა დისკუსიამ ეკონომიკურ რეფორმებზე ეს შთაბეჭდილება გააძლიერა. საუბრებში შევარდნაძემ ჩართო ნიკოლოზ შმელიოვი, ბრწყინვალე ახალგაზრდა „რადიკალი" (ე. ი. საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული) ეკონომისტი. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ რუბლის ინფლაციის შეჩერების საკითხზე, თუ რისი გაკეთება შეიძლებოდა ამ მიმართულებით, მაგალითად, გაგვეზარდა საშინაო კონკურენცია, შეგვექმნა სოციალური უზრუნველყოფის ქსელი და გაგვევითარებინა ფასთა სისტემა. ყველა ეს აუცილებელი ნაბიჯი იყო რეალური რეფორმების საქმეში წინსვლისათვის და საბოლოოდ, მანეთის კონვერტირებისათვის. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ შევარდნაძემ შმელიოვი მოიყვანა ეკონომიკის საკითხებზე ლექციის წასაკითხად, რომელშიც ჩვენი ჩართვა უნდოდა. ეჭვგარეშეა, რომ შევარდნაძე ასევე იმედოვნებდა მოსკოვში შმელიოვის აქციების გაზრდას, რასაც ხელს შეუწყობდა ამ შეხვედრაში მონაწილეობა.

შეიარაღების კონტროლთან დაკავშირებით პირდაპირ დავუსვი შეკითხვა შევარდნაძეს, უკავშირებდა თუ არა საბჭოთა კავშირი ერთმანეთს START-ის და თავდაცვისა და კოსმოსის მოლაპარაკებათა შეთანხმებებს. რაზეც იგი დამეთანხმა (ამ საკითხზე საუბარი იყო გორბაჩოვის წერილში), და აღნიშნა, რომ სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღების თაობაზე შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული ურთიერთგაგება თავდაცვითი და კოსმოსური ხელშეკრულებების თაობაზე, ან იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც დაშვებული იყო ABM ხელშეკრულებით. ეს იყო დრამატული გარღვევა. მანამ, სანამ არ გავწყვეტდით ამ კავშირს, ნებისმიერი პროგრესი, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ კონკრეტულად START-ის საკითხებზე, მხოლოდ ჰიპოთეზური იქნებოდა. ჯექსონ ჰოლში შევარდნაძე ასევე დაეთანხმა ჩვენს პოზიციას, რომ რაკეტები, რომელთა გაშვებაც ხდებოდა ზღვიდან, არ უნდა ყოფილიყო ჩართული START-ის ხელშეკრულებაში, თუმცა მან შემოგვთავაზა, რომ ეს საკითხი მოგვეგვარებინა, როგორც უფრო დიდი ძალისხმევის – საზღვაო შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხის – ნაწილი.

ჩვენ ასევე მივაღწიეთ შეთანხმებას დარჩენილ საკითხებზე ბირთვული გამოცდის მოლაპარაკებების და ქიმიური იარაღის ორმხრივი შეთანხმების თაობაზე. პროგრესი ამ მიმართულებით იმის მანიშნებელი იყო, რომ ჩვენს თანამშრომლობას შეეძლო არა მარტო დაესრულებინა ძველი საკითხები, მაგალითად, ბირთვული გამოცდის საკითხი, რომელიც თხუთმეტი წლის განმავლობაში გაგრძელდა, არამედ, ასევე, მნიშვნელოვანი პროგრესისათვის მიგვეღწია ახალ საკითხებზე. პრეზიდენტმა ვიცე-პრეზიდენტად ყოფნის დროს პირადად დადო ქიმიური იარაღის ხელშეკრულება მაგიდაზე, მან მთელი გამოსვლა მიუძღვნა ატომური იარაღის გავრცელების საფრთხეს თავისი საარჩევნო კამპანიის დროს და პირადად ჰქონდა გადაწყვეტილი მიეღწია ქიმიური იარაღის აკრძალვისათვის. იგი ყოველთვის გვერდით იდგა, როდესაც მჭირდებოდა მისი ჩართვა, იმ მიზნით, რომ გამეტეხა აშშ-ის მთავრობის ბიუროკრატია ქიმიური იარაღის საკითხთან დაკავშირებით. ვაიომინგში შევარდნაძესთან ერთად ჩემს მიერ გაწეულმა მუშაობამ საჭირო დახმარება აღმოუჩინა პრეზიდენტს, რამდენიმე დღის შემდეგ უფრო ფართო ინიციატივებით წარმდგარიყო გაერთიანებული ერების გენერალურ ასამბლეაზე ქიმიური იარაღის საკითხებით.

რეგიონულ კონფლიქტებთან დაკავშირებით შევარდნაძემ პრეზიდენტს ვაიომინგში უთხრა, „ჩვენ არ გადავალთ ჩვენს ნათქვამს, არ გავგზავნით იარაღს ნიკარაგუაში". ჯექსონ ჰოლში მან წინ წამოწია საბჭოთა იარაღის საკითხი, ამტკიცებდა რა, რომ საბჭოელები აღარ ამარაგებენ ნიკარაგუას სასიკვდილო იარაღით. მან თქვა, რომ არ შეეძლო ელაპარაკა კუბის სახელით, მაგრამ ფიქრობდა, რომ შესაძლებელი იყო მათი შეიარაღების შემცირება. ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ მთხოვა გადამეცა მისთვის ფაქტები, თუ მქონდა, კუბელების მიერ სანდინისტებისათვის, ან მანაგუას მიერ სალვადორში FMLN-ისათვის იარაღის მიწოდების თაობაზე და იგი ამ საკითხს დააყენებდა მხარეების წინაშე. „საბჭოთა კავშირი არ ჩათვლის ამ ქვეყნების მიერ სსრ კავშირისადმი მიცემული ვალდებულებების დარღვევას მეგობრულ აქტად".

გარდა ყველაფრისა, აღნიშნული მიღწევები გულგახსნილ, არაფორმალურ ატმოსფეროში იქნა მოპოვებული. ჩვენი საუბრისას არა მარტო შევარდნაძემ და მე დავამსხვრიეთ ფორმალური ბარიერები, არამედ ჩვენი დელეგაციის ბევრმა წევრმაც. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ვაიომინგმა ჩვენს პირად ურთიერთობებს ახალი ელფერი შესძინა – და ეს კავშირები ბევრი იმ წარმატების გასაღებად იქცა, რომელთაც დრამატული მოვლენების დროს მივაღწიეთ მოგვიანებით, შემოდგომაზე, როდესაც საბჭოთა კავშირში გართულდა საშინაო პრობლემები და აღმოსავლეთ ევროპამ თავი დააღწია სსრ კავშირს.

ჩვენს უკანასკნელ ღამეს, არაფორმალური შეხვედრისას მწვადზე, შევარდნაძემ ყველა განაცვიფრა და ბევრი აალელვა, როდესაც მაჩუქა რუსეთში დამზადებული მინანქრის სურათი, რომელზეც გამოსახული იყო ქრისტე – ხალხის წინაშე მდგომი მასწავლებელი – და მითხრა, „ხედავთ, ჩვენ, კომუნისტებიც კი, ვიცვლით ჩვენს მსოფლმხედველობას". ჩემი მხრივ, შევარდნაძეს ვაჩუქე ერთი წყვილი კოვბოის ჩექმა და ვუთხარი, რომ ეს ჩექმები „ზოგჯერ აქ ეხმარება ხალხს მოლაპარაკების რთული გზის გავლაში. და იცით, ზოგჯერ ვფიქრობ, რომ იმ სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელსაც ჩვენ ვასრულებთ, ყურადღება გვმართებს, თუ სად ვადგამთ და როგორ ვადგამთ ფეხს. ამიტომაც ჩავთვალე, რომ კოვბოის ჩექმები შეიძლება დიდად გამოგადგეთ მოსკოვში". მაშინ არ შემეძლო მცოდნოდა, თუ როგორი მოლიპული გახდებოდა მიწა ყველა ჩვენგანისათვის.

(გაგრძელება იქნება).

თარგმნა ნანა ავალიანმა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 6-10.

## იუბილე

# დიდი გზა - შრომით და სიყვარულით განვლილი



ბატონ მამია ზოდელავაზე წერა ერთდროულად იოლიც არის და ძნელიც. იოლია იმიტომ, რომ მისი ხანგრძლივი და მრავალწლიანი, მრავალმხრივ ნაყოფიერი საქმიანობის წყალობით მასზე სალაპარაკო ძალიან ბევრია, მაგრამ ამავდროულად მისი თავმდაბლობა, რომელიც მასთან ხანმოკლე სტუმრობისას მეც ვიგრძენი, აძნელებს მასზე, მის პიროვნულ თვისებებსა და დამსახურებაზე დაწვრილებით საუბარს.

– შვილო, დიდი მადლობელი ვარ, პირადად თქვენიც და რედაქციისაც, რომ შეწუხდით და მეწვიეთ, მაგრამ ღმერთმანი, გულწრფელად გეუბნებით, არაფერი გამიკეთებია ისეთი, განსაკუთრებით წარმოსაჩენი და საგაზეთო რომ იყოს, – მისთვის დამახასიათებელი რაღაცნაირი შინაგანი ხიბლითა და დამაჯერებლობით მითხრა ბატონმა მამიამ, მაგრამ, რაკი მობრძანდით, მიმსახურეთ...

ამ დღეებში ბატონ მამიას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

როცა შეხვედრა ვთხოვე, როგორც მოგახსენეთ, დამთანხმდა, სურათის გადაღებაზე კი უარი მითხრა, ახალგაზრდობის სურათი გამომიტანა. არადა, სიბერე თითქოს ჯერ არც კი შეპარვია, ისევ მხნე და ძველებურად წარმოსადეგია...

სტუდენტობის პერიოდშივე გამოიმუშავა ორგანიზატორის უნარჩვევები, თითქმის არ ყოფილა საქართველოში სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, სადაც მას არ ემოღვაწოს. იყო საკავშირო და რესპუბლიკური უმაღლესი საბჭოების დეპუტატი, მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული მშენებლის საპატიო წოდება.

ბატონი მამია წლების განმავლობაში იყო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მშენებლობის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე. ყველგან, სადაც კი უმუშავნია, მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა.

– ხელმძღვანელი და უფროსი ბევრი მყავდა, მითითებებს ვასრულებდი შეძლებისდაგვარად, და, რაც მთავარია, ჩემი სინდისის წინაშე ყოველთვის მართალი ვიყავი, – იგონებს იუბილარი. არ არის რესპუბლიკაში არც ერთი ჩაის ფაბრიკა, ღვინის თუ საკონსერვო ქარხანა, რომლის მშენებლობაში მონაწილეობა არ მიმეღოს...

ბევრი რამ გაიხსენა ბატონმა მამიამ თავისი ცხოვრებიდან. მათ შორის, შეხვედრა პეკინში მაოძედუნთან...

– მაშინ საკავშირო დელეგაციის წევრი ვიყავი, მაო-ძედუნს მოახსენეს, რომ მე საქართველოდან, სტალინის ქვეყნიდან ვიყავი, ცერემონიალზე ხელმეორედ მომიხმო და მკითხა, რაიმე პრობლემა ხომ არ მქონდა იქ ყოფნის პერიოდში. რა თქმა უნდა, მადლობა მოვახსენე... მაშინ ჩვენ იქიდან ბამბა ჩამოვიტანეთ.

ჩინეთში იმ დროს ცხოვრების მძიმე პირობები იყო, მაგრამ მაინც კმაყოფილები იყვნენ, რადგან თუნდაც დროებით ხალხმა სამუშაო იშოვა. ყველაფერი ბევრი იყო ქალაქში, მაგრამ ხალხს ფული არ ჰქონდა და ვერაფერს ყიდულობდა. რომ ვიგონებ, ძალიან დიდი მსგავსებაა დღევანდელ საქართველოსთან...

ბევრი საინტერესო დეტალი მოიგონა ბატონმა მამიამ. მაჩვენა საპატიო სიგელი, რომელიც იუბილესთან დაკავშირებით გამოუგზავნა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ...

სიტყვამართალი, პურმართალი, გულმართალი, სიკეთისა და სილამაზის მსახური – ამ სიტყვებით ულოცავენ იუბილარს მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები და უსურვებენ მზეგრძელობას...

ჩვენც ვუერთდებით ამ სურვილებს.

მრავალჟამიერ, ბატონო მამია!

ნანა სულავა.

## გახსენება



# გიორგი (რიკო) ჩხოლარია

ტრადიციულ კოლხურ ოჯახში იზრდებოდი ქართული რაინდული სულისკვეთებით. ადრეული ასაკიდანვე გულით შეიყვარე და შეისისხლხორცე ვაჟკაცური სპორტი — ცხენოსნობაც. ტოლს არ უდებდი ბევრად შენზე უფროს მხედრებს და აბა, როგორ იკადრებდი დამფრთხალი ცხენისთვის თავი მიგენებებინა — ალვირისთვის ხელი შეგეშვა ან განსაცდელის ჟამს ცხენიდან გადმომხტარიყავი...

დაგცლოდა კარგი იყო, გარემოების კვალდაკვალ ალბათ გაიმეორებდი ქართველთა მამაცობას.

შენი ნალოლიავები ცხენი კიდევ დიდხანს დაელოდება შენთან ერთად გაჯირითებას (იმ დღეს ხომ სხვა ცხენზე იყავი ამხედრებული), მაგრამ ამაოდ...

შენი ტოლები მაგალითად დაგიგულებენ და არასოდეს დაგივიწყებენ შეუპოვარ და გულმართალ ძმაკაცს.

რიკო ჩხოლარია აღარ არის. 8 წლისა ბრძოლაში დაიღუპა — ვარჯიშის დროს წინააღმდეგობის დაძლევას შეეწირა!

შენი ოჯახის წევრებისა და ახლობლებისათვის ყოველთვის წმინდა იქნება იპოდრომის ის ადგილი, სადაც ხეს შეასკდა შენი ნორჩი სიცოცხლე.

მყუდრო სავანედ გექცეს შენი ქვეყნის მიწა, პატარა მხედარო, ყრმაო ვაჟკაცო... არასოდეს დაგივიწყებთ.

დამწუხრებული ოჯახი.





იყიდება ტიპიური ოროთახიანი სუფთა ბინა ლოჯიით. რესპუბლიკური საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის მოპირდაპირე მხარეს 5-სართულიანი სახლის მე-2 სართულზე. აქვს ტელეფონი. მსურველმა დარეკოს 37-06-96 ან 37-68-61.

ვაქირავებ ქალაქის ცენტრში, ლერმონტოვის ქუჩაზე 300 კვ. მ. ფართობის გარემონტებულ ნახევრადსარდაფს ტელეფონით ოფისისათვის, საწყობისათვის ან სხვა დანიშნულების ობიექტისათვის. დარეკეთ: 94-09-48, საღამოს საათებში.

იყიდება სამოთახიანი ბინა ვაკეში, ყიფშიძის ქუჩა № 8, 12-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე, საშუალო რემონტით, ტელეფონით, სარდაფით, გარაჟით ორი მანქანისათვის და გარაჟის ქვეშ სარდაფი 12 კვ. მ. ბინის საერთო ფართია 100 კვ. მ. ფასი 45 ათასი დოლარი. ტელეფონი: 29-34-11.

იყიდება ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა საბურთალოს ბაზართან. ტელ: 38-93-59, როზა.

ვაქირავებ საბურთალოზე, კერძო სახლის პირველ სართულზე 100 კვ.მ. ფართს საწყობის ან წარმოებისათვის. ფასი 200 დოლარი თვეში. ტელ: 37-47-16.

ვყიდი არასტანდარტულ სამოთახიან ბინას ვაკეში, შატბერაშვილის № 4-ში, მე-3 სადარბაზო, ბინა 35. საერთო ფართი 130 კვ.მ. აქვს ტელეფონი, სარდაფი და გარაჟი. ტელ: 23-10-81 საღამოს. ტელ: 36-11-68 დილით, ირაკლი ან რუსიკო.

იყიდება ერთოთახიანი ბინა ტელეფონით და კედელში ჩაშენებული კარადებით. აბაზანა და ტუალეტი კაფელითაა მოპირკეთებული, 8-სართულიანი სახლის მე-3 სართულზე, კინო „საქართველოს" წინა სახლში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 61-85-60, მერაბი.

იყიდება ოროთახიანი ბინა დიღმის მასივში, III კვარტალი, II კორპუსი, მე-8 სართული, ბინა 66, ტელ: 51-04-98. ბინას აქვს სარდაფი და გარაჟის ადგილი.

იყიდება სვანეთის უბანში, მე-5 ბავშვთა საავადმყოფოსთან, საკუთარი სახლის სამი ოთახი შუშაბანდით, ეზოში მანქანის გასაჩერებელი ადგილით, ხეხილით, სათავსოებით. საწყისი ფასი 15000 დოლარი. ტელ: 96-12-73, ლია.

იყიდება სასწრაფოდ ქვიშხეთში, ცენტრთან ახლოს, ორსართულიანი სახლი 148 კვ. მ. ფართით ექვსი ოთახით, ლოჯიებით, აივნებით, საუკეთესო ხედებით, 1000 კვ. მ. ეზოთი, ხეხილის ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 99-58-48, ნელი.

ქირავდება 11 კვ. მ. ფართის ერთი ოთახი, კერძო ეზოთი და ტელეფონით (ერთი ან ორი სტუდენტი გოგონასთვის). ფასი 30 ლარი. ბინა მდებარეობს მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან", ინფექციური საავადმყოფოს გვერდით, ცაგარელის (ყოფილი კრონშტადტის) ქუჩა. ტელ: 37-44-71.




ვყიდი ოროთახიან, გარემონტებულ ბინას დიღმის მასივში, 14-სართულიანი სახლის მე-8 სართულზე ტელეფონით. ფასი 14000 დოლარი. ტელ: 51-83-40, ნინო ან 51-98-24, ინგა.

იყიდება იაფად სამოთახიანი ბინა ვაკის პარკთან. საერთო ფართი 100 კვ. მ. ჭერი 3 მ. დიდი სარდაფით და აივნით. ერთი მხრიდან ბელეტაჟი, მეორე მხრიდან პირველი სართული. ტელ: 22-09-53.

იყიდება 1000 კვ. მ. მიწის ნაკვეთი სართიჭალის ცენტრში, ხეხილით და ვენახით. ფასი 1000 ლარი. ტელ: 64-64-39.

იყიდება მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის პლატოზე, 450 კვ. მ. სახლის აშენების უფლებით და დამტკიცებული პროექტით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 31-53-36.

ქირავდება ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა ვაკეში, ტელევიზორით, ტელეფონით, ავეჯით. მისამართი. კავსაძის № 9, მე-3 სართულზე. ტელ: 29-22-17 ან 22-05-38.

ქირავდება სასაწყობო მეურნეობისათვის დიდი ფართის შენობები ორხევის დასახლებაში, აეროპორტთან ახლოს. ფასი შეთანხმებით. ტელ: 78-34-72, 71-61-46.

იყიდება ხუთოთახიანი, ჩეხური პროექტის, კაპიტალურად გარემონტებული ბინა ტელეფონით, სარდაფით, ავტოფარეხით დიდ დიღომში, დ. თავდადებულის ქ. № 22-ში. ტელ: 60-50-90.

იყიდება ხუთოთახიანი ბინა (4(1) თექვსმეტსართულიანი სახლის მე-16 სართულზე. ბინის საერთო ფართია 160 კვ. მ. ბალანჩივაძის (ხილიანის) ქუჩაზე. ბინას აქვს სარდაფი, ავტოფარეხი. საწყისი ფასია 35000 დოლარი. ტელ.: 36-11-66, 93-89-53.

ვყიდი ოროთახიან ბინას, წერეთლის პროსპექტზე, მე-2 სართულზე ტელეფონით, ლოჯიით და სამზარეულოთი. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 35-48-37. დარეკეთ 1-დან 19 საათამდე.

იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელსაც უშენდება დიდი ლოჯია და ოთახი. ბინა არის ტიციან ტაბიძის 39-ში, ვაკის პარკთან, მე-4 სართულზე. დარეკეთ 34-73-54. ფასი 15 ათასი დოლარი.

იყიდება 1100 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ხეხილის ბაღით. ორთაჭალაში, დიდი ხეივნის ქუჩაზე. ნებადართულია პრივატიზებული ბინის აშენება. დარეკეთ: 95-74-63; 10-დან 17 საათამდე.

იყიდება თემქაზე, ხუთოთახიანი, ინდივიდუალური პროექტით აშენებული ბინა მე-11 მ/რ-ში, III კვარტალის 50-ე კორპუსის მესამე სართულზე ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 60-58-01.

იყიდება ახალი, არაბული ორი სავარძელი და ჟურნალების მაგიდა. მაგიდა ოვალურია, მარმარილოს ზედაპირით. ფასი 600 დოლარი. ტელ: 61-11-39 ან 61-25-48.

იყიდება ახალი, არაბული ავეჯის კომპლექტი; დივანი, ორი სავარძელი მასიური ხის ჩუქურთმებით, დაჩითული ხავერდით, მუქფერებში და ჟურნალის მაგიდა, ოვალური მარმარილოს ზედაპირით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 61-11-39 ან 61-25-48, საღამოს საათებში.

იყიდება ანტიკვარული, გერმანული პიანინო საშუალო ზომის, მანდლებით, შავი ფერის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 96-75-87, იკითხეთ კობა.

იყიდება ანტიკვარული ტანსაცმლის კაკლის კარადა; კარგ მდგომარეობაშია. ფასი 100 დოლარი. ტელ: 71-08-76.

იყიდება ანდატრის ქურქი, ზომა 48, ფასი 600 ლარი. ტელ: 38-39-04.

### ავტომანქანები



იყიდება ავტომანქანა „ფორდსიერა", რომელიც გამოშვებულია 1984 წელს. მანქანა თეთრი ფერისაა და ორკარიანია, მოტორის სიმძლავრე 1,6 მოცულობისაა. აქვს ყველა სათადარიგო ნაწილი, ფასი შეთანხმებით. ტელ: 31-59-20, 31-59-52, 31-93-79, ზაური, გურამი.

იყიდება ავტომანქანა „გაზ-53"-ის მარკის ბენზინმზიდი, 4200 ლიტრის ტევადობის, კარგ ფორმაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 78-58-89, საღამოს, გურამი.

იყიდება ავტომანქანა „ფიატქრომა", 1988 წლის გამოშვება. ფასი 5700 დოლარი. ტელ.: 96-74-75, გიორგი.

იყიდება ავტომანქანა „მულტიკარი" ახალი ძრავით, კარგ მდგომარეობაში. ტვირთამწეობა 2 ტონა. ფასი შეთანხმებით. ტელ: 71-25-11.

ვყიდი შეღავათიან ფასებში ავტომანქანა „ვოლგა-21" სათადარიგო ნაწილებს – კარებს, უკანა ფრთებს, კარნიზებს და სხვ. ტელ: 98-40-29.

იყიდება „ზილ-157", ახალი, სამხიდიანი მანქანა. ფასი 2000 დოლარი. მისამართი: ჩაპაევის 1 შესახვევი, № 11, ტელ: 66-70-98.

იყიდება ახალი ჩამოყვანილი, ძალიან კარგ მდგომარეობაში მიკროავტობუსი „ფოლკსვაგენი". გავლილი აქვს 22000 კმ. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-22-46.

იყიდება „ვაზ 21-09" მარკის ავტომანქანა 1991 წ. გამოშვებული კარგ მდგომარეობაშია. ფასი შეთანხმებით. ტელ: 93-10-80.

იყიდება ავტომანქანა „გაზ-21"-ის ორი წინა და ორი უკანა ახალი ფრთები, წინა და უკანა მარცხენა კარები, წინა და უკანა ფარი (შიტოკი). ყველაფრის საწყისი ფასი 350 დოლარი. ტელ: 96-12-73, გია.

შევიძენ ქიგულის მარკის მანქანას 1000 ლარის ფარგლებში. ტელ: 22-22-46.

ვიქირავებ ავტომანქანას თვეში 30-40 დოლარად. ტელ: 95-75-85 ან 99-04-48, 10-დან საღამოს 7 საათამდე.

იყიდება „გაზ-69" ძალიან კარგ მდგომარეობაში, ახლად გაკეთებული ხიდითა და ძრავით, ფასი 3000 დოლარი. 95-19-53, დათო.

### სხვადასხვა

შევიძენ იატაკის დასადგმელ 2 მ. სიმაღლის კარგად შენახულ საათს (სასურველია იყოს მუხის ფერი) ხელმისაწვდომ ფასში, რომელიც იქნება მუშა მდგომარეობაში. ტელეფონი: 38-89-14.

იყიდება დიდი ზომის იტალიური წარმოების 2-სართულიანი მასიური ბრინჯაოს ჭაღი ბროლის მოსართავებით – ერმიტაჟის ერთ-ერთი ჭაღის ასლი, საწყისი ფასი 4 ათასი დოლარი. ტელ: 37-68-61, 37-06-96.

ვამზადებ მოწაფეებს ინგლისურ ენაში ბინაზე მისვლით. შეღავათიან ფასებში. მსურველებს ვთხოვ დარეკოთ ტელ: 93-10-04 თამუნა. 15 საათის შემდეგ.

ვაქირავებ ავტომანქანა „კოლხოზნიკს" ტელ: 29-10-90.

იყიდება ტანსაცმლის ანტიკვარული კარადა, რომელიც კაკლის ხისაა და კარგ მდგომარეობაშია. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 71-08-76.

იყიდება ცხრაფოთლიანი „გორკა". გაკეთებულია საქსონიაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-77-50.

# ალმშენებელი

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთი

№ 1

16 იანვარი. 1997 წელი


ღმერთმა დალოცოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, გაზეთ „ალმშენებლის" გამომცემელნი და მკითხველნი.

ქრისტესმიერი სიყვარულით ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს.

ილია II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1997 — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საიუბილეო წელი

1928 წელს ყოველთვიურ ჟურნალ „ტეხნიკა და ცხოვრებაში" (№ 29) ინჟინერი ივანე ყიფშიძე (პოლიტექნიკური ფაკულტეტის მაშინდელი მდივანი) წერდა: „1922 წლის 16 იანვარს უნივერსიტეტთან გაიხსნა უკვე ქართული პოლიტექნიკური ფაკულტეტი. პირველი სხდომა ფაკულტეტისა, რომელიც შესდგა ამ დღეს, გახსნა რექტორმა, პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა, რომელიც მიესალმა ახალ ფაკულტეტს და აღნიშნა მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის. აქვე ამორჩეული იყო აგრეთვე პროფესორი ალექსანდრე დიდებულიძე და მდივნად დოცენტი ივ. თულაშვილი. დაარსებული იყო სამი განყოფილება: სამშენებლო, მექანიკური, სამთომადნო. სწავლა დაიწყო გაზაფხულის სემესტრით. პირველ სემესტრშივე ჩარიცხული იყო ახალი სტუდენტები 142 კაცი, გადმორიცხული იყო ტფილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან 70 კაცი, სულ 182 სტუდენტი".

ეს მოხდა ზუსტად 75 წლის წინათ... 1922 წლის 16 იანვარს დაარსდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.



## გილოცავთ!

უკვე ისტორიად ქცეულმა 1996-მა წელმა წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი დიდი ოჯახის – ტექნიკური უნივერსიტეტის ცხოვრებაში. სწორედ გასულ წელს გაფართოვდა და თვისობრივად შეიცვალა სასწავლო პროცესის შინაარსი. იგი საერთაშორისო სტანდარტებს დაუახლოვდა – განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხების მინიჭებას. აქედან გამომდინარე, საგრძნობლად გაუმჯობესდა შემოქმედებითი შრომის პირობები, გაღრმავდა სასწავლო პროგრამების ჰუმანიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჩვენი თანადროულობისათვის ნიშანდობლივ – ჰუმანიტარული და ტექნიკური მეცნიერების გადაკვეთის მიჯნაზე აღმოცენებულ ახალ – ჰუმანიტარულ-ტექნიკურ სპეციალობათა მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებას და მათი სპექტრის გაფართოებას. არსებობის 5 წლის მანძილზე ჩვენმა საზოგადოებამ უკვე კარგად გაიცნო და სათანადოდაც აფასებს ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სპეციალობებს.

ტექნიკური უნივერსიტეტი ძნელბედობის ჟამსაც აგრძელებს წლების მანძილზე დამკვიდრებულ ტრადიციებს: კვლავაც ატარებს სხვადასხვა სამეცნიერო, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს სტუდენტების მონაწილეობით. ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩაბმულნი სამეცნიერო წრეების მუშაობაში. მათ არაერთ შემოქმედებითს კონფერენციასა თუ სიმპოზიუმზე მოიპოვეს გამარჯვება და აღიარება. ბევრმა მათგანმა თავი გამოიჩინა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაშიც და სპორტულ ასპარეზზეც ღირსეულად დაიცვა საქართველოს პრესტიჟი.

1997 წელი ჩვენთვის საიუბილეო წელია – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დაარსებიდან 75 წელი უსრულდება.

ახალი წელი რწმენისა და იმედის დღესასწაულია. რწმენა და იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა!..

როცა ჩვენს წარსულზე, ჩვენს ისტორიაზე ვფიქრობ, თავს ვუსვამ რიტორიკულ კითხვას: მაინც რამ გადაგვარჩინა, რამ შეგვაძლებინა შეუძლებელი?! პასუხი ერთია: სიყვარულმა, რწმენამ და ნიჭიერებამ!... ზოიმავალშიც უთუოდ ეს „სამება" გადაგვარჩენს.

როცა საქართველოში კალანდა შემოდის, ჩემს ოჯახშიც ყველანი ლამაზად გაშლილ სუფრას მივუსხდებით ხოლმე და იმედიანი სიტყვებით ვლოცავთ ერთმანეთს. დედაჩემი, ოჯახური ტრადიციისამებრ, ცალკე ოთახში განმარტოვდება ხოლმე და „იღბლიან საახალწლო ბარათში" სურვილებს იწერს. მთელი წლის განმავლობაში ამ ბარათს თილისმად ვინახავთ...

ჩვენს დიდ ოჯახსაც – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, ყველას, ვინც აქ სწავლობს და ასწავლის, საახალწლო ნატვრის ასრულებას ვუსურვებ.

**რამაზ ხუროძე.**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი.

## ენერგეტიკა

### მცირე ელექტროსადგურების დიდი პერსპექტივა

დღეისათვის ელექტროენერგიას (ავად თუ კარგად) გრაფიკით მაინც გვაწვდიან, მაგრამ სულ ახლო წარსულში უშუქობით „თვალებჩალამებული" თბილისიც კარგად გვახსოვს. ამ არცთუ სახარბიელო ვითარების ფონზე ფრიად საინტერესოა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის აზრი იმის თაობაზე, რომ ჩვენს ქვეყანას სრულიად რეალური შანსი აქვს, რესპუბლიკისათვის საჭირო ელექტროენერგია თავადვე გამოიმუშაოს.

დღეს, როცა ელექტროენერგიის სტაბილურად მოწოდების გარანტიას ვერავინ იძლევა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ინტენსიურად მუშაობენ არსებული ენერგოსისტემის მუშაობის ეფექტურობის გაუმჯობესებაზეც და ენერგიის ახალი წყაროების შექმნაზეც.

ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა მიკროჰესების მშენებლობისათვის წყალგაყვანილობის სისტემაში არსებული თავისუფალი წნევების გამოყენების საკითხი. როგორც ამ ჯგუფის ხელმძღვანელმა, ბატონმა რაულ თურმანიძემ განაცხადა, ქვეყანას შეუძლია წლის რესურსები რაციონალურად გამოიყენოს და ელექტროენერგიის გარკვეული მარაგიც კი შექმნას. ბატონი რაულის აზრით, ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი რელიეფის მქონე ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა (თბილისის ჩათვლით). ზოგან ტერიტორიის ბუნებრივი დახრილობა წყლის ისეთ წნევას ქმნის, რომ სრულიად საკმარისია ერთ მეგავატამდე სიმძლავრის აგრეგატის ასამუშავებლად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული პროექტის თანახმად, რესპუბლიკის წყალგაყვანილობის ცალკეულ უბნებზე, კონკრეტული პარამეტრების შესაბამისად, შესაძლოა ჩამონტაჟდეს სხვადასხვა სიმძლავრის 300-მდე მზა აგრეგატი და რესპუბლიკა ოპერატიულად მიიღებს რამდენიმე ასეულ (კერძოდ, თბილისი – 20-25) მეგავატ საერთო სიმძლავრეს. ელექტროენერგიის ამგვარად მიღება ეკოლოგიურადაც გამართლებულია და საგრძნობლად იაფიც ჯდება. მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების დაპროექტებისა და დამზადებისათვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საფუძველი მომზადებულია.

ადგილობრივი კადრებისა და საწარმოო საშუალებების გამოყენებით ამ პროექტის განხორციელება სრულიად რეალურია (უკვე დადებულია ხელშეკრულება ქალაქ ხარკოვის ტურბინების ქარხანასთან). როგორც ბატონი რაული ამბობს, ერთი ასეთი მცირე ელექტროსადგური 500-მდე ოჯახს „გამოკვებავს".

ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად გააანალიზა ქალაქ თბილისის სამგორის წყალსადენის ტერიტორიაზე პირველი ობიექტის მშენებლობის ეფექტურობის საკითხი (ჰიდროაგრეგატებს დაამონტაჟებენ თბილისის ზღვიდან გამომავალ ორ წყალსადენ მილზე). თუ შესაბამისი სამსახურები სათანადო ყურადღებას მიაქცევენ ამ პროექტს და მის რეალიზებას, ექსპერტთა ჯგუფი გვარწმუნებს, რომ ელექტროენერგიის პრობლემა ასე მწვავედ აღარ დადგება.

ჰიდროპროექტი, რომელიც წყალსამეურნეო ობიექტის ენერგეტიკული მიზნებით გამოყენების და ამ ნაგებობაზე მცირე ჰიდროელექტროსადგურების დამონტაჟებას ითვალისწინებს, ნამდვილად დიდ პერსპექტივებს გვთავაზობს, მაგრამ არც ისე იოლია მისი განხორციელება. თუმცაღა, ცივი ზამთარი უმოქმედობასაც არ გვაპატიებს.

**ეკა სეხნიაშვილი,**

პტფ-ის ჟურნალისტიკის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი.



მიკროჰესის სქემა

## თანამშრომლობა

### ბურთიც არის და მოედანიც...

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი უჩვეულოა. უჩვეულოა იმით, რომ მთლიანად ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ არის მომზადებული და ეს სტუდენტები ტექნიკური დარგის ჟურნალისტიკის სპეციალობის პირველი-მეოთხე კურსელები არიან, არა მოყვარული ენთუზიასტები, არამედ საუნივერსიტეტო მრავალტირაჟიანი გაზეთის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები და თანამშრომლები.

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მრავალი საეროვნო საქმის მესაფუძვლე თუ ტონის მიმცემი ყოფილა და არა მარტო ტექნიკის, არამედ ჩვენი სულიერების სფეროშიც. ამ მხრივ იგი ბევრჯერ დროსაც კი უსწრებდა. ასეთ სიახლეს წარმოადგენს გაზეთ „ალმშენებლის" გამოცემის დაკისრება ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრისათვის. სტუდენტ ჟურნალისტთა პროფესიული დაოსტატებისათვის უკეთესს, როგორც იტყვიან, კაცი ვერც ინატრებს. ჩვენმა უნივერსიტეტმა ამ მხრივაც გაუსწრო დროს და პროფესიონალი ჟურნალისტების მომზადების უნიკალური პირობები შექმნა. მადლობა ამ იდეის ავტორებსა და განმახორციელებლებს – რექტორს, პროფესორ რამაზ ხუროძეს და პირველ პრორექტორს, პროფესორ რევაზ სტურუას.

ჩვენი გაზეთის კარი ყველასათვის ღიაა. თანამშრომლობისათვის უხმობს ყველა სტუდენტსა და დაინტერესებულ პირს.

ბურთი და მოედანი სტუდენტებისაა. ვიმედოვნებთ, სიტყვა მათი იქნება საქმიანი და საქმე – სიტყვიანი.

ამას გარდა, სპეციალობაში „ტურიზმის ბიზნესი" სტუდენტები პრაქტიკულად დაოსტატებას სასტუმრო „მეტეხში" გადიან. დამთავრების სტადიაშია სტუდენტთა ძალებით ტურისტული საინფორმაციო ცენტრის შექმნის სამუშაოები, „აუდიო-ვიზუალური რეჟისურის" სპეციალობის სტუდენტებისათვის გამართულია სტაციონარული სტუდიით, ორი ვიდეო-კამერითა და სამონტაჟოთი აღჭურვილი სასწავლო ტელე-ლაბორატორია. გამიზნულია ამ ბაზაზე დამოუკიდებელი ტელე-კომპანია „მერმისის" შექმნა.

„საბანკო საქმის" დამამთავრებელი კურსების სტუდენტობა გაერთიანებულ ქართულ ბანკში ეუფლება პრაქტიკულ საქმიანობას. ანალოგიურად, „საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების", „სამართლის", „მთარგმნელობის" სპეციალობის სტუდენტები შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებში გადიან პრაქტიკა, რისთვისაც არ შეიძლება მადლობის სიტყვებით არ მოვიხსენიოთ მათი ხელმძღვანელობა.

კავშირგაბმულობის სამინისტრომში სულ ახლახან გამოიყო რადიოსიხშირე ტექნიკური უნივერსიტეტის რადიო-კომპანიისათვის პირობითი დასახელებით – „უნივერსი". თუ მისი ტექნიკური მხარე კავშირგაბმულობის ფაკულტეტმა უნდა უზრუნველყოს, შემოქმედებითი მომსახურება ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის „ჟურნალისტიკისა" და „აუდიო-ვიზუალური რეჟისურის" სპეციალობების სტუდენტთა ძალებითაა ნავარაუდევი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დიდი სიხარულით მინდა მივესალმო ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთის აღორძინებას. იმედი მაქვს, იგი ჩვენი ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტთა (და არა მარტო მათი) პრაქტიკული დაოსტატების სარბიელად იქცევა.

გაზეთ „ალმშენებლის" სარედაქციო კოლეგია.

საქართველოს რესპუბლიკა
№11. ხუთშაბათი, 16 იანვარი. 1997 წელი.

## ინტერვიუ



# ტექნოლოგიურ პროგრესს ერის გადარჩენის ფუნქცია აქვს

ვესაუბრებით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პირველ პრორექტორს რევაზ სტურუას.

*— ბატონო რევაზ, როგორც ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელს, როგორ გესახებათ ტექნიკური პროგრესის როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში?*

— ნებისმიერი ქვეყნის განვითარების დონე სწორედ ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების დონით განისაზღვრება. შეუძლებელია საზოგადოების კეთილდღეობაზე ფიქრი ტექნოლოგიური პროგრესის გარეშე. ნაჩუქარი თევზი დიდხანს არ გვეყოფა, ჩვენ ანკესი გვჭირდება!

დღეს მსოფლიოში, ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის მოქალაქის სიამაყის სტგანს წარმოადგენს პროდუქცია ეროვნული დამღით. ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ეროვნული ტექნოლოგია არანაკლებ საამაყოა, ვიდრე ქართული ლექსი ან რომანი. ერის გადარჩენის ფუნქცია, ძირითადად, ტექნოლოგიურმა პროგრესმა უნდა იტვირთოს. თუმცა ამ ბოლო დროს „ქვეყნის გადარჩენას" დეკლარაციული ხასიათი აქვს. დიდი და პატარა სწორედ ამ სურვილზე აგებს თავის „ეროვნულ" კონცეფციას. თავისთავად ამაში ცუდი არაფერია, კონკრეტულ დატვირთვასაც რომ ატარებდეს. როცა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე ერის გადარჩენაზე ოცნებობს, ამ „გადარჩენის" კონკრეტული გზაც უნდა დაუსახოს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც წინამძღოლობს.

*— ტექნოლოგიური პროგრესი პირდაპირპროპორციულ კავშირშია სათანადო კადრების აღზრდასთან, აქედან გამომდინარე, რას ფიქრობთ განათლების რეფორმაზე?*

— მივესალმები ნებისმიერ გონივრულ ცვლილებას განათლების სისტემის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური სრულყოფის გზაზე. ამ სფეროში მართლაც, ბევრია სამუშაო. მაგრამ მოცემულ ეტაპზე, ნაადრევი მეჩვენება. განათლებას ჯერ ფორმა უნდა აღვუდგინოთ და მერე ვიფიქროთ მის „რე-ფორმაზე". თავსართი „რე" არსებულზე მანიპულაციას გულისხმობს.

ქვეყანამ, როგორი გაჭირვებულიც არ უნდა იყოს იგი, განათლებაზე ეკონომია არ უნდა გააკეთოს. საბოლოო ჯამში ამ ეკონომიით უფრო მეტს ვაგებთ, ვიდრე ვიგებთ. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი ერთნაირად მისაღებია როგორც ფუნქციონერთათვის, ისე საზოგადოების სხვა ფენებისთვისაც, ჯერჯერობით ვერ ხორციელდება.

ესაუბრა
**თეა მელანაშვილი.**

## პრობლემა

# 4–5 ლარი ფულია?

4-5 ლარი... სულ ეს არის სტუდენტის ჯიბის ფული. ასე რომ, პენსიონერებზე უარეს დღეში ვართ... ჩვენი შემოსავალი გზის ფულადაც არ გვყოფნის, ამიტომ იძულებულნი ვართ სამუშაო ვეძებოთ, მაგრამ...



სტატისტიკური მონაცემებით დღესდღეობით მარტო თბილისში 55392 სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდაა რეგისტრირებული, მათ შორის 51881 უმუშევარია, საქართველოს რესპუბლიკის სოციალური დაცვის შრომისა და დასაქმების დეპარტამენტში კი მხოლოდ 1523 ვაკანსიაა. 1996 წელს შრომის ბირჟამ 605 ოცდაათ წლამდე ახალგაზრდა დაასაქმა (465 მუშა და 155 მოსამსახურე), მაგრამ ეს ხომ წვეთია უმ[illegible]ობის ზღვაში. ჩვენდა [illegible]ალალოდ, ეკონომიურმა გაჭირვებამ, ერთ მავნე ტრადიციას დაუდო სათავე. ბევრი სტუდენტი თავს ანებებს სწავლას და უცხოეთში მიემგზავრება მოსამსახურედ..., რატომ მაინცდამაინც უცხოეთში?.. იმიტომ, რომ რაც აქ სათაკილოდ ითვლება, ჩვენი კუდაბზიკობის გამო, უცხო მხარეში არ ერცხვინებათ. თანაც ხმებს ჰყრიან ნაცნობმეგობრებში, თითქოს სასწავლებლად იყვნენ წასულები. ჩვენი დროის „შემოდგომის აზნაურები" იქ არაფერს თაკილობენ, აქ კი... „რას იტყვის ხალხი? როგორ, ჩემმა შვილმა რომ მტვირთავად, მრეცხავად, გამყიდველად ან მომვლელად იმუშაოს, ხომ მოეჭრა ოჯახს თავი?" — დღემდე ასე ფიქრობენ ქართველი დედები და მამები, რომელთათვისაც ნებისმიერ ასაკში შვილი ბავშვია. ოჯახი ჩვენთვის ერთგვარი გალიაა და მერე ამ გალიაში გაზრდილებს გვიჭირს ბრძოლა არსებობისთვის, აღარ შეგვიძლია დამოუკიდებლად მივაღწიოთ მიზანს.

დროა, ჩვენშიც ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს არაპრესტიჟულ სამუშაო ადგილებზე ახალგაზრდების დასაქმება. უცხოეთში კარგახანია ასეთ სამუშაოზე მხოლოდ სტუდენტებს ლებულობენ და ტრადიციისამებრ სტუდენტურ პროფესიებად ითვლება.

დროა, კუდი ყავარიდან ჩამოვიღოთ, მივდგეთ-მოვდგეთ, ხელი გავანძრიოთ, შრომა არ ვითაკილოთ და ოჯახსაც შევეშველოთ. ბოლოს და ბოლოს თუ სტუდენტურ ასაკში ვერ ვიშოვით ჯიბის ფულს, არა მგონია უკვე დიპლომირებულებმა რამეს მივაღწიოთ ცხოვრებაში. ხომ გაგიგიათ, „მიუჩვეველს ნუ მიმაჩვევ და მიჩვეულს ნუ გადამაჩვევო"... თუ ახლავე არ მივეჩვიეთ შრომას, მერე უფრო გაგვიჭირდება. ერთბაშად შეგვეება... ნუ დავივიწყებთ, რომ შრომა აკეთილშობილებს ადამიანს.

**მაია ზაგაშვილი,**
ჰტფ-ის ჟურნალისტიკის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი.

## სტუდენტური სააგენტო „ფაქტი"

# ადგილები არა გვაქვს!

### რეპორტაჟი ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლიდან

**„სტუდენტთა საყურადღებოდ! საერთო საცხოვრებელში ადგილები არა გვაქვს". — ეს განცხადება სტუდენტური კავშირის კარზე გამოაკრეს... ჩვენც „ცხელ კვალს" მივყევით და თავი კ. გამსახურდიას № 41-ში ამოვყავით! ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში...**

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ № 2 საერთო საცხოვრებელი (ნუცუბიძის პლატოზე) მთლიანად ლტოლვილების განკარგულებაშია, კ. გამსახურდიას № 41-ში კი, სტუდენტური კავშირის მონაცემებით, დღეს სამოცდაათამდე სტუდენტია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ორას უცხოელ ახალგაზრდას, ე.წ. „ბლოკში" რომ ცხოვრობს (დიდი მონდომების მიუხედავად იქ მაინც ვერ შევაღწიეთ!)

### „მოვიდა გარეული, გააგდო შინაური"

დღეს საერთო საცხოვრებელი იძულებით გადაადგილებულ პირთა და აფხაზეთიდან ლტოლვილთა თავშესაფარი უფროა, მაგრამ ყველაფერს აიტან კაცი, მათი მხრიდან კეთილგანწყობა ან პატივისცემა მაინც რომ იგრძნობოდეს. „სტუდენტურ ცხოვრებას გვიშხამებენ, გართობას ვინ ჩივის, სიცილსაც კი გვიშლიან. ამ პრობლემასთან შედარებით, ელექტროენერგიის, წყლისა და ინტერიერის საკითხი ჩვენთვის მეორეხარისხოვანია. ყველანაირად გვავიწროებენ, რომ კიდევ ერთი ბინის ხელში ჩაგდება მოახერხონ" — შემოგვჩივლეს სტუდენტებმა.

კინოსა და დრამის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტმა ლია მინდიაშვილმა კი ერთი კურიოზული შემთხვევა გაიხსენა: „მე მცხეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ვარ და კოლეგები მესტუმრნენ. ერთ-ერთმა ლტოლვილმა ქალბატონმა (ჩემი მეზობელია), რომელიც ალმაცერად გვიყურებს მეც და ჩემს სტუმრებსაც, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ჩემს მეგობრებსა და კოლეგებს ქოთნის ყვავილის ქურდობა დააბრალა და თანაც ლექცია-მოხსენება წაგვიკითხა თემაზე: „თანამედროვე სტუდენტის ზნეობა და მშვიდი ცხოვრების მოყვარული ინტელიგენტი ლტოლვილი".

რაც შეეხება ინტერიერს, „ორიგინალურად" არის მოწყობილი — კედლის ავანგარდული მხატვრობა, პარკეტაყრილი იატაკი, ერთმანეთში გაურკვევლად გადახლართული ელექტროგაყვანილობა (სტუდენტების მიერ შეკეთებული)... აი, მთელი მათი სიმდიდრე.

... სტუდენტებთან საუბრის დროს ღრიანცელი შემოგვესმა. „შემთხვევის ადგილზე" ჩვენც მივედით. „ახალი თავშესაფრის მაძიებელი", სოხუმიდან ლტოლვილი (გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ) სტუდენტი ცოლ-ქმრის ბინაში შეიჭრა და ალიაქოთი ატეხა...

### აუღებელი ციხე-სიმაგრე

გადავწყვიტეთ ლტოლვილებს გავსაუბრებოდით. ბევრმა მათგანმა ცივად მოგვიხურა კარი... ზოგმა ირონიულად ჩაიღიმა პასუხის ნაცვლად, მაგრამ რამდენიმემ ჩაგვაგდო დალაპარაკების ღირსად.

„პირდაპირ აუტანელია ამგვარი ახალგაზრდების გვერდით ყოფნა. ჩვენ სიმშვიდისა და წესიერი ცხოვრების მომხრე ვართ. საერთო საცხოვრებელში ბინის მიღება აუღებელ ციხე-სიმაგრედ იქცა. გარდა ამისა, დღეს ჩვენ უფრო ვსაჭიროებთ საცხოვრებელ ფართს, ვიდრე — ისინი. ბევრმა დაამთავრა კიდეც უნივერსიტეტი, მაგრამ მაინც აქ ცხოვრობს" — უკმაყოფილება გამოთქვეს ჩვენმა რესპოდენტებმა.

ზაურ მუზაშვილი (საერთო საცხოვრებლის სამმართველოს უფროსის მოადგილე): „სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი სახეს კარგავს. მალე იგი დევნილთა სახლად იქცევა... ერთი ოთახის გადასახადი 30 ლარია, მაგრამ 70 სტუდენტიდან მხოლოდ ექვსს აქვს გადახდილი, ან საიდან გადაიხადონ, როცა მათი სტიპენდია 5 ლარიც არ არის... მაგრამ ყველაზე აქტუალურ პრობლემად მაინც ლტოლვილებთან ურთიერთობა რჩება — არც ტკბილი სიტყვა სჭრის, არც მუქარა, არც პროკურატურა, ძალით იჭრებიან დროებით თავისუფალ ბინებში... ერთ წელიწადში, ალბათ, აქ სტუდენტს ველარ ნახავთ".

### „ჩვენ არავინ გვეხმარება"...

გულისტკივილით აღნიშნეს სტუდენტებმა ჩვენთან საუბარში: „აქ მხოლოდ საწოლი დაგვხვდა, კარადა და დანგრეული, ბინძური კედლები, აყრილი იატაკი. დანარჩენი ჩვენ შევიძინეთ, მოვიტანეთ, დავალაგეთ. დღეს კი საკუთარ ნაშრომზე გვედავებიან".

მართალია, კარგა ხანია არც სასურსათო პროდუქტები მიუღიათ, მაგრამ ვერც ადმინისტრაციის და ვერც სტუდენტური კავშირის გულისხმიერებას ვერ უარყოფენ. თუმცალა თვითონვე აღნიშნავენ, რომ „სტუდენტურმა კავშირმა ძალა დაკარგა, უფრო სწორედ, ფული არა აქვს!" მათი თქმით თანადგომა იმაშიც გამოიხატება, რომ 2 წელია ქირას არ ახდევინებენ.

### „ყველა სტუდენტს ვეხმარებით!"

— განაცხადა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირის პრეზიდენტმა ნოდარ მუსერიძემ, თუმცალა კონკრეტულად ვერაფერი გვითხრა. ამავე კავშირის სოციალური დაცვის განყოფილების გამგე გიორგი მამუკელაშვილმა მართალია გვაჩვენა თბილისის № 16 მაღაზიისათვის გადაცემული სია, რომელშიც რაიონიდან ჩამოსულ და გაჭირვებულ სტუდენტთა გვარებია შეტანილი, მაგრამ ამ „გაჭირვებულებს" დიდი ხანია, არავინ დახმარებია.

### ეპილოგის ნაცვლად

ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, სხვა საკითხთა შორის, საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის დეკანმა, დოცენტმა თეიმურაზ ჯაფარიძემ, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელზეც გაამახვილა ყურადღება. როგორც მან აღნიშნა, ჩვენს სტუდენტებს, გარდა იმისა, რომ მართლაც იატაკზე სძინავთ, მორალურ შეურაცხყოფასაც აყენებენ და ბინიდანაც ერეკებიან ლტოლვილები. გასაგებია მათი მძიმე მდგომარეობა, ამ ხალხის სატკივარი ყველას გულწრფელად გვაწუხებს, მაგრამ რა ქნან უბინაო და უსახსრო სტუდენტებმა, სად წავიდნენ?

**ეკა სეხნიაშვილი,**
ჰტფ-ის ჟურნალისტიკის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სადაურსა სად წაიყვან

# ნოსტალგია, მეგობრებო, ნოსტალგია!

ქალბატონი მაკა ჩხეიძე, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, უცხო ენების სპეციალისტი, ამჟამად იოჰანესბურგის უნივერსიტეტის სასწავლო-კვლევითი კათედრის პროფესორია. სრულიად შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა მის მიერ აფრიკიდან გამოგზავნილი წერილები. მართალი გითხრათ, შეგვძრა ემიგრანტის ჩანაწერებმა...

### „რა ეშველება ამხელა უსიხარულო აფრიკას“...

„მენატრებით ყველანი, ვინც მიყვარდა და არ მიყვარდა, ვისაც ვიცნობდი და არ ვიცნობდი. მენატრება ყველა და ყველაფერი, თქვენ წარმოიდგინეთ სიცივეც და უშუქობაც. აფრიკაში ადამიანები მოკლებულნი არიან შუქის მოსვლასთან დაკავშირებულ სიხარულს. აქ არც ცხელი წყალი ახარებთ და არც ურიგოდ აღებული პური. რა ეშველება ამხელა უსიხარულო აფრიკას“... ვკითხულობთ მაკას ერთ-ერთ წერილში, სადაც იგი მისტირის „ქართულ“ უშუქობასა და სიცივეს — უფრო მშობლიურს, ვიდრე აფრიკული სინათლე და სითბოა.

დღეს, მეტი კეთილდღეობისა და ნაკლები პრობლემების ძიებაში, გამოსავალს ზოგიერთები საზღვარგარეთ გადახვეწაში ხედავენ. მაგრამ ქალბატონ მაკას ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს ქართველ ემიგრანტთა რეალური ყოფა.

### წარმოგიდგენიათ!..

„იოჰანესბურგის უნივერსიტეტის სასწავლო-კვლევით კათედრას ენის ინსტიტუტი ჰქვია. უნივერსიტეტში მისვლას აღარ ვაპირებდი, რადგან პრეტორიის უნივერსიტეტის ლინგვისტიკის კათედრის გამგემ მითხრა: „ვაკანტური ადგილები მხოლოდ შავკანიანებისათვის არის“. იმ დღეს დავწყევლე ჩემი კანის ფერი და როცა გადავწყვიტე გავრუჯულიყავი აფრიკის მცხუნვარე მზით, სწორედ მაშინ გაუშავებლად მიმიღეს უნივერსიტეტში“. ეს დიდი მიღწევაა აფრიკაში ჩასული ქართველისათვის!

### რეკომენდაციები ემიგრანტს

თუ ქალბატონ მაკას დავუჯერებთ: „ემიგრანტმა უნდა იცოდეს: ა) ინგლისური, უნდა ჰქონდეს: ბ) სულ ცოტა 30 000 დოლარი, უნდა ჰყავდეს: გ) მანქანა...“ მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ემიგრანტმა უნდა იცოდეს, ყველაზე კარგი ის ადგილია, „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“.

### თუ გაქვს ფული

„შეგიძლია იყიდო ვერცხლის ქვაბი ოქროს სახელურებით და პირიქით, ოქროს ქვაბი ვერცხლის სახელურებით; ვეფხვის ქურქი გარეული ჯორის საყელოთი ან პირიქით — გარეული ჯორის ქურქი ვეფხვის საყელოთი. ბოსტნეულის მაღაზიაში შემოგთავაზებენ ოთხი სახის კარტოფილს: კარგად გარეცხილს, საშუალოდ გარეცხილს, ცუდად გარეცხილს და გაურეცხავს. მე გაურეცხავს ვყიდულობ და გაურეცხავს ვჭამ...“ ჩვენ კი გირჩევთ, თუ გაქვთ ფული... აიღეთ თვითმფრინავის ბილეთი და დაბრუნდით სამშობლოში!

### ქართველები აფრიკაში

„აფრიკელ ქართველთა“ ერთი ნაწილი, ანუ „ნამდვილი“ ქართველები, უდიდესი სიამოვნებით ჭამენ ერთმანეთს. რაც შეეხება მეორე ნაწილს, შესანიშნავი ხალხია. ხშირად ვიკრიბებით და ერთად დავსტირით ემიგრანტის ბედუკუღმართ ცხოვრებას: La nostalgia, მეგობრებო, La nostalgia... შეგვჭამს ეს ნოსტალგია!“

„მაქვს ერთადერთი ოცნება, დავხუჭავ თვალებს და წარმოვიდგენ: თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში ეშვება! თბილისში გაზაფხულია! აეროპორტის მოსაცდელში უამრავი ხალხია! ეს ხალხი მე მელოდება! თბილისში ვარ და აღარსად, აღარსად, აღარსად არ მივდივარ!“ ემიგრანტები სამშობლოში დაბრუნების იმედით ცოცხლობენ!

**ქეთი რაზმაძე,**
ჰტფ-ის ჟურნალისტიკის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი.

## განგაში

**ჩვენდა სავალალოდ, დღეისათვის განქორწინებათა რიცხვი სჭარბობს ქორწინებათა რიცხვს. გარდაცვლილთა რიცხვი კი, ახალშობილთა რიცხვს. სტატისტიკური მონაცემებით 1000 სულ მოსახლეზე (1939 წელს) ბუნებრივი ნამატი იყო 33-35 (ე. ი. იბადებოდა 50 ბავშვი და კვდებოდა 15-17 მოხუცი), 10 წლის წინათ — 9 (11). დღეს კი ეს მაჩვენებელი ნულოვანი წერტილის ქვევითაა... საინტერესოა, რა გველის. ამ პრობლემაზე გვესაუბრება მეცნიერებათა კანდიდატი, სექსოპათოლოგი ბატონი მერაბ ნებიერიძე.**

ჯერ კიდევ 70-იან წლებში, დასავლეთის ქვეყნებში მომხდარმა ე. წ. „სექსუალურმა რევოლუციამ“, ახალგაზრდებს შორის დამოკიდებულება საფუძვლიანად შეცვალა. სოციოლოგიური გამოკვლევის მონაცემებით, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სკოლების მოსწავლე გოგონათა 30 პროცენტზე მეტი 16-17 წლის ასაკში უკვე ეწეოდა სქესობრივ ცხოვრებას (18 წლის ასაკში – 80-90 პროცენტი).

სწორედ 70-იან წლებში, უნაყოფობის გამომწვევ სხვადასხვა დაავადებათა გამოვლენის მიზნით, თბილისის საშუალო სკოლების უფროსკლასელებში ჩატარდა ანალოგიური გამოკვლევა, რომელმაც ცხადყო, რომ მეათეკლასელ გოგონათა დაახლოებით ნახევარი და მეცხრეკლასელთა 15 პროცენტი უკვე ეწეოდა სქესობრივ ცხოვრებას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მას შემდეგ თითქმის 30 წელი გავიდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში ქალიშვილობის ინსტიტუტი კარგა ხანია მოიშალა, მაგრამ მიუხედავად ამისა, შობადობა მაინც კატასტროფულად კლებულობს. თუ ასე გაგრძელდა, 2020 წლისათვის (დაახლოებით 40 წლის შემდეგ), წინასწარი სტატისტიკური გაანგარიშებით, ქართველები წითელ წიგნში შესატანი გავხდებით. პირადად მე, ჯერ კიდევ სამი წლის წინ ავტეხე განგაში, ღია წერილები გავუგზავნე სახელმწიფოს მეთაურს, პატრიარქს, პარლამენტს, 50 პოლიტიკურ პარტიას, მას-მედიას, სადაც მივუთითებდი მოსალოდნელ კატასტროფაზე.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, – როგორც ცხოველებში, ასევე ადამიანებში მოქმედებენ უცნობი მექანიზმები, რომელთა დარღვევასაც სახეობა გადაშენებამდე მიჰყავს. ასე რომ, მომავალში, მილიონერებიც რომ გავხდეთ, ჩვენი გამრავლება მაინც შეუძლებელი გახდება. წითელ წიგნში შეტანილ ცხოველებს დღეს ნაკრძალებში ყველანაირ პირობებს უქმნიან გასამრავლებლად, შედეგები კი უღიმღამოა... ჩვენც იგივე გველის, მაგრამ ჩემს ღია წერილს კანტი-კუნტად გამოეხმაურნენ ზოგიერთები და, ყველაფერი ამით დამთავრდა. დაიკარგა პრობლემა, არადა, სანამ ჩვენ ავშენდებით, დიდი დრო გავა და, ალბათ, მერე ქართული დიასპორიდან მოგვიწევს თანამემამულეთა ჩამოყვანა ჯიშისა და გენის გადასარჩენად. ახლა თუ მიგრაციის ტემპებსაც გავითვალისწინებთ (დღეისათვის 1,5 მილიონი კაცია წასული სამოვარზე), თანაც აღვნიშნავთ, რომ ძირითადად ახალგაზრდები მიდიან (ე. ი. გენოფონდი მიდის), მიუხვედრელიც ადვილად მიხვდება, რომ კატასტროფა მალე კარზე მოგვიკაკუნებს. ამ უმძიმეს პრობლემას სამი ფაქტორი კვებავს: 1. სოციალურ-ეკონომიური პირობები; 2. სოციალურ-ფსიქოლოგიური მოტივები;

# ქართველებს მალე წითელ წიგნში შეგვიტანენ

3. სამედიცინო ხასიათის მიზეზები.

რაც შეეხება პირველ ფაქტორს, თითქოს ეკონომიური პირობები გვიშლის ხელს, თავის გასამართლებლად მოგონილი მიზეზია. ჩვენზე უარეს პირობებში არიან ინდოელებიცა და ჩინელებიც, მაგრამ ქორწინდებიან, მრავლდებიან! ჩვენ უფრო ევროპიზებული ერი ვართ და რაც არ უნდა კარგი პირობები შეგვიქმნან, უფრო მეტი გვინდა. განა ევროპელებში შობადობა იმიტომაა დაბალი, რომ ეკონომიური პირობები არა აქვთ? – არა. რაც უფრო მეტად აქვს განვითარებული ადამიანს „მეორე სართული“, მით უფრო მეტი უნდა ცხოვრებისაგან. არ სურს სენკევიჩის თვალით უყუროს სამყაროს, სამი შვილის გაზრდას ურჩევნია თავად იმოგზაუროს უცხოეთში, დისერტაციის დაცვაც უნდა, „ბრილიანტის“ კარიერაზეც ოცნებობს – აი, სწორედ აქ ერთვება, პირველი ფაქტორის პარალელურად, მეორე ფაქტორიც – სოციალურ-ფსიქოლოგიური მოტივაცია.



ჩამორჩენილ ქვეყნებში (თუნდაც იგივე ჩინეთსა და ინდოეთში) ერის გამრავლებას რელიგიაც უწყობს ხელს. ჩინელის ბედნიერება ოჯახი და ბავშვებია. ჩვენთან კი დაცარიელდა სამშობიაროები, კატასტროფულად გაიზარდა აბორტების რიცხვი. იქნებ რაღაც ეტაპზე აგვეკრძალა კიდეც განქორწინება (როგორც კათოლიკეები აკეთებენ) ან აბორტები... მე მესმის, რომ არც ერთია ეფექტური გამოსავალი და არც მეორე, მაგრამ იქნებ დროებით ღონისძიებად გამოდგეს.

პირველ ორ ფაქტორზე უფრო მძიმე მესამე – სამედიცინო ხასიათის პრობლემებია. დღეს საქართველოში უნაყოფოთა მთელი არმიაა, დაახლოებით 250 ათასი კაცი, ანუ ალმწარმოებლობის ასაკში (14-49 წლამდე) მყოფი ქართველების 14-16 პროცენტი. ეს არც უბინაობაა და არც უშუქობა. ამ ხალხს მთავრობა უფასოდ უნდა მკურნალობდეს. კანონი ლამაზად არის დაწერილი, მაგრამ არარეალურია. უნაყოფო ადამიანები ავადმყოფებადაც არ ითვლებიან! სახელმწიფო დოტაციაზეა ფსიქიატრიული სამსახური, სასწრაფო დახმარება, რატომ არ უნდა იყოს დოტაციაზე უნაყოფობის მკურნალობა?

უნაყოფოთა ამ არმიას უშვილოებიც უერთდებიან (უშვილოა ის, ვისაც შეუძლია იყოლიოს ბავშვი, მაგრამ არა ჰყავს). ესენი არიან შინაბერები და ბერბიჭები (მათზე, ალბათ, საგანგებოდ უნდა ვისაუბროთ!). ერთი სიტყვით, პრობლემის საერთო ფონი იმდენად მძიმეა, რომ თუ დროზე არ ვიზრუნეთ თავის გადასარჩენად, ველარაფერი გვიშველის. ბოლოს და ბოლოს აქამდე მოვსულვართ და XXI საუკუნის 20-იან წლებში უნდა გადავშენდეთ?

საუბარი ჩაიწერა
**ნინო გოძიაშვილმა.**

## მეგობრობა

# ჯგუფი № 219

ძმას აირჩევდი თუ მეგობარს? – ბრძენკაცმა შეკითხვას ასე უპასუხა: „მეგობარს, რომელსაც ძმობა შეუძლია“. ასეთი ძმობა და მეგობრობა აკავშირებს დღემდე 1941 წლის მაშინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის 219-ე ჯგუფის კურსდამთავრებულებს.

ბევრი ომიდან ველარ დაბრუნდა, მაგრამ დღემდე ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ინსტიტუტის კარს ისევ ერთად აღებენ, იხსენებენ წარსულს და დაკარგულ მეგობრებს. მართალია, ორმოცდაორი სტუდენტიდან რვალაა ცოცხალი, მაგრამ შეხვედრებს გააგრძელებენ უკანასკნელის სიცოცხლემდე, სხვათა შორის, საგონრად.

წლების მანძილზე ამ შეხვედრათა ორგანიზატორი იყო უმაღლესი სასწავლებლის დამსახურებული პედაგოგი, ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დოცენტი შოთა აბზიანიძე. ბატონი შოთა საოცარი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს სტუდენტობას, მეგობრებთან გატარებულ თითოეულ წამს და სევდანარევი სიხარულით უმზერს მათ სურათებს.

ომმა დიდი ხნით გადახვეწა გიორგი (ჟორა) ლოლუა და ლამის სამუდამოდ დააშორა ისინი ერთმანეთს. საქართველოს მთების შვილი უცხო ქვეყანამ შეიფარა და შორიდან მოაწვდინა მეგობარს ხმა. კანადასა და საქართველოს შორის მიმოწერა დაიწყო. სამწუხაროდ, ჟორა ლოლუამ ვერ აისრულა საწადელი, ველარ ნახა სამშობლოს ცა.

მათი ოჯახების დიდი მეგობრობა შთამომავლობას გადაეცემა და არც ისინი დაივიწყებენ ერთმანეთს.

ნამდვილად ბედნიერია კაცი, როცა ასეთი მეგობრობა შეუძლია. დღეს ამგვარი ერთგულების თითო-ოროლა მაგალითიღაა დარჩენილი.

P. S. უკანასკნელ შეხვედრაზე ერთმანეთს შეხვდა ექვსი მეგობარი: შოთა აბზიანიძე, მედეა გაბუნია, აკაკი გუმბერიძე, ლეო კობახიძე, თინა შავგულიძე და ჯუანშერ ჯეჯელავა, რომლებიც დღემდე ღირსეულად მუშაობენ თავიანთი სპეციალობით.

**თეა მელანაშვილი,**
ჰტფ-ის ჟურნალისტიკის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი.

## სტუდენტური ტყუილის არქივიდან

# ატირებული „ანტიქრისტე“

– სესიები იწყება!... დგება სტუდენტური ცხოვრების ყველაზე „ჯოჯოხეთური“ და „ბედნიერი“ დღეები. რა შეედრება ლექტორისაგან მოულოდნელად მიღებულ „ჩათვლას“ ან ნაბოძებ ნიშანს, რაც ყველაზე ძვირფასი საჩუქარია. მაგრამ ზოგჯერ, როცა ფორტუნა არ წყალობს, სტუდენტს შეუძლია ავად გახდეს, გათხოვდეს ან ცოლი მოიყვანოს; მოკლას ბებია, ბაბუა, მეგობარი და თქვენ წარმოიდგინეთ, მამაც კი.

ერთი ასეთი, უკვე ლეგენდად ქცეული „სტუდენტური ტყუილი“ გვინდა გავიხსენოთ, რომლის მთავარი გმირიც, ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის კათედრის მასწავლებელი, ხატია ზერაგიაა. ამ ოთხი-ხუთი წლის წინ ზერაგიების ოჯახში...

თუმცა, უმჯობესია თვად ქალბატონ ხატიას მოვუსმინოთ.

* * *

... მესამე კურსის სტუდენტი ვარ... მოგეხსენებათ, სტუდენტობა ისეთი „ხელობაა“, კაცს რას არ გააკეთებინებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სესიები იწყება და როცა... მომზადებულიც არა ხარ.

ქართულ ლიტერატურაში ჩათვლა გვქონდა. საოცრად შეწუხებულმა შევალე ჩვენი კურსის „ანტიქრისტეს“ აუდიტორიის კარი. კოპებშეყრილი, თმებჩამოყრილი, მუგუზალივით შავი „ანტიქრისტე“, მეჩხერი კბილებითა და კაუჭა ცხვირით, ნამდვილად ამართლებდა მეტსახელს. მოზომილი ნაბიჯებითა და მოქუფრული სახით მივუახლოვდი საგამოცდო მაგიდას. წარმოიდგინეთ, შიშიც კი გაქრა. ბილეთი აიღეთ! – მკაცრად მიბრძანა და ჩათვლის წიგნაკი მომთხოვა. სცენარი წინასწარ არ დამიდგია და არც როლები გამინაწილებია სურვილისამებრ. ახლაც ჩემი, ყველასაგან აღიარებული „თეატრალური ნიჭის“ იმედი მქონდა და თამაში დავიწყე...

– არ იცით??? – ამომხედა მრისხანედ და სახის არცერთი ნაკვთი არ შეტოკებია. არც მე გავენძრევარ, ხმა თითქმის დამეკარგა.

– არ იცით!!! – შეიცვალა ტონი.

მივხვდი, რაღაც უნდა მეღონა. ბოლოსდაბოლოს, მე ხომ მოუსყიდველი „ანტიქრისტე“ მსჯიდა. ვიცოდი, მძიმე იქნებოდა განაჩენი და მეც დავიწყე...

– იცით, მე მამა გარდამეცვალა! – მეც დამცა თავზარი ამ ფრაზამ და შემაჟრჟოლა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ფრაზა თითქოს ჰაერში გაჩერდაო, ყველამ მაშინვე შეისრუტა. ლექტორს ჯერ სახე წამოუწითლდა, მერე გაუცივდა, გაეყინა და მწვანე თვალებიდან წვეთ-წვეთად წამოუვიდა ცრემლები. „ანტიქრისტე“ ტიროდა.

ნამდვილად არ მეგონა, ასეთ გავლენას თუ მოახდენდა პატივცემულ ნზე ეს სიტყვები, მაგრამ... ეს არ იყო უბედურება!

მართალია ჩემმა სცენურმა როლმა იგი აალელვა, მაგრამ მალე დამშვიდდა, კალაპოტში ჩადგა და „საცოდავი“ მამაჩემის გარდაცვალების მიზეზი მკითხა.

უცებ: – ზერაგია ხარ, შვილო?! – ჩათვლის წიგნაკიდან თავი არ აუღია, – გიას შვილი ხარ?! – ახლა კი თავი ასწია ზემოთ.

უკვე მივხვდი, ცუდად შევტოპე, მაგრამ რადგან შევტოპე, ბოლომდე ხომ უნდა გავსულიყავი. დავიწყე, რა დავიწყე?!

– დიახ, ბატონო!... მამა ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მოვყევი, როგორ ლაფავდა სულს საცოდავი მამაჩემი, რას მიბარებდა და როგორ მარიგებდა სიკვდილის წინ. იმდენად შევიჭერი ჩემს როლში, ლექტორი უკვე თავად მამშვიდებდა და მთხოვდა, შემესრულებინა „ისეთი კაცისა და მამის დანაბარები, როგორიც, ბატონი გია ზერაგია იყო“.

დამავიწყდა მეთქვა, რომ თურმე „ანტიქრისტე“, ანუ ბატონი ნ. საკმაოდ კარგად იცნობდა აკადემიკოს გ. ზერაგიას.

აი, ხაფანგიც!...

– რამხელა გაზრდილხარ, ხათუნა (პროფესორ-მასწავლებლები „ხათუნად“ მიცნობდნენ), არ გახსოვარ, თუმცა შენ ხომ 5-6 წლისა იყავი მაშინ...

ჩათვლა მივიღე, მაგრამ კიდევ უფრო მოქუფრული გამოვედი აუდიტორიიდან. არც ჯგუფელებისათვის შემიხედავს, არც... უაზროდ მივდიოდი. ჩემი მეგობრის სახლთან მოვედი გონს.

ახალგაზრდების ამბავი მოგეხსენებათ. ერთმა ერთი თქვა, ვიხუმრეთ, გავიცინეთ. ასე რომ, „ანტიქრისტეც“ დამავიწყდა და ჩემი ტყუილიც. მაგრამ ამით არ დამთავრებულა ტრაგი-კომედია.

შინ დავბრუნდი. გუნება-ხასიათი გამომიკეთდა და კარი ჩვეულებრივი სილაღით შევაღე. ვხედავ, მამაჩემი ცივი, დაკოპილი სახით მიყურებს, ბებიაჩემი ლოგინში წევს და მძიმედ კვნესის.

მამაჩემი, შემლილი იერითა და გაყინული ხმით იწყებს, როგორ მოკლა შვილმა საკუთარი მამა, როგორ მიუსამძიმრეს ბებიას შვილის გარდაცვალება და როგორ დაურეკეს სამსახურში, დედათქვენი საავადმყოფოში მოათავსესო.

დედა, რომელიც ირონიული ღიმილით გვიყურებდა ორივეს, დაიღალა და ფეხზე წამოხტა:

– გეყოფათ! – სრულიად დამშვიდებული კილოთი წარმოსთქვა მან ერთადერთი შესანიშნავი ფრაზა:

–რა მოხდა, შე კაცო, ბავშვს ცოცხალი არ ადგები და მკვდარმა მაინც გაუკეთე ჩათვლა.

მამაჩემს ჯერ სახე შეეჭმუხნა, მერე მიმოიხედა და ტუჩის კუთხეში ღიმილმა გამოაჭყიტა. ცოტაც და მამაჩემი გულიანად ახარხარდა. ბებიაჩემი, არ ვიცი, ხარხარმა გამოაფხიზლა თუ გამომჯობინდა, ლოგინიდან თავი წამოჰყო, შეცბუნებული სახით გვიყურა და ბოლოს მანაც ირონიანარევი ღიმილით დასძინა:

– ვაი, თქვენს პატრონს!!!

და ისევ მძიმედ დადო თავი ბალიშზე.

„ჭირისუფლის როლი“ მართლაც დიდებულად გამომივიდა. ასეთი სტუდენტური ტყუილის“ შემდეგ, ჩემმა თანაკურსელებმა „ლეგენდების“ თხზვა დაიწყეს, როგორ გააცრუა „ანტიქრისტე“ ხატია ზერაგიამ.

## ყურადღება!

# ყველა ძაღლს უნდა ჰქონდეს სახლი!

ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ შ. ნუცუბიძის № 127-ში უკვე 14 წელია, რაც საბურთალოს რაიონის ვეტერინარული პოლიკლინიკა ფუნქციონირებს. გასული ერთი წლის მანძილზე პოლიკლინიკაში 1000 ძაღლი აცრეს უფასოდ. ვეტპოლიკლინიკა რეგისტრაციის გარეშეც უკეთებს ძაღლებს ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ვაქცინაციას..

ვესაუბრებით ვეტპოლიკლინიკის უფროს ექიმს ბატონ ვაჟა პაიჭაძეს.

– „ჩემი გარდაცვლილი მეგობრის სპანიელი „ბიბი“ ხშირად მესტუმრებოდა ხოლმე. ჯერ თავს შემოჰყოფდა ოთახში, მერე ჩუმად მომიცუცქდებოდა ფეხებთან და მთელი დღე მლოკავდა, მეფერებოდა. მისი პატრონის შვილებმა არ ინდომეს ძაღლის სახლში გაჩერება და, ალბათ, „ბიბის“ ერთადერთი ნაცნობი და გულშემატკივარი ამ ქვეყანაზე მე ვიყავი. თვეენახევრის შემდეგ ქუჩაში წავაწყდი მკვდარს.

„ბიბის“ სევდიანი ისტორია შემთხვევით არ მოგიყევით. ამ ფაქტმა ნათლად დაგვანახა, რომ ქუჩაში ძაღლები ხშირად პატრონების დაუდევრობით ხვდებიან. როგორც გავიგეთ, თბილისის ახლადჩამოყალიბებულმა ვეტერინარიის სამმართველომ, ნუკრი გუგუშვილის ხელმძღვანელობით, კონსტრუქციული პროგრამა შეიმუშავა დედაქალაქში ცოფის წინააღმდეგ საბრძოლველად. ათი ვეტსამკურნალო, თავისი კვალიფიციური ექიმებითა და სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმით, ემსახურება ამ საქმეს. მისი აზრით, ძაღლის მფლობელთათვის უნდა შემუშავდეს გარკვეული წესება, პატრონებს მისცემენ ლიცენზიას, წესების პუნქტების დარღვევისას კი დაჯარიმდებიან განსაზღვრული ფულადი თანხით. დაჯარიმების უფლება ვეტპოლიკლინიკებს სახელმწიფომ უნდა მიანიჭოს. ეს წესები ქალაქის ვეტსამმართველომ უკვე წარუდგინა საქართველოს პარლამენტს.



ბატონმა ვაჟამ ხაზი გაუსვა, რომ ძაღლმჭერი ბრიგადები ბევრ წინააღმდეგობას აწყდებიან, ვინაიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი თანაუგრძნობს მაწანწალა ძაღლებს, რადგანაც არ იციან, რომ ძაღლებისგან ადამიანს შეიძლება 50-მდე ინფექციურ-ინვაზიური დაავადება გადაედოს, ამიტომ ნებისმიერი ძაღლი, „კორპუსის“ იქნება ის თუ პატრონიანი, ალიკაპისა და ლვედის გარეშე, მაწანწალაა და საზოგადოებისათვის საშიში. ბატონი ვაჟა მომხრეა მაწანწალა ცხოველების ჰუმანური მეთოდებით განადგურებისა. დღეს დასუფთავების კანტორას მართალია ჰყავს ძაღლმჭერი ბრიგადები, მაგრამ ისინი არაკვალიფიციური კადრებისაგან შედგება და სათანადოდ არ ფინანსდება. ბატონი ვაჟა თვლის, რომ უნდა არსებობდეს მაწანწალა ძაღლების თავშესაფარი, სადაც მოათავსებენ ქუჩაში დაჭერილ ძაღლებს. ამგვარი ორგანიზაციის მუშაობა წინასწარ ჩამოყალიბებული, კომპლექსური პროგრამის მიხედვით განხორციელდება. აქ მოხდება მაწანწალა ძაღლების რეგისტრაცია და იზოლაცია, ამაღლდება დამჭერი ბრიგადების კვალიფიკაცია, დაინერგება თანამედროვე მეთოდები მაწანწალა ძაღლების წინააღმდეგ საბრძოლველად, მომსახურე პერსონალის უფლებები კი კონსტიტუციით იქნება დაცული. თუ ქუჩაში მოწანწალე ძაღლს გარკვეული დროის (1-2 კვირის) განმავლობაში მფლობელი არ გამოუჩნდა, თავშესაფარში დაიდებს ბინას, სადაც მის ინტერესებს დაიცავენ. თუ საზოგადოებისათვის იგი საშიში იქნება, იზოლაციას გაუკეთებენ ან აუქციონზე გაყიდიან, რათა მან „საკუთარი სახლი“ იპოვოს.

**ქეთი რაზმაძე.**

P. S. მოგიწოდებთ ყველას! ნუ დატოვებთ თქვენს ოთხფეხა მეგობარს ცოფის საწინააღმდეგო აცრებისა და რეგისტრაციის გარეშე.

# ჩვენი უფროსი კოლეგები ხუმრობენ

ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალის რედაქტორმა ჰკითხა ინტერვიუს ასაღებად გაგზავნილ თანამშრომლებს:

– რა გითხრათ?

– აბსოლუტურად არაფერი...

– გამიკეთეთ მაგ „აბსოლუტურად არაფრისგან“ ასორმოცდაათი სტრიქონი.

* * *

თქვენს გაზეთში დაკარგულ ძაღლზე განცხადება მოვათავსე. მპოვნელს ათი დოლარით დაჯილდოებას დავპირდი. ახალი ხომ არაფერია? – ჰკითხა ხანდაზმულმა კაცმა რედაქტორის მიკრიკს.

– რაც არ ვიცი, არ ვიცი, სერ! მთავარი რედაქტორი და ყველა კორესპონდენტი დილიდან თქვენი ძაღლის საძებრად წავიდნენ და ჯერ არ დაბრუნებულან.

* * *

ნიუ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაზე გაზეთების გამყიდველი ბიჭი ყვირილით გარბის:

– გრანდიოზული ყალთაბანდობა! მოტყუებულია ორმოცდაათი კაცი! გრანდიოზული ყალთაბანდობა!

მგზავრმა უმალ იყიდა გაზეთი, სასწრაფოდ გადაათვალიერა და ბიჭს მიაძახა:

– აბა, სად წერია აქ ყალთაბანდობის ამბავი?

ბიჭმა არც მოხედა, ყვირილით განაგრძო გზა:

– გრანდიოზული ყალთაბანდობა! მოტყუებულია ორმოცდათერთმეტი კაცი!

### კორექტურული შეცდომები

ხრუშჩოვის დროს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა:

– ეს დიდი წვლილია კომუნიზმის განვირების საქმეში (სიტყვა „განვითარების“ გადატანისას „თა“ ამოვარდა თურმე).

– ჩატარდა უძაღლესი საბჭოს სხდომა (უმაღლესი საბჭოს მაგივრად დაიბეჭდა – „უძაღლესი საბჭო“).

ცნობისათვის: ინგლისში მუშაობის 7 წლის სტაჟის მქონე კორექტორი კარგავს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას.



# მანქანა გალაკტიონს ბაძავს

მეცნიერები თვლიან, რომ ლექსის თხზვა, ესაა გრამატიკა+მეტრიკა+რითმი+სემანტიკა. უნდა შევნიშნოთ, რომ მათ, ალბათ, გამორჩათ ძირითადი შემოქმედებითი აღმაფრენა, განწყობა (უზნაძის თეორიის მიხედვით). უფრო მეტიც, შეიძლება სემანტიკა უარვყოთ, რადგან სრულყოფილი სემანტიკური კომპიუტერები ჯერჯერობით არაა შექმნილი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეტრიკისა და რითმის არსებობისას ლექსში სემანტიკის უქონლობას გრამატიკისა და მკითხველის წარმოსახვის შერწყმა ანაზღაურებს. ხომ გახსოვთ, ცნობილი ქართველი პოეტის ნოე ზომლეთელის გახმაურებული ლექსი „საქართველო“ (მოზაიკური სურათი), აი, სწორედ მისი მიბაძვით, გალაკტიონის ლექსების წაკითხვის შემდეგ დაწერა ეს მანქანური „შედევრი“.

### გალაკტიონი

(მოზაიკური სურათი)

ქარი ქრის...სიცივე, თოვლი და ვარდი,
ზმანება, ჩვენება, ბაღი და ღვარი,
პარიზი, მადონა, გზები და დარდი,
სიკვდილი მწუხარე, ქარი და ქარი,

კმარა, ქიმერა, ლოცვა და ბედი,
ატმის რტო, ატმის რტო, ალუჩა მკრთალი,
უდაბნო, ორგია, ღამე და გედი,
თარეში, თარეში, სამარე, რკალი.

**ქრისტეფორე გარიჟული**

სარედაქციო კოლეგია:

რევაზ სტურუა, ანზორ შავგულიძე, ალეკო ცინცაძე, შალვა ნაჭყებია, ნინო გოძიაშვილი, თემურ ჯაგოდნიშვილი, ეკა სეხნიაშვილი, ნოდარ მუსერიძე.

## XXI საუკუნის -კარიბჭესთან

# არანაკლებ 3500 — საწმისით, ჯვარით...

ლევან სანიკიძე

ამას წინათ (1996 წლის 24 ნოემბერს), ქალაქ ფოთში, სწორედ საისტორიო-სახსოვარ დღეს, ანუ – ცოტნე დადიანის ძეგლის საზეიმოდ გახსნის წუთებში, საქართველოს პრეზიდენტმა დიდი ეროვნული გმირისადმი მიძღვნილ სიტყვაში სრული ლოგიკური სიმახვილით მიანიშნა, რომ – ბოლოს და ბოლოს, დადგა დრო, საქართველომ საგანგებოდ და საზეიმოდ აღნიშნოს თავისი სახელმწიფოებრიობის წარმოშობიდან 3000-3500 წელი.

მტკიცება არ სჭირდება, რა მნიშვნელობაც აქვს დღევანდელ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლის, თვითონ პროფესიონალ-ისტორიკოსის ამ საგულისხმო „მინიშნებას“.

ბოლოს და ბოლოს, საკმაო დრომ განვლო მას შემდეგ, რაც „სახელმწიფოს“, ვითარცა ცნების, კატეგორიის, თუ ფენომენის განმარტებას აღარ სჭირდება ყბადაღებული „ერთადერთ-მეცნიერული“, „მარქსისტულ-ლენინური, ლამის ტერორის რანგში აყვანილი დოგმატური „განმარტებანი“ – რომ სახელმწიფო სახელმწიფოდ არ გაიაზრება (და, თუ გაიაზრებ, ვაი შენს შავ დღეს!), უკეთუ იგი არ არის მაინც და მაინც „კლასობრივ საზოგადოებაში“, „იარალი“ ან „მანქანა“ გაბატონებული კლასის ხელში მისი კლასობრივი მტრების დასათრგუნავად“. და საერთოდ მისი წარმოშობაც, არსიც და არსებობაც განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ კლასთა, ანუ „ექსპლუატატორთა“ და „ექსპლუატირებულთა“ შორის განუწყვეტლივ ბრძოლებით, თუ „უკადრისი“ (ეს ბოლო სიტყვა კი – მარქსისტებთან ბოდიშის მოხდით, იხ. საბასთან).

საერთოდ, სახელმწიფოებრიობის დასაწყისი, ანბანური განსაზღვრებით, იგივე ცივილიზაციის („ცივის“ – „ცივილის“ – „ცივიტას“ – „მოქალაქე“, „სამოქალაქო“, „სახელმწიფო“) გენეზისს უკავშირდება და დაახლ. 5000 წელს მოითვლის. სათავეში კი – ისე, რომ ჯერაც ევროპას არაფერიც არ მოლანდებია – შუმერი და ეგვიპტე დგანან. და აქვე, მეცნიერებამ მიიკვლია ბევრი რამ საყურადღებო ფაქტი, რომლითაც ქართულობის საკითხი სწორედ ამ შუმერულს ენათესავება და უკავშირდება. მაგრამ მაინც ნუ ავიჩქარებთ და გაცილებით უფრო მყარ მონაცემებზე დაყრდნობით თუნდაც 1000 წლით გადმოვინაცვლოთ და აი, ხეთურ-მითანურ ცივილიზაციას მოვადგეთ. აი, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მეცნიერული თეორიაც ქართველთა პირდაპირ სისხლხორცეული ნათესაობისა სწორედ ხეთებთან, მითანელებთან, და – უკეთუ ამ მტკიცებას ვენდობით (ან და, რატომ არ უნდა ვენდოთ?!), მაშინ ქართული სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივობა ჩვენგან 4000 წლის სამანებშიც ვერ ჩაეტევა.

ვიკმაროთ და ვიწამოთ, თუ იმ ჩვენი „ცივილიზებული თესლოვანების“ ორივე სიმაღლიდან კვლავაც დავეშვებით – აი, მესამე, უკვე სრული ჭეშმარიტების საბერძნულ შეჩერდებით და განვეცდებით: ეს ხომ კაცობრიობის უზენაესი ცივილიზაციის შემქმნელი ძველი ბერძნების მაღალ-ავტორიტეტული გააზრებაა ქართული (კოლხური) სამყაროსი!..

მამ, ამ წერილის ავტორი კიდევ ერთხელ (ეს მერამდენედ) აყენებს საკითხს, რომელსაც ჰქვია პრობლემა სწორედ კოლხეთის უძველესი სახელმწიფოებრიობისა, რაიც თვალნათლივ გამოიხატება ამ „პირველი ქართული სახელმწიფოს“ სატახტო ქალაქის ქუთაისის ასაკის დადგენა-განსაზღვრებით.

მთავარი ის გახლავთ, რომ ძველ ბერძენთაგან კოლხეთის სამეფო და მისი სატახტო ქალაქი „კუტაია“ – ქუთაისი წინა ელინურ-ბერძნულ, ანუ ე. წ. „მინოსურ ხანაში“ (როცა კრეტაზე მინოსი მეფობს) გაიაზრება; ხოლო, „მინოსური ხანა“, – როგორც ეს ძველი და უკამათო მტკიცებით განსაზღვრა ინგლისელმა მეცნიერმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ართურ ჯონ ევანსმა – მოიაზრება ძვ. წ. XVII-XV საუკუნეებით, ანუ ჩვენი დღევანდელობიდან 3500-3700 წლით. დიახ, სწორედ ძველ ბერძენთა მითოლოგიურ-ისტორიული გააზრებით, ამ ორი *სახელმწიფოს (!)*, საბერძნეთისა და კოლხეთის ორი მეფე-ხელმწიფე (!), ორივე „ღვთაებრივი“ – ბერძენი მინოსი („ზევსის ძე“) და კოლხი აიეტი („ჰელიოსის ძე“) – არიან არა მხოლოდ თანამედროვენი, არამედ იმჟამინდელ „მსოფლიო პოლიტიკაში“ თანაპარტნიორნი და ურთიერთ დამოყვრებულებიც კი: მინოსს ცოლად ჰყავს და ღედოფლად უზის აიეტის და (სახელად პასიფაე).

და, კვლავაც ხაზგასმით ვიმეორებთ: ყველაფერი ეს ხდება ძველი წელთაღრიცხვის, ანუ ქრისტეს წინარე XVII-XV საუკუნეთა წრეწირში, ანუ კვლავ განმეორებით – დღევანდელობიდან 35-37 საუკუნის წინანდელ ეპოქაში.

ხოლო, აქედან ჩვენ მაინც მინიმუმი ვიკმაროთ და 35 საუკუნით, ანუ 3500 წლით „დავკმაყოფილდეთ“.

აქ ეჭვები შეიძლება აღიძრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ევანსის, ან მისებრ მაღალაზროვანი სხვა არქეოლოგოსის (ვთქვათ, მისი თანამედროვე გერმანელი დიორპფელდი) ჭეშმარიტი „ლოგიიდან“ ჩვენებური რიგითი არქეოლოგის, უფრო დაზუსტებით – არქეოგრაფის ოდენ პუბლიკატორულ „გრაფიამდე“ დავიქვეითებთ და რომელიმე ხელმწიფის, თუ ქალაქის ასაკის დასადგენად მაინცდამაინც ქვაზე „არქეოგრაფიულად“ დაწერილ დაბადების „მეტრიკას“ მოვითხოვთ.

დიახ, საისტორიო მეცნიერება ოდენ „ქვის (თუ გაქვავებულ) პედანტიზმს“ კი არა, უაღრესად ფართო მასშტაბისა და მოცულობის სინთეტურ აზროვნებას ემყარება – სინთეზს-მეთქი, სადაც ქვასთან ერთად თავს იყრის ყოველი ნივთი, და უმალვე იქვე, ყოველი ნივთმიღმიერი, ანუ ლოგოსისმიერი გააზრება – გინდა წერილობითი, გინდა ზეპირი – და ყველაფერი ერთად არა მხოლოდ „გრაფიის“, არამედ სწორედ „ლოგიის“, გნებავთ „სოფიის“ დონეზე.

სწორედ ასეთი „ლოგო-სოფიის“ სიმაღლეზე გაიაზრებოდა მაღალაზროვან ანტიკურ-ელინურობაში ქართველთა ქვეყანა, მიყრდნობილი „მთათა ხელმწიფე კავკასიონზე“ – როგორც იტყოდა თვით გენიალური ესქილე.

ან, კიდევ, კვლავ გენიოსის (იმათ გენიოსებს რა გამოლევს!), სოკრატეს ნათქვამი: დედამიწა დიდზე დიდია, მაგრამ ჩვენ მაინც და მაინც ჩვენი ცნობიერებით იგი მხოლოდ ფაზისიდან ჰერაკლეს სვეტებამდე განიზომებაო.

ჰერაკლეს სვეტები სოკრატედან 1200 წლით *შემდეგდროინდელი* პიბრალტარია, ფაზისის ქვეყანა კი სოკრატემდეც იმდენივე 1200 წლით ადრინდელი კოლხეთი.

და, საერთოდ – იმ დიად ანტიკურობას, მსოფლიო ცივილიზაციის იმ ელინურ-რომაულ უზენაესობას და, მასზე ზედმითელით, ადრეულ შუა საუკუნეებსაც – უმაღლესი, გნებავთ, „კლასიკური სახელმწიფოებრიობა“ მაინც და მაინც ორ იბერიას შორის მოქცეულ სამყაროდ გააზრებოდათ: აღმოსავლეთით – ქართული იბერია, დასავლეთით – ესპანური იბერია.

და ამ ორი, „აღმოსავლურ-დასავლური ქართულობის“ მრავალსაუკუნოვანი „მსოფლიო გააზრება“, თუნდაც აგერ (!) X საუკუნეშიც რომ ცოცხლობს იოანე მთაწმინდელის ნათქვამში: უნდა გადავსახლდე „სპანიაში, სადაც მრავლად ყოფილან „ნათესავნი ქართველნი“...

ისევ მივეახლოთ კლასიკურ-ბერძნულ მითოლოგიას – საკაცობრიო აზროვნების ამ გასაოცარ სრულქმნილებას და მრავალხატებას. აი, მისი *სამი ციკლი*, სამი მთავარი ძარღვი-ნაკადი: *არგონავტული, ტროიანული* და *თებაური*; და ამ ტრიადის პირველი და *უხნოვანესი* (უხნოვანესი-მეთქი!) არის სწორედ ქართული თემა. დიახ, „არგონავტიკა“ თავით ბოლომდე ეძღვნება კოლხეთს, უძველეს ქართულ სახელმწიფოებრივ (!) ფენომენს. ხოლო, „ტროიანული ციკლი“, – რომელსაც გენიალურმა ჰომეროსმა უძღვნა თავისი „ილიადა“ და „ოდისეა“ – *ასაკობრივი* გათვლით, „მეორად ფაქტორად“ წარმოგვიდგება. დიახ, „ტროიანული ციკლი“ ძვ. წ. XIII-XII სს. საბერძნეთს წარმოგვიდგენს, „არგონავტიკა“ კი – სულ ცოტა, ერთი თაობით *უადრეს* საბერძნეთსა და საქართველოს. აკი ჰომეროსიც მოიხსენიებს იმ „წინარე თაობას“, რომელიც წინ უსწრებს მისი გმირების „ტროიანულ“ თავგადასავალს.

აქვე, თუნდაც „სხვათა შორის“ – რაკი მეცნიერულ სიტყვიერებაში დამკვიდრებულა „ტროაული ციკლი“ – სახელდება ერთი მთავარი ქალაქის, ტროას მიხედვით; იგივე ანალოგიით, „არგონავტიკასაც“ სრული უფლებით შეიძლება ეწოდოს „ქუთაისური ციკლი“. აკი ის „ოქროს საწმისოვანი“ მითოლოგიურ-ისტორიული დრამა თავიდან ბოლომდე კოლხეთის სატახტო ქალაქის – „კუტაია“ – ქუთაისის გარშემო ბრუნავს – ისევე, როგორც ჰომერული დრამა ტროას გარშემო.

და, აქვე, მთავარი მაინც ის გახლავთ, რასაც ამ სტრიქონთა ავტორი 1960 წლიდან (!) დღემდე განუწყვეტლივ, წერილობით თუ ზეპირსიტყვაობით, განიადაგებით მიანიშნებს („უჩინებს“-თქო, არ წამოგვცდეს!) ყოველი „დონის“ მკითხველსაც და განმკითხველსაც: „არგონავტიკაში“ რომ, ქუთაისთან ერთად, ორმოცდაათი ქალაქი იხსენიება, *არც ერთი მათგანი არ არის ასაკით 3500-3700 წელზე ნაკლებისა! არც ერთი-მეთქი!!!* ის კი არა და, ზოგი მათგანი 4000 (მიკენი, არგოსი, ორქომენი, პილოსი), ან 5000 (კნოსოსი) წლის ქალაქებია.

*ჭქ არ არის დაშვებული არავითარი ანაქრონიზმი და ამიტომაც სრული უეჭველობით უნდა ითქვას:* „არგონავტიკაში“ მოხსენიებული ქალაქები, მათ შორის „მთავარ ქალაქად“ წარმოდგენილი ქუთაისი, არამცთუ იმ არგონავტთა ამბავზე ნაკლები, არამედ მასზე გაცილებით ძველასაკოვანნი არიან.

მარტო ქალაქები კი არა, „არგონავტიკის“, ანუ იგივე ქუთათურ-კოლხური ციკლის სრული ტოპონიმიკაც და საერთოდ ყოველი „ონომა“ სრულადვე ძველთაძველ, საშუალოდ 3500-5000 წლოვან კრეტა-მიკენურ ეპოქაში გაიაზრება, და, ბუნებრივად, ყოვლად ალოგიკური აბსურდი უნდა იყოს აქედან მაინცდამაინც ქუთაის-კოლხეთის „გამოთიშვა“ და „გაახალგაზრდავება“.

მაშ, 3500 წელი სულ მცირე და მოკრძალებული განსაზღვრება კოლხური სახელმწიფოებრიობისა და მისი სატახტო ასაკისა – „ვიკმაროთ“ და საგანგებოდ, სწორედ სახელმწიფოებრიობის დონეზეც ეს თარიღი მოინათლოს.

* * *

ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის ზემოთხსენებული იმ „ცოტნეიდურ განაცხადთან“ ერთად, სასიამოვნო განცდასა და გააზრებას იწვევს უკვე საგანგებო სახელმწიფოებრივი რწმუნებებით ორგანიზებული კომისიის მუშაობა, სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლიკა-ატრიბუტიკის, ანუ სახელმწიფო დროშის, გერბის, ჰიმნის შემუშავებისა და დადგენისათვის. ამ კომისიის უკვე გამართულ ორ შეკრებაზე ბევრი რამ საგულისხმო და, მათ შორის საკამათო აზრიც გამოითქვა. მაგალითად, გასაგებია, რომ ქართული სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკის მთავარ მოტივად ქრისტიანული სარწმუნოება დომინანტობდეს. დიახაც, – მადლი უფალს, რომ საქართველო აგერ (!), მთელი 1500 წელიწადი ქრისტიანულად მონათლული ქვეყანაა! მაგრამ ამ 1500-ს რომ წინ 2000 უსწრებს და უძლევს? განა, ქრისტემდელიც და ქრისტიანობამდელი საქართველოც განა საქართველო და ქართველობა არ იყო?! გინდა ლეგენდარულ აიეტს, გინდა სრულად რეალურ ფარნავაზს, ან ქუჯი ეგრისელს ქართველობას ვუწუნებთ?! ღმერთმა ასეთი ბრიყვობისგანაც დაგვიფაროს, და აქედანვე ვიწინამძღვროთ: ქართული სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა-ატრიბუტიკა *ორივე ეროვნული* (ეროვნული-მეთქი!) *ნაკადის* განუყოფელსა და ჰარმონიულ *მთლიანობას* უნდა მოიცავდეს – ჯერ ქრისტიანობამდელს, მას შემდგომ ქრისტიანულს. ქართულობის *სრულყოფილების* (სრულყოფილების-მეთქი!) წარმოსადგენად ეს დებულება *აქსიომატურად* (აქსიომატურად-მეთქი!) უნდა იქნას ფუძეებული და ფუძეჩადგმული.

აქედან კი, მეორე, ანუ ქრისტიანული ნაკადი ადვილად და ბუნებრივად მიღწევადია – ჯვარი, ჯვარცმა, წმინდა გიორგი და სხვ. ხოლო წინარე, ქრისტემდელი ორიათასხუთას-წლოვანი ქართველობის და მისი სახელმწიფოებრიობის გამომხატველ სიმბოლოდ, ყოველგვარი ყოყმანისა და „კონკურსის“ გარეშე, მიღებული უნდა იქნას ოქროს საწმისი – იმთავითვე მთელს მსოფლიოში გააზრებული სიმბოლო მარადიული ბედნიერებისა, სიქველისა, სიმდიდრისა და უძლეველობისა.

დიახ, სწორედ ჩვენგან და ჩვენთვის სამწუხარო განსხვავებით – ოქროს საწმისის ეს „ქართული თემა“ ყოველთვის, დასაბამიდან მოაქამამდე, სათაყვანო-სალოცავ სიმბოლოებად „იხარჯებოდა“ მთელს მსოფლიოში; პირველ რიგში, თვით ევროპაში. სამაგალითოდ, მისანიშნებლად, ვიკმაროთ, რომ ოქროს საწმისი სახელმწიფო გერბებად ჰქონიათ ევროპის წამყვან სახელმწიფოებს – ავსტრო-უნგრეთს, ესპანეთს...

* * *

ვასრულებთ და ვიხსენებთ, რომ, ქრონოლოგიურად, ათასწლეულების დასაწყისი საქართველოს ფეხბედნიერად აქვს დაცდილი: აკი ქრისტეს აქეთ პირველი ათასწლეული თვით ქრისტიანობის შემობრძანებით აღინიშნა (ქრისტეს კვართი, პირველმოციქულნი, „მოქცევაი ქართლისაი“); მეორე ათასწლეული კი — საქართველოს გაერთიანებით და აღორძინებით.

ხოლო ახლა, კარს მომდგარი მესამე ათასწლეულიც ვინძლო ახალი გაერთიანებით, აღდგენებით და აღმავლობით შემოსულიყოს ქართველთა ცხოვრებაში! ამიტომაც ქართული სახელმწიფოებრიობის უწყვეტი ისტორიის არაუმცირეს 3500 წლით აღნიშვნა, ძველ და ახალ ათასწლეულთა გზაკვეთილზე, უნდა მოგვევლინოს, ვითარცა უზენაესად სანიშანსვეტო ახალი „მოქცევაი საქართველოსი“.

1 იანვარი, 1997 წლისა.



## აფხაზეთი - ტკივილი ჩვენი

# თანადგომისა და მხარდაჭერის იმედით

აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ ათასობით ოჯახი აიძულა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილები. მათი დიდი ნაწილი საქართველოს ქალაქებსა და რაიონებშია დროებით განსახლებული, დევნილი მოსახლეობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიუხედავად ჩვენი დიდი მონდომებისა, ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური მდგომარეობა საშუალებას არ გვაძლევს დავასაქმოთ იძულებით გადაადგილებული პირები. დევნილებს უჭირთ მატერიალურად, არა აქვთ ელემენტარული საარსებო პირობები. ამან კი შეიძლება უარყოფითი დემოგრაფიული და კრიმინალური შედეგი მოგვცეს. მოქალაქეები ვერ ახერხებენ შესაფერისი სამუშაოს შოვნას, რის გამოც ისინი მასობრივად გადიან საქართველოდან.

გამონაკლისის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგ რაიონში ლტოლვილებს დაურიგეს საკარმიდამო ნაკვეთები, ისინი ამუშავებენ მიწას და მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელ პირობებში არიან. დიდ მადლობას ვუხდით იმ რაიონებისა თუ სოფლების ხელმძღვანელობას გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის.

ჩვენს სამინისტროს რესპუბლიკის შრომის ბირჟაზე ჰყავს წარმომადგენელი, რომელსაც აღრიცხვაზე აჰყავს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა, აკონტროლებს ყველა შემოსულ ვაკანსიას და ყოველკვირეულად გვაბარებს ამ და სხვა საჭირო ინფორმაციას. შრომის ბირჟიდან ყურადღება არ გვაკლია. ბირჟის წარმომადგენლებთან ერთად ჩვენი მუშაკები მივავლინეთ რესპუბლიკის ყველა რეგიონში. რეგიონალური ბირჟების ხელმძღვანელებმა აღგვითქვეს, რომ დასაქმების შესაძლებლობების შემთხვევაში უპირატესობას იძულებით გადაადგილებულ პირებს მიანიჭებენ.

ხშირად ხდება, რომ სამინისტროში მოდის პიროვნება და თხოულობს აღრიცხვაზე ავიყვანოთ როგორც უმუშევარი. ამასთან დაკავშირებით, შევიმუშავეთ ერთგვარი საკონტროლო ბარათი, სადაც შეგვაქვს ამ პიროვნების მონაცემები, მისი კოორდინატები, შესაფერისი ვაკანსიის გაჩენისას, პირადად ვატყობინებთ. თუმცა ეს იშვიათად ხდება.

გვყავდა მკერავი ქალების ჯგუფი, რომლებიც ხელშეკრულებით მუშაობდნენ, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფირმებთან თანამშრომლობდნენ, მაგრამ ახლა ასეთი საქმიანობა შეწყვეტილია. დავუკავშირდით ქალთა დასაქმების ხელშემწყობ ასოციაციას და ვფიქრობ, კვლავ დავასაქმებთ გარკვეულ კონტინგენტს. მით უფრო, რომ იმ ფირმებიდან, ვინც ასაქმებდა აფხაზეთიდან დევნილებს, მოვიპოვეთ სრულყოფილი სიები.

რაც შეეხება საზღვარგარეთ შრომით მოწყობას: ადრე გვქონდა შემოთავაზებული წინადადებები, მაგრამ ეს ვილაცის დაუდევრობით ჩაიშალა და მოზღვავებული ხალხი, რომელიც თითქმის ყოველდღე ჩვენს კარებთან იდგა მოლოდინში, მოტყუებული დარჩა.

მსგავსი გაუგებრობანი თავიდან რომ ავიცილოთ, შევიმუშავეთ ანკეტის ფორმა, წინასწარ შევქმნით საინფორმაციო ბანკს, რომლის საშუალებითაც შევძლებთ დავადგინოთ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის პიროვნება შემოსულ საქმიან წინადადებას. მოქალაქე შეავსებს ანკეტას, მაგრამ ეს მას საზღვარგარეთ სამუშაოდ გამგზავრების გარანტიას როდი აძლევს – როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ვაგროვებთ საინფორმაციო ბანკს. ამა თუ იმ პირის შერჩევა გასაუბრების შედეგად მოხდება.

საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსაგან ყოველთვის ვგრძნობდით და ვგრძნობთ დიდ თანადგომასა და მხარდაჭერას. მინისტრმა ბატონმა თენგიზ გაზდელიანმა ყველანაირად შეგვიწყო ხელი, შეგვიქმნა სამუშაო პირობები, რისთვისაც დიდი მადლობა მას.

გამუდმებით ვეძიებთ გზებს დევნილთა საყოფაცხოვრებო, ეკონომიკური, მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ასე მაგალითად, აფხაზეთის შრომისა და დასაქმების სამინისტროს და მოსახლეობის სოციალური დაცვის ფონდის ინიციატივით 1997 წლის 25 იანვარს გაიმართება საქველმოქმედო ლატარია „იმედის“ გათამაშება.

გათამაშდება ხუთი საცხოვრებელი ბინა ქ. თბილისში, ავტომანქანები, აუდიო და ვიდეოტექნიკა, მაცივრები, სარეცხი მანქანები, ხალიჩები, გენერატორები, გაზქურები, სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები, დიდი ფულადი მოგებები.

სატირაჟო კომისიის შემადგენლობაში შედიან საქართველოსა და აფხაზეთის ხელისუფლების პასუხისმგებელი, კომპეტენტური პირები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ლატარიის გათამაშებით მიღებული მოგება მოხმარდება აფხაზეთის ომში მარჩენალდაკარგულ ოჯახებს, დაჭრილ მეომართა მკურნალობას, მრავალშვილიან ოჯახებს, სოციალურად დაუცველ ფენებს.

**ავთანდილ სანებლიძე,**
აფხაზეთის შრომისა და დასაქმების მინისტრის მოადგილე.

## ხიდები

# ახლო აღმოსავლეთისკენ გადადგმული ნაბიჯები

ცნობილია, რომ ქართველ-არაბთა ურთიერთობის ისტორიას საუკუნეების სიღრმეში აქვს ფესვები გადგმული. აბო ტფილელი, ქრისტიანობისათვის წამებული არაბი ყმაწვილი, საქართველოს ისტორიულ გმირებთან გაიგივებული შორსმჭვრეტელი მეფე როსტევანი, მისი მშვენიერი და ბრძენი ასული თინათინი, გმირობით გამორჩეული მამლუქები, საქართველოს გზებზე დაუბრკოლებლად მიმავალი სავაჭრო ქარავნები, და ბოლოს, ახლო აღმოსავლეთის არაბულ ქვეყნებში დამკვიდრებული მნიშვნელოვანი ქართული დიასპორა – ასეთია ისტორიის ფოლიანტები, რომლებიც მეტყველებს ქართველ-არაბთა ურთიერთობის მრავალმხრივობაზე (პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, კულტურულ-სამეცნიერო, რელიგიური და სხვა), რომელთა საფუძველზეც ახალი სისხლსავსე კავშირები უნდა აიგოს.

საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების შედეგად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში (სირია, ლიბანი და იორდანია) დამყარდა კავშირები ადგილობრივ სავაჭრო და ფინანსურ წრეებთან, ხორციელდება ინტენსიური ინფორმაციული სამუშაოები, რასაც შედეგად მოჰყვა, ცალკეული ბიზნესმენების დაინტერესება საქართველოთი. ამის პრაქტიკული დადასტურება იყო ლიბანის პრემიერ-მინისტრის რ. ჰარირისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ფ. ბუესის მიერ მაშინდელი თავიანთი ქართველი კოლეგების სახელებზე გამოგზავნილი ოფიციალური სამთავრობო მიწვევები. სამწუხაროდ, მაშინ ( 1994 წელს) ამ წამოწყებებს საქართველოს მხრიდან რაიმე გამოხმაურება არ მოჰყოლია, რასაც ჩვენი ქვეყნისათვის იმ მძიმე პერიოდში, ალბათ, თავისი მიზეზები ჰქონდა.

დღეს საქართველოსა და აღნიშნულ ქვეყნებს შორის მიმდინარე სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურულ-სამეცნიერო და სხვა პროცესების დინამიზმი ობიექტურ საფუძველს ამზადებს ამ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობებისათვის. არაბები მთლიანად იზიარებენ იმ აზრს, რომ პოლიტიკა არის საზღვრებს გარეთ გატანილი ეკონომიკა და ძნელია სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა აგება პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი გარანტიების გარეშე.

მოგეხსენებათ არაბი ხალხის ფრთხილი დამოკიდებულება საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური პრესტიჟისადმი, მისი მანიფესტირებისა და აღიარებისადმი; საფრანგეთის პრეზიდენტის და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ახლანდელი ბლიც-ვიზიტები მიუთითებენ ამ ქვეყნებში ევროპული კავშირის, საფრანგეთის, რუსეთის „ახალი იდეებით“ შენიღბული ძველი ინტერესების რეანიმაციაზე, რის საბაბადაც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მშვიდობისათვის თანამშრომლობას აცხადებენ, არაბი პოლიტოლოგები და ფინანსისტები კი ნამდვილ მიზეზად ამ ქვეყნებში საკუთარი ბაზრების აღორძინებასა და არაბული მდიდარი კაპიტალის მიზიდვას მიიჩნევენ. ყოველივე ეს ფართოდ, და საკუთარ შესაძლებლობებში ღრმა რწმენით, შუქდება სირიის, ლიბანისა და იორდანიის პრესაში, სადაც შესაბამის გამოხმაურებას პოულობს.

ამ ბოლო ხანებში იორდანიის, როგორც ბუფერული სახელმწიფოს როლი, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობებში, განსაკუთრებით ისრაელთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ. მაგრამ ამასთან, იორდანია ცდილობს თავისი ლოიალობით არ გააღიზიანოს ისრაელთან დაპირისპირებული ლიბანი და სირია. სწორედ ამით აიხსნება მის მიერ ლატვიის საკონსულოს გახსნაზე უარის თქმა, რადგან ამ რესპუბლიკამ გადაწყვიტა იორდანიაში თავისი წარმომადგენლობის ინტეგრაცია ისრაელში გახსნილ საელჩოსთან. ამრიგად, იორდანია თავის ბიო-ეთნიკურ წარმომავლობასა და არაბული სამყაროს სამხედრო-პოლიტიკურ იერარქიებს უფრო მეტ ანგარიშს უწევს, ვიდრე რომელიმე, თუნდაც ძალზე მომგებიან პოლიტიკურ ალიანსს, რაც, ალბათ, გასათვალისწინებელი იქნება ისრაელში საქართველოს საელჩოს გახსნის გადაწყვეტილების მიღებისას.

საქართველოს მხრიდან იორდანიასთან პოლიტიკური თანამშრომლობისა და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ხელსაყრელი ჩანს იმ თვალსაზრისით, რომ აქ გახსნილი რეგიონული საელჩო ან დამოუკიდებელი გენერალური საკონსულო, ან დიპლომატიური მისია უმტკივნეულოდ გადაფარავს სირიის, ლიბანისა და ერაყის რეგიონებს, რასაც, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ვერ მოახერხებს ეგვიპტეში გახსნილი საელჩო (არ არსებობს პრეცედენტი იმისა, რომ ეგვიპტეში არსებულმა საელჩომ გადაფაროს სირიისა და ლიბანის რეგიონები). ისრაელში საელჩოს გახსნა ამ ქვეყნების მიერ აღარ აღიქმება ანტაგონისტურ ნაბიჯად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახლო აღმოსავლეთის რეგიონი არ იქნება შინაგანად განწყობილი და მოტივირებული საქართველოსთან პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების დასამყარებლად.

რა თქმა უნდა, ეს პოზიცია არ არის განმტკიცებული ოფიციალური განცხადებებით, მაგრამ სოლიდურია იმდენად, რამდენადაც მოპოვებულია კონფიდენციალური ურთიერთობების შედეგად სავაჭრო-ეკონომიკურ, ფინანსურ და, ასევე, პოლიტიკურ წრეებთან.

აღსანიშნავია ისიც, რომ დამასკოს უმაღლეს სასწავლებლებში 40-მდე ქართველი ახალგაზრდა იღებს განათლებას. დიდია არაბი ახალგაზრდების საქართველოში სწავლის სურვილი.

ბოლო დროს სირია, ლიბანი და იორდანია სხვა ისლამური სახელმწიფოებისაგან გამოირჩევა ტოლერანტობით ყველა რელიგიის მიმართ, აქ თითქმის აღარა აქვს ადგილი ტერორიზმს რელიგიური დაპირისპირების ნიადაგზე.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ სირიაში დაახლოებით 30 000, ხოლო იორდანიაში 50 000 -კაციანი აფხაზური წარმოშობის დიასპორა არსებობს და მათთვის სწორი ინფორმაციის მიუწოდებლობა არძინბას მარიონეტული რეჟიმის წისქვილზე ასხამს წყალს.

დიდია სირიაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და, კერძოდ, ქართული ეკლესიებისა და სალოცავების მნიშვნელობა, რომლებიც რელიგიური დატვირთვის გარდა, სამეცნიერო ცენტრების ფუნქციებსაც ასრულებს. იქ მუშაობენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და სამეცნიერო ცენტრების წარგზავნილები. ყოველივე ამან გარკვეულად დადებითი ზეგავლენა უნდა მოახდინოს ქართული დიასპორისა და საქართველოს მოქალაქეების სულიერი ინტეგრაციის პროცესზე.

საქართველოსადმი დაინტერესება ბევრად არის განპირობებული ბატონ ედუარდ შევარდნაძის, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ფენომენით. იგი არაბული ქვეყნების პოლიტიკური და ფინანსური წრეებისათვის საიმედო გარანტს წარმოადგენს, მედიატორის როლს ასრულებს ამ რეგიონსა და საქართველოს შორის ურთიერთობის დამყარებასა და განმტკიცებაში. ეს კი არაბ ბიზნესმენებს და ფინანსურ წრეებს გარკვეულ იმუნიტეტს და განწყობას უქმნის იმისათვის, რომ 1997 წლიდან დაიწყოს ფართო ინვესტირება მცირე და დიდი ბიზნესის ორმხრივ განვითარებაში. ამის დასტურია სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების უკვე შემუშავებული პროგრამები და პრაქტიკული ღონისძიებების გეგმები, რომლებიც ითვალისწინებენ დელეგაციების დონეზე საკითხების შესწავლას, ანალიზს და გადაწყვეტილების მიღებას.

ნიადაგი მომზადებულია და დარწმუნებული ვარ, შედეგებიც არ დააყოვნებს.

**ვასილ ჭიჭინაძე.**
ქ. ამანი, იორდანია.

## აბჯარი

# ეროვნულ არმიას — ჯანმრთელი ცვლა

**სამხედრო-სამედიცინო კომისიის გამართული მუშაობა, ცხადია, დიდად უწყობს ხელს ეროვნული არმიის დაკომპლექტებას ფიზიკურად ჯანმრთელი წვევამდელებით.**

**— როგორ იყო ამ მხრივ საქმე გასულ 1996 წელს?**

**— ვეკითხებით საქართველოს სამხედრო კომისარიატთან არსებული მუდმივმოქმედი სამედიცინო კომისიის თავმჯდომარეს, ბატონ ლერი კვახაძეს.**

— საქართველოს არ ჰყავს და, ალბათ, არც უნდა ჰყავდეს მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალა. ამდენად, ჩვენთან სავსებით შესაძლებელია, რომ არმია ფიზიკურად ჯანმრთელი ახალგაზრდებით დაკომპლექტდეს. არჩევანი დიდია, ამიტომ, სამედიცინო შემოწმების და კლინიკო-დიაგნოსტიკური ცენტრის გამოკვლევის შედეგად თუ რომელიმე წვევამდელი სამხედრო სამსახურისთვის ვარგისად არ ჩაითვლება, ჩვენც, როგორც იტყვიან, ნამეტანს აღარ ვუჯანჯლებთ საქმეს და ვათავისუფლებთ.

**— მაპატიეთ და, ზოგჯერ ხომ ჯანმრთელი თავისუფლდება და ავადმყოფი ჯარში მიდის?**

— მთლად ასე არ არის, მაგრამ „შეცდომების დაშვების“ შემთხვევები იყო და ეს, ძირითადად, იმის გამო ხდებოდა, რომ საექიმო კომისია ყოველ სეზონზე იცვლებოდა, კომისიის ზოგი წევრი, აქაოდა, „მოვასწროო“, უკადრებელს კადრულობდა. ამანაც განაპირობა მუდმივმოქმედი სამედიცინო კომისიის შექმნა. ახლა უკვე გაზრდილია ექიმის პასუხისმგებლობა, „შეცდომებიც“ თითქმის გამორიცხულია, ერთი სიტყვით, ექიმი ძალზე უფრთხილდება თავის მუდმივ სამუშაო ადგილს (თქვენ იცით, ექიმების დღევანდელი მდგომარეობა, ჩვენთან კი ხელფასები არც ისე მცირეა) და აუტკიეარ თავს არ აიტკივებს.

**— რამდენი კაცია კომისიაში?**

— შვიდი სხვადასხვა პროფილის გამოცდილი სპეციალისტი. სხვათა შორის, შეიძლება ბრწყინვალე ექიმი იყო, მაგრამ ექსპერტიზაში არ გამოდგე. ეს სპეციფიკური სამუშაოა და გარკვეულ გამოცდილებას მოითხოვს.

**— კომისიის თავმჯდომარედ თქვენი დანიშვნა რამ განაპირობა?**

— მე, თითქმის ოცდაათი წელიწადია, რაც ექსპერტიზაში ვმუშაობ. ხშირად ვიყავი ხოლმე მიწვეული სამხედრო საექიმო კომისიებში. როდესაც ეროვნული არმია ის-ის იყო იქმნებოდა, მაშინდელმა კომისარმა ბატონმა თორნიკე პაპავამ მთხოვა სათავეში ჩავმდგომოდი საექიმო კომისიას... აი, ასე დავიწყეთ...

**— რას საქმიანობს კომისია გაწვევიდან გაწვევამდე?**

— გაწვევიდან გაწვევამდე იგი აკონტროლებს და მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს რაიონულ სამედიცინო კომისიებს, კონტროლზე ჰყავს წვევამდელები, რომელთაც ავადმყოფობის გამო გადაუვადდათ გაწვევა... გაწვევის პერიოდში კი აქტიურ მონაწილეობას იღებს წვევამდელის სამედიცინო გამოკვლევებში. ეს გამოკვლევები გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში მოქმედ დიაგნოსტიკური ცენტრის მეშვეობით ხდება.

**— ასეთი ცენტრიც არსებობს?**

— დიახ. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და პირადად მინისტრის დახმარებით ჩვენთან შეიქმნა კლინიკო-დიაგნოსტიკური ცენტრი, რამაც ძალზე გაგვიადვილა მუშაობა. წვევამდელებიც სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში სირბილს გადარჩნენ. იქვე, შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში ხდება ყველა სახის გამოკვლევა, რაც, კიდევ ვიმეორებ, დიდად წაადგა საქმეს.

**— ხელფასი რამდენი აქვს კომისიის წევრ ექიმს?**

— ამ რამდენიმე წლის წინათ უხაროდათ კიდეც ექიმებს თუ სამხედრო კომისიის შემადგენლობაში მიიწვევდნენ. ძირითად სამუშაო ადგილზე ხელფასი ენახებოდათ და ჩვენთანაც დღიური ანაზღაურება ჰქონდათ. ახლა, ძირითად სამუშაოზე, მოგეხსენებათ, იმის მიხედვით აძლევენ ექიმს ხელფასს, რამდენ ავადმყოფსაც მიიღებს, მას ერთგვარი გეგმა აქვს. ამიტომ ჩვენთან ჩართვა ხელს აღარ აძლევს. მუდმივმოქმედი სამედიცინო კომისიის შექმნამ ეს პრობლემაც გადაჭრა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და სამხედრო კომისარიატმა თვითონ გადაწყვიტა კომისიის წევრთა ხელფასის საკითხი. მადლობის მეტი რა გვეთქმის. ხელფასი ჩვენი კომისიის წევრს ას ლარზე ნაკლები არა აქვს.

**— მაშ, ცდუნებას უნდა გაუძლოს...**

— კომისია ყოველნაირად ეცდება თავისი საქმე კეთილსინდისიერად აკეთოს. ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ საქართველოს სამხედრო კომისრის ბატონ ნოდარ თათარაშვილის გულისხმიერებას და, რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, პროფესიული სინდისით გავაკეთებთ, „ცდუნებებს“ არ ავყვებით. კარგი იქნება თუ საინფორმაციო საშუალებები ობიექტურად გააშუქებენ ჩვენს რთულ მუშაობას, არ ლაიბეჭდება (როგორც ახლახან ერთ-ერთმა გაზეთმა იკისრა) დაუზუსტებელი, ცალმხრივი, შეურაცხმყოფელი ინფორმაციები. ბოლოსდაბოლოს, ჩვენ ხომ ახლა ვყალიბდებით, ამიტომ ყველას ვთხოვთ თანადგომას. ჩასაფრება რა საკადრისია. ჩვენი არმიის ჯანსაღი კადრებით შევსება საქვეყნო საქმეა.

ესაუბრა
**მაკა ჩხაიძე.**

# გრძელდება ხელმოწერა

# გამოიწერეთ გაზეთი




## ძვირფასო მკითხველო!

ახალი, 1997 წლიდან „საქართველოს რესპუბლიკა" ხუთის ნაცვლად კვირაში ექვსჯერ (თვეში 25 ნომერი) რვა სრულფორმატიან გვერდზე დაბეჭდილი გამოდის. გაზეთის პერიოდულობისა და ფორმატის გადიდების მიუხედავად რედაქციის კოლექტივმა, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ამჟამინდელ მატერიალურ მდგომარეობას და, რაც მთავარია, სწორ, მართალ და ოპერატიულ ინფორმაციაზე მის მოთხოვნილებას, გადაწყვიტა ხელმომწერთათვის არ გაზარდოს „საქართველოს რესპუბლიკის" ფასი. თბილისში მისი ერთი ეგზემპლარი ეღირება 30, ხოლო დედაქალაქის ფარგლებს გარეთ – 35 თეთრი. შესაბამისად, გაზეთის ერთი თვით გამოწერა თბილისში დაჯდება 7,5 ლარი, სამი თვით – 22,5 ლარი, ხუთი თვით – 37,5 ლარი.

დედაქალაქის გარეთ გაზეთის ერთი თვით გამოწერა 8 ლარი და 12 თეთრი ეღირება, სამი თვით – 24 ლარი და 36 თეთრი, ხუთი თვით – 40 ლარი და 6 თეთრი.

ძვირფასო მკითხველებო, იჩქარეთ, გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა", რადგან საცალო ვაჭრობაში მისი შეძენა გაცილებით ძვირი დაგიჯდებათ. აქვე გაცნობებთ, რომ გაზეთის გამოწერის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემთხვევაში თითოეულ ხელმომწერს უფასოდ მიეცემა ბროშურები – საქართველოს კონსტიტუცია და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონი.

„საქართველოს რესპუბლიკა" მხოლოდ თქვენით და თქვენთვის არსებობს, ძვირფასო მკითხველებო! ამიტომაც მისი კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს იმისთვის, რომ იგი კვლავაც თქვენი ერთგული თანამდგომი, მრჩეველი და თქვენი ინტერესების ყოველმხრივ შემცველ-გამომხატველი იყოს.

## გამოიწერეთ ყოველდღიური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

### ხელმოწერას დაუყოვნებლივ გაგიფორმებენ...

ჩვენს გაზეთსა და, საერთოდ, საქართველოს სხვა ჟურნალ-გაზეთებზე 1997 წლის 1 თებერვლიდან 30 ივნისამდე თბილისელებს ხელმოწერის გაფორმება შეუძლიათ ქ. თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს" (ყოფილი „სოიუზპეჩატი") ხელმოწერის რაიონულ უბნებში, რომელთა მისამართები და ტელეფონის ნიშნებია:

სამგორის რ-ნი – მოსკოვის გამზ. 18. ტელ: 71-32-87

გლდანის რ-ნი – მუხიანის 4 ა, 4 კორპ. ტელ: 62-75-32

ნაძალადევის რ-ნი – დ. გურამიშვილის გამზ. №30. ტელ. 60-80-22

ჩუღურეთის რ-ნი – ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. 14. ტელ: 95-87-36

ისნის რ-ნი – ქეთევან წამებულის (ყოფ. შაუმიანის) გამზ. 61. ტელ: 74-14-47

დიდუბის რ-ნი – აკ. წერეთლის გამზ. 73. ტელ: 34-75-51

მთაწმინდისა და კრწანისის რაიონები – რ. თაბუკაშვილის ქ. 12

ვაკის რ-ნი – ჭავჭავაძის გამზ. 46. ტელ: 22-64-58

ცენტრალური ოფისი, გამსახურდიას გამზ. 42. ტელ: 37-47-49, 93-43-97

ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისთან მიიწვიონ „მაცნეს" წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად.

ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა: სახლში, სამსახურში, უახლოეს საფოსტო განყოფილებაში, „მაცნეს" ცენტრალურ ოფისში.

„საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერის მსურველებს ამასთანავე ვაცნობებთ, რომ მათ ხელმოწერის გაფორმება შეუძლიათ „საქპრესის" საქალაქო და რაიონულ ფილიალებში, აგრეთვე ჩვენს კერძო გამავრცელებლებთან, რომლებიც დროულად და უდანაკარგოდ მოგაწვდიან გაზეთებს:

შპს „უწყებანი" – მ. კოსტავას ქ. 14 ტელ: 93-64-72; 93-22-86

შპს „ექსპრესი" – ივანე ჯავახიშვილის ქ. 86. ტელ: 93-66-78; 96-23-11.




## საერთაშორისო ტურნირი ფასანაურში

**17 იანვარს** ფასანაურში იწყება საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი რუსეთის, ბულგარეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობით. მასში ითამაშებენ მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც ამიერიდან არაერთ შეჯიბრებაში აპირებს მონაწილეობის მიღებას, გამოჩენილი დიდოსტატი ნანა ალექსანდრია, პირველი ქართველი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე, სომხეთის № 1 მოჭადრაკე ქალი, დიდოსტატი ელინა დანიელიანი, რომელმაც სექტემბერ-ოქტომბერში წარმატებით ითამაშა ერევნის ოლიმპიადაზე, საერთაშორისო ოსტატები და ოსტატები.

ფასანაურის საერთაშორისო ტურნირი შვეიცარული სისტემით ტარდება 9 ტურად.

## აზმაიფარაშვილის გამარჯვება

**წარმატებით** დაამთავრა თავისი პირველი წლევანდელი საერთაშორისო ტურნირი საქართველოს უძლიერესმა დიდოსტატმა **ზურაბ აზმაიფარაშვილმა.** იგი ესპანეთში თამაშობდა „საჭადრაკო ქალაქ" ლინარესში. აქ ტრადიციულად მრავალი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი ჩამოდის ხოლმე. საერთოდ კი ესპანეთი ძლეისათვის ნამდვილ საჭადრაკო „მექად" იქცა.

ამ საერთაშორისო ტურნირში ზურაბ აზმაიფარაშვილმა 1-3 ადგილები გაიყო ცნობილ დიდოსტატებთან ჯონათან სპილმენთან, რომელიც ინგლისის ნაკრების წევრია და 20 წლის ზოლტან ალმაშისთან – უნგრული ჭადრაკის ახალ ვარსკვლავთან.




## გივი გოგიჩაიშვილი – თბილისის ჩემპიონი

**დამთავრდა** თბილისის ჩემპიონატი ჭადრაკში ვაჟთა შორის, რომელიც შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა 9 ტურად.

შესანიშნავი შედეგით – 7,5 ქულით 9 შესაძლებლიდან პირველ ადგილზე გამოვიდა ეროვნული ოსტატი **გივი გოგიჩაიშვილი**, რომელმაც შეჯიბრება დაუმარცხებლად წარმართა. საინტერესოა, რომ გოგიჩაიშვილი უკვე მეოთხედ გახდა თბილისის ჩემპიონი.

7-7 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ნორჩმა მოჭადრაკეებმა დავით შენგელიამ და ვახტანგ ჩიქოვანმა.

თბილისის პირველობაზე გამარჯვებული მოჭადრაკეები იასპარეზებენ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში, რომელიც თებერვალში გაიმართება.

**გივი გამრეკელი.**

# გრანდების დაცემა

**ევროპის** ერთ-ერთი წამყვანი საფეხბურთო ქვეყნის – ესპანეთის ეროვნული ჩემპიონატის I წრის ფინიშამდე ორი ტური დარჩა.

განვლილ უქმეებზე გამართული მორიგი შეხვედრები ლიდერთა გაუთვალისწინებელი შეფერხებებით აღინიშნა.

ჯერჯერობით დაუმარცხებელმა სამეფო კლუბმა მადრიდის „რეალმა" სტუმრად ძვირფასი ქულები დაკარგა უიმედო აუტსაიდერ „ესტრემადურასთან" – 0:0.

ასევე ფრეს დასჯერდა და კორუნიას „დეპორტივო", რომელიც ვალიადოლიდში თამაშობდა ამავე სახელწოდების გუნდთან – 1:1.

კიდევ უფრო მეტი „მოახერხა" უცხოელი ვარსკვლავებით დახუნძლულმა „ბარსელონამ", რომელიც შინ ალიკანტეს მაჩანჩალა „ჰერკულესთან" დამარცხდა – 2:3. არადა, კატალონიელები წინ იყვნენ – 2:0.

სადღეისოდ საუკეთესო სამეული ასე გამოიყურება: „რეალი" – 43, „ბარსელონა" – 40, „დეპორტივო" – 38 ქულა.

რა შეიძლება ითქვას მიმდინარე ჩემპიონატის თავისებურებებზე? უძლიერესი კლუბები კვლავ ერთმანეთს ეჯიბრებიან გამორჩეულ ლეგიონერთა გადაბირებაში, ადგილობრივი ოსტატები კი ნელნელა სათადარიგოთა სკამზე მკვიდრდებიან. მათი ნაწილი ერთ დროს ეროვნული ნაკრების დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა.

სამაგალითოდ „ბარსელონა" მოვიშველიოთ. ამ ამბიციური სუპერკლუბის ღირსებას იცავენ ბრაზილიელები რონალდო და ჯოვანი, პორტუგალიელები ვიტორ ბაია, ფერნანდო კოუტუ და ფიგუ, ფრანგი ბლანი, ბულგარელი სტოიჩკოვი, რუმინელი პოპესკუ, ნიგერიელი ამუნიკე. ესპანელთათვის, ბუნებრივია, ადგილი ძირითადად შემადგენლობაში აღარ რჩება, რაც მათ განაწყენებასა და საზღვარგარეთელ თანაკლუბელებთან ურთიერთობის გართულებას იწვევს. მართალია, გამოჩენილი ინგლისელი მწვრთნელი ბობი რობსონი ამ ფაქტს ჯიუტად უარყოფს და მხოლოდ ჩემპიონობაზე ოცნებობს, მაგრამ შედეგები გვაფიქრებინებს, რომ ჭირვეულთა საკრებულოში ყველაფერი რიგზე არ არის. მოკლედ, ტყავის ბურთის დიდოსტატთა სიმრავლე ჯერ კიდევ არ ნიშნავს „უძლეველი არმადის" შექმნას.

ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კოლექტივში – მადრიდის „რეალში", სადაც ტონს იძლევიან ჰოლანდიელი ზეედორფი, ხორვატი შუკერი, იუგოსლაველი მიატოვიჩი, ბრაზილიელი კარლოსი, არგენტინელი რედონდო და ეროვნული ნაკრების ლიდერები – იერო და რაული. იტალიელმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ სამეფო კლუბის წევრებს მოუხსნა გასვლითი მატჩების შიშის კომპლექსი და ყველაფერი მისი უდიდებულესობა ქულის მოპოვებას დაუქვემდებარა, სანახაობითი ფაქტორის უგულვებელყოფა კი „რეალის" ფანატიკოს გულშემატკივართა ნაწილის პროტესტს განაპირობებს. თუმცა, როგორც მოგეხსენებათ, გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. მადრიდელთა მაისური მალე შესაძლოა ფრანგმა კარემბუმ და იტალიელმა პანუჩიმ ჩაიცვან, რაც კიდევ უფრო საფუძვლიანს გახდის დედაქალაქელთა საჩემპიონო პრეტენზიებს.

რაც შეეხება შედარებით ლარიბ „დეპორტივოს", მისი სტაბილური გამოსვლა და მესამე ადგილი ფრანგი მარტენსის, ბრაზილიელი რივალდოსა და გაესპანელებული ბრაზილიელი დონატოს დამსახურებაა და სავსებით ასახავს და კორუნიელთა შესაძლებლობებს.

ორიოდე სიტყვა მარშანდელ ჩემპიონ მადრიდის „ატლეტიკოზეც" ვთქვათ. ამ კლუბის უთანაბრო თამაში პირველ წრეში მნიშვნელოვნად ლეგიონერთა ხშირი ტრავმებითაა გამოწვეული, მაგრამ ბოლო შეხვედრებში გუნდი, როგორც იქნა, საბრძოლო შემადგენლობით ვიხილეთ და არკაა გასაკვირი, რომ თანდათან უახლოვდება ლიდერებს. ასე რომ, გაესპანელებული არგენტინელი ესნაიდერის, არგენტინელი სიმეონეს, იუგოსლაველი პანტიჩისა და ძმათა ესპანელთა მათთა – კამინეროსა და კიკო ნარავაესის ჩამოწერა ნაადრევია.

რას უნდა ველოდოთ ჩემპიონატის მეორე წრეში? აღბათ, პირველობისათვის ბრძოლის კიდევ უფრო გამძაფრებას. იმის წინასწარ განჭვრეტა, თუ ვინ გაიმარჯვებს „რეალისა" და „ბარსელონას" მარადიულ დავაში, შეუძლებლად გვესახება. ვიტყვით მხოლოდ, რომ ფავორიტები ერთმანეთს კატალონიის დედაქალაქში შეხვდებიან, სადაც მასპინძლებს პირველ წრეში დამარცხებისათვის – 0:2 რევანშიც მოუწევთ ზრუნვა.

მანამდე კი, მეოცე ტურში, რომელიც უახლოეს შაბათ-კვირას გაიმართება, დიდ ინტერესს იწვევს მადრიდული დერბი „ატლეტიკო" – „რეალი". მძიმე გამოცდა ელის „ბარსელონასაც", რომელიც სევილიაში „ბეტისს" ესტუმრება.

**გია პლატონიშვილი.**


БИЛАЙН
ფიჭური კავშირგაბმულობა
მეგაკომი MegaCom
ტელ: 99 99 99, ფაქსი: 93 48 86

საიმედო სატელეფონო კავშირი
საქართველოს,
დსთ-ს და მსოფლიოს
ნებისმიერ ქალაქთან;
იჯარა,
რომინგი.



საქართველო, თბილისი
380079, კოსტავას ქ. 22

Tel: 99 99 99


## გილოცავთ!

# „მესხეთის" პრემიის ახალი ლაურეატები

**გამომცემლობა** „მესხეთის" სარედაქციო კოლეგიის ჟიურის გადაწყვეტილებით 1997 წლის ლიტერატურული პრემია (200-200 ლარის ოდენობით) მიენიჭათ:

1. **თამაზ ბიბილურს** – მწერალს (სიკვდილის შემდეგ), საყმაწვილო წიგნისთვის – **„წეღიწადის დრონი"** და ბოლო წლებში გამოქვეყნებული მოთხრობებისათვის.

2. **ზაურ ბოლქვაძეს** – პოეტს, 1994-1996 წლებში გამოქვეყნებული პოეტური ნაწარმოებებისთვის.

3. **გივი გეგეჭკორს** – პოეტს, ლექსებისა და პოემების – **„ერთტომეულისთვის"**.

4. **ვახტანგ ჯავახაძეს** – პოეტს, წიგნისთვის – **„უცნობი, აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძისა"**.

5. **ტარიელ ჭანტურიას** – პოეტს, წიგნისთვის – **„გაყიდე სამოსელი და იყიდე მახვილი"**.

6. **ოთარ ჭილაძეს** – მწერალს, რომანისთვის – **„ავეღუმი"**.

7. **ჯანსულ ჩარკვიანს** – პოეტს, ლექსების კრებულისთვის **„მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი"**.

გამომცემლობა „მესხეთის" სარედაქციო კოლეგიის ჟიური.

## ამინდი

### 16 იანვარს

**დასავლეთ საქართველოში** მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, ნალექი, მთაში თოვლი, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ზვავსაშიშროებაა, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში – ღამით 0+5, დღისით +5+10, მთაში – ღამით – 3+2, დღისით +1+6, მაღლმთაში – ღამით –5 –10, დღისით 0 –5 გრადუსი.

**აღმოსავლეთ საქართველოში** ზოგან ნალექია მოსალოდნელი, მთაში თოვლი, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ზვავსაშიშროება, გუდაური-კობის მონაკვეთზე 11-დან 17 საათამდე მოძრაობა შეზღუდულია, ტემპერატურა ბარში – ღამით –3 +2, დღისით +3 +8, მთაში ღამით –1 –6, დღისით 0+5, მაღალმთაში – ღამით –7 –12, დღისით 0 –5 გრადუსი.

**თბილისში** მცირე ნალექია მოსალოდნელი, იქროლებს წამში 10-15, გარეუბნებში 20-25 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა – ღამით 0+2, დღისით +5+7 გრადუსი.

**დღეს, 16 იანვარს** მაგნიტური ველი, კრიზისული საათები 19.00 – 20.00.

## ხსოვნა

# თენგიზ შარიქაძე



გარდაიცვალა სამედიცინო სამსახურის თადარიგის პოლკოვნიკი, ომის ვეტერანი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი **თენგიზ ნიკოლოზის ძე შარიქაძე.**

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გაიწვიეს ჯარში, მან სახელოვნად განვლო გზა უფროსი ლეიტენანტიდან პოლკოვნიკამდე და 1948 წელს დაბრუნდა სამშობლოში. მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჰოსპიტალში ნევროპათოლოგად. რამდენიმე წლის შემდეგ დააწინაურეს და გადაიყვანეს ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალის ნერვული განყოფილების უფროსად, შემდეგ კი წყალტუბოს სამხედრო სანატორიუმის სამკურნალო სამსახურის უფროსად, რის შემდეგაც დაუბრუნდა მშობლიურ თბილისს და დაიწყო მუშაობა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამხედრო კათედრაზე უფროს მასწავლებლად. იგი იყო მრავალი ორდენის და მედლის კავალერი.

თ. შარიქაძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების და პაციენტების გულში.

**მეგობრები.**

# გიზო ქაშიბაძე



ქვეყნად კაცობის დასამკვიდრებლად სიკვდილს მრავალი მსხვერპლი დასჭირდა. დღეს მან ჩვენი სახლის კარიც შემოაღო. უაზროდ იქცა ყოველი სიტყვა, ყველა სათქმელი და მხოლოდ ცრემლი, ალალი ცრემლი ჩვენი ძმობისა შემოგვრჩა თვალზე განშორებისას.

ადამიანზე დარდით და საქართველოს ოცნებებით დაღლილო ძმაო, ნათელში იყოს შენი გზა და შენი სავალი. ძმავ და ბატონო, მშვიდობა შენდა!

განშორებისას ერთი დაგვრჩა ყველას სათქმელი – მადლობა უფალს, რომ იყავ ქვეყნად და უსასრულო სიყვარულისთვის გაცხონოს ღმერთმა.

**მეგობრები.**

# გრიგოლ ქეცბაია



მოულოდნელად გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოხუმის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე, კრიმინალური პოლიციის უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი **გრიგოლ იოსების ძე ქეცბაია.**

გ. ქეცბაია დაიბადა 1961 წელს ქ. სოხუმში. სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ დაამთავრა ქ. ვოლგოგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1981 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე: სოხუმის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უმცროსი ინსპექტორი, თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის სამხედრო პოლიციის სამმართველოს სამხედრო-საზღვაო პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილე, სოხუმის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პირად შემადგენლობასთან მუშაობის დარგში, ამავე რაიგანყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსი.

გ. ქეცბაიამ შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც ენერგიულმა, კეთილსინდისიერმა, გაბედულმა, საქმის მცოდნე, პრინციპულმა, კულტურულმა და თავაზიანმა ოფიცერმა. ჰქონდა შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭი, სწორად წარმართავდა ხელქვეითების მუშაობას. იყო ფრთხილი და ყურადღებიანი თანამშრომლების მიმართ. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა კოლექტივში. გამოირჩეოდა უბრალოებით, დაკისრებული საქმის შესრულებისადმი დიდი პასუხისმგებლობით, აკურატულობით.

განსაკუთრებული სიმამაცე და გამბედაობა გამოიჩინა აფხაზეთის საომარი მოქმედებების დროს. სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისათვის მრავალჯერ იყო წახალისებული ხელმძღვანელობის მიერ.

ბევრი სასიკეთო ოცნება დარჩა განუხორციელებელი ახალგაზრდა ორი შვილის მოსიყვარულე მამას, ველარ მოესწრო იგი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, აფხაზეთში დაბრუნებას.

მისი უდროო სიკვდილი მოუშუშებელი ტკივილი იქნება ყველასათვის, ვინც მას იცნობდა.

სამშობლოს ერთგული ჯარისკაცის, ვიცე-პოლკოვნიკ გრიგოლ იოსების ძე ქეცბაიას ნათელი სახელი მარად დარჩება მისი მეგობრებისა და აფხაზეთის შს სამინისტროს პირადი შემადგენლობის ხსოვნაში.

**აფხაზეთის შს სამინისტრო.**

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის და შპს „პრესის" კოლექტივები იუწყებიან, რომ თანამშრომელ დალი ქუსიკაშვილს გარდაეცვალა დედა

**იუსტინა ქუთარის ასული ძიგუა-ქუსიკაშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 16, 17 I, 3 ს. გამოსვენება 18 I, 2 ს. კუტუზოვის ქ. № 10, IV სად. I სართული.

---

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის დეპუტაციის ბიუროს, თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითი საპარლამენტო კომისიისა და ფრაქცია „აფხაზეთის" აპარატების მუშაკები თანაუგრძნობენ მარინე თორიას მამის

**რევაზ თორიას**

გარდაცვალების გამო.

---

წალენჯიხის რაიონის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სამეურნეო მუშაკი, წალენჯიხის საბჭოთა მრეწველობის ყოფილი დირექტორი

**ნიკოლოზ ლევანის ძე აფაქიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სოხუმის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილის, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ

**გრიგოლ იოსების ძე ქეცბაიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანია „თბილქალაქმშენის" ს/ს „... ნათმშენებლობის" კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა და ქარხნის ყოფილი დირექტორი, ღვაწლმოსილი მშენებელი

**ჯემალ ალექსანდრეს ძე ძორიძე**

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---

შვილი გრიშა ფიფია, რძალი ლინარა როგავა, შვილიშვილები ... იულია ფიფიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იულია ვლადიმერის ასული ფიფია**

პანაშვიდი 16, 17 I 3 ს. დაკრძალვა 18 I 2 ს. გლდანის მასივი ა მ/რ კ. 65, სადარბაზო 3, ბინა 62.

---

დები ნათელა, ლაურა შარიქაძეები, დისწულები ქეთინო შარიქაძე, მანანა, ვახტანგ, ვაჟა არქანიები, მაია, ალეკო, პაატა სიჭინავა, დისშვილიშვილები რატი, ანუკი ებანოიძეები, ნინო, თათია ... ფაიშვილები, ნათია, თათია, ანანო არქანიები, ბილოლა ... მარიქაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თენგიზ ნიკოლოზის ძე შარიქაძე**

პანაშვიდი 16, 17 I 4 ს. გამოსვენება 18 I 2 ს. ბახტრიონის ქ. № 30 (II სადარბაზო).


საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28...

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში ხოშარაულის 29.